



დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

## საქართველო

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები  
2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის  
უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო  
სადამკვირვებლო მისია  
საბოლოო ანგარიში



ვარშავა  
2018 წლის 23 თებერვალი

## შინაარსი

I.	რეზიუმე.....	1
II.	შესავალი და სამადლობელი სიტყვა .....	6
III.	წინასიტორია და პოლიტიკური კონტექსტი.....	7
IV.	საარჩევნო სისტემა .....	8
V.	საკანონმდებლო ჩარჩო.....	9
VI.	საარჩევნო ადმინისტრაცია.....	10
VII.	ამომრჩეველთა რეგისტრაცია .....	14
VIII.	პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია .....	17
IX.	საარჩევნო კამპანია.....	20
X.	წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება .....	24
XI.	მედია .....	28
	ა. მედია გარემო.....	28
	ბ. საკანონმდებლო ბაზა.....	30
	გ. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგის შედეგები .....	31
XII.	ეროვნული უმცირესობების ჩართულობა.....	35
XIII.	ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები.....	37
XIV.	საჩივრები და სარჩელები.....	39
XV.	კენჭისყრის დღე (პირველი ტური) .....	42
	ა. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი.....	43
	ბ. ხმების დათვლა.....	45
	გ. შედეგების შეჯამება .....	46
XVI.	პირველი ტურის შემდეგ განვითარებული მოვლენები .....	47
	ა. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ შემოტანილი საჩივრები და სარჩელები .....	47
	ბ. პირველი ტურის შედეგები და მზადება მეორე ტურისთვის .....	50
XVII.	კენჭისყრის დღე (მეორე ტური).....	51
XVIII.	არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები.....	54
XIX.	რეკომენდაციები.....	55
	ა. პრიორიტეტული რეკომენდაციები.....	55
	ბ. სხვა რეკომენდაციები .....	57
	დანართი I: საბოლოო შედეგები .....	60
	დანართი II: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა სია.....	62
	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ .....	71

**საქართველო**  
**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები**  
**2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი**

**ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის**  
**არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიში<sup>1</sup>**

**I. რეზიუმე**

საქართველოს ხელისუფლების მოწვევის საფუძველზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გახსნა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურზე (12 ნოემბერი) დასაკვირვებლად ქვეყანაში გარკვეული დროის მანძილზე კიდევ დარჩა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა საარჩევნო პროცესის შესაბამისობა ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და ვალდებულებებთან და ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან. არჩევნების პირველ ტურზე დაკვირვების მიზნით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის დელეგაცია შეუერთდა, რის შედეგადაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შეიქმნა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ გამოქვეყნებული მოხსენების მიხედვით „21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ფუნდამენტური თავისუფლებები ძირითადად დაცული იყო და კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდათ. არჩევნების ეფექტურმა ადმინისტრირებამ და ამომრჩეველთა ზუსტმა რეგისტრაციამ პროცესის ხარისხიანად წარმართვას შეუწყო ხელი. მთლიანობაში არჩევნების კონტექსტი მმართველი პარტიის უპირატესობით გამოიხატა. დაფიქსირდა როგორც ამომრჩევლებზე, ასევე კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები და რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტი. მიუხედავად იმისა, რომ მედია საშუალებები სხვადასხვა პარტიებთან აფილირდებოდნენ, მედიის მზარდმა თავისუფლებამ და აქტიურობამ პოლიტიკური დებატების ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. მთლიანობაში კენჭისყრის დღემ მოწესრიგებულად ჩაიარა, თუმცა ხმების დათვლის დროს მცირე პროცედურული ხასიათის დარღვევები დაფიქსირდა.“

<sup>1</sup> წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია. ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შემდეგ წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ გამოქვეყნებული მოხსენების მიხედვით ექვს საარჩევნო ოლქში 12 ნოემბერს ჩატარებული მეორე ტური „კარგად იყო ადმინისტრირებული და კანდიდატებს არჩევნებში თავისუფლად მონაწილეობის საშუალება ჰქონდათ. ისევე როგორც პირველ ტურში, ფუნდამენტური თავისუფლებები ძირითადად დაცული იყო. მედიის მეშვეობით წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებასთან და სუბიექტების მეორე ტურიდან საკუთარი კანდიდატურების მოხსნასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა მეორე ტურის შეჯიბრითობაზე უარყოფითი გავლენა იქონია, რაც საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების დამატებით საჭიროებაზე მიუთითებს. არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის პერიოდში საჩივრების დიდი ოდენობის პროცედურული ან ფორმალისტური საფუძვლების გამო განხილვის გარეშე უარყოფამ კანდიდატებისა და ამომრჩევლების დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიღწევის უფლება და საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემისადმი საზოგადოების ნდობა შეარყია. კენჭისყრის დღის პროცედურები შეუფერხებლად და პროფესიონალურად წარიმართა. არჩევნებზე დამკვირვებლებმა ხმის მიცემის, ხმების დათვლის და შედეგების შეჯამების პროცესი დადებითად შეაფასეს. თუმცა, ზეწოლისა და დაშინების შესაძლო შემთხვევები შემოფოთებას იწვევდა.“

64 საკრებულოს და 64 მერის არჩევნები ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურაში რამდენიმე თვით ადრე შეტანილი ცვლილებების ფარგლებში ჩატარდა. საკანონმდებლო ჩარჩო ყოვლისმომცველია და არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად სათანადო საფუძველს ქმნის. თუმცა ამომრჩეველთა და კანდიდატთა უფლებების შეზღუდვის ფაქტები, ისევე როგორც შეუსაბამობები და ნაკლოვანებები კვლავ სახეზეა. 2017 წლის ივლისში განხორციელებული ცვლილებები ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს მიერ მანამდე გაცემულ მთავარ რეკომენდაციებს არ ითვალისწინებდა. მეორე ტურთან დაკავშირებით კონკრეტული რეგულაციების არარსებობის გამო არჩევნების პროცესის გარკვეული ასპექტები ნაკლებად რეგულირებული ან ბუნდოვანია.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) ხელმძღვანელობით საარჩევნო ადმინისტრაცია დროულად, ეფექტურად და პროფესიონალურად მუშაობდა. მართალია, ცესკო ზოგადად დაინტერესებული მხარეების ნდობით სარგებლობდა, მაგრამ ზოგიერთმა ოპოზიციურმა კანდიდატმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ საოლქო საარჩევნო კომისიების გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენა, განსაკუთრებით, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის კუთხით. საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე საინფორმაციო ტრენინგები ჩატარდა. ცესკომ ამომრჩეველთა ინფორმირების ყოვლისმომცველი კამპანია აწარმოა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ცესკოს სამი წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, ქალია. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 62%-ს და საუბნო საარჩევნო კომისიების 71%-ს ქალები შეადგენდნენ.

ხელისუფლებამ ამომრჩეველთა სიების გასაუმჯობესებლად სამაგალითო ძალისხმევა გაწია. დაინტერესებული მხარეები დიდ ნდობას გამოხატავენ სიების სიზუსტესთან დაკავშირებით. ამომრჩევლებს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმებისა და შესწორების საკმარისი შესაძლებლობა ჰქონდათ. მთავრობის მიერ ბიომეტრული საიდენტიფიკაციო ბარათების უფასოდ გაცემის პროგრამით 89,000-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების შედეგად 5,014 ამომრჩეველს რეგისტრაციის თავიდან გავლის შესაძლებლობა მიეცა. გარდა ამისა, არჩევნებში მონაწილეობისთვის იძულებით გადაადგილებულ პირთა მოწმობების გამოყენება აღარ არის სავალდებულო. თუმცა დაახლოებით 1,780 ამომრჩეველს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთვა, რაც სახელმწიფო რეესტრში მათი ფოტოების ცუდი ხარისხით ან ფოტოების არარსებობით იყო გამოწვეული. არჩევნების ტურებს შორის პერიოდში ამომრჩეველთა სიები მხოლოდ გარდაცვლილი ამომრჩევლების სიებიდან ამოღების და არჩევნების პირველ და მეორე ტურს შორის 18 წელს მიღწეული პირების სიებში ჩასმის მიზნით განახლდა.

ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა პროპორციული არჩევნებისთვის 27 პარტიისა და ბლოკის მიერ წარმოდგენილი 591 სია, 369 მერობის კანდიდატი და 4,727 მაჟორიტარობის კანდიდატი დაარეგისტრირა. რეგისტრაციის პროცესი მხარეთა ჩართულობით და გამჭვირვალედ ჩატარდა. საქართველოში ორი წლის განმავლობაში ცხოვრების მოთხოვნის საარჩევნო კოდექსიდან ბოლო დროს ამოღებამ კანდიდატთა რეგისტრაციის პროცესის ჩართულობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ქალი კანდიდატები უმეტესწილად არასაკმარისად იყვნენ წარმოდგენილი. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა დამოუკიდებელ კანდიდატებსაც მიეცათ. რამდენიმე სუბიექტმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, რაც, გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთ შემთხვევაში ზეწოლით იყო გამოწვეული. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ განაცხადა, რომ პარტია არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებდა. ვინაიდან საარჩევნო კოდექსი მეორე ტურში გასული სუბიექტების მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის საშუალებას არ იძლევა, შედეგად ექვსიდან ორ ოლქში საარჩევნო მარათონი არ გამართულა.

თბილისის გარეთ წინასაარჩევნო კამპანია მთლიანობაში ნაკლები აქტიურობით გამოირჩეოდა და რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტის მიუხედავად, იგი ძირითადად მშვიდ ვითარებაში წარიმართა. მართალია, ფუნდამენტური თავისუფლებები ზოგადად დაცული იყო და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს წინასაარჩევნო კამპანიის თავისუფლად წარმოების შესაძლებლობა ჰქონდათ, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ, განსაკუთრებით პირველი ტურის დროს, მმართველი პარტიის მხარდაჭერის მიზნით საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებზე ზეწოლის ფაქტები დააფიქსირა, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება. ასევე გავრცელდა ინფორმაცია ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შემთხვევების შესახებ. რამდენიმე კანდიდატმა

საკუთარი კანდიდატურა მოხსნა, რაც, გავრცელებული ინფორმაციით, ზოგიერთი მათგანის შემთხვევაში ზეწოლით იყო გამოწვეული.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების სასარგებლოდ გაკეთებულ შემოწირულობებს შორის მნიშვნელოვანმა სხვაობამ თამაშის თანაბარი პირობები დაარღვია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელსაც წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობა ევალებოდა, პროფესიონალურად იმუშავა. ყველა კანდიდატს, მათ შორის, მეორე ტურის დროს, კამპანიის დაფინანსების შესახებ ანგარიშების წარდგენა დაევალა. თუმცა ფინანსური ანგარიშების შემოწმების და არჩევნების დღემდე დასკვნების გამოქვეყნების საბოლოო ვადების არარსებობის გამო წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობა შემცირდა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საჩივრებზე რეაგირებისთვის დროული საბოლოო ვადების არარსებობამ აღნიშნული სამსახურის მიერ არჩევნების დაფინანსების ზედამხედველობის ეფექტურობა შეზღუდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) რეკომენდაციების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული.

2012 წლის შემდეგ ზოგადად მედიის თავისუფლების მხრივ თვალშისაცემი გაუმჯობესება შეინიშნება. თუმცა მედიის ფინანსური მდგრადობისა და დამოუკიდებლობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები კვლავ რჩება. სამაუწყებლო მედია პოლარიზებულია და პოლიტიკურად აფილირებულად აღიქმება. სამოქალაქო საზოგადოების არაერთი ჯგუფი საზოგადოებრივ მაუწყებელზე მთავრობასთან დაკავშირებული პირებისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მზარდი ზეგავლენის გამო შეშფოთებას გამოხატავდა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მედიის რაოდენობრივი მონიტორინგი განახორციელა მედია საშუალებების მხრიდან წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაცვის შემოწმების მიზნით, თუმცა კომისიას მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების ტონი არ შეუფასებია. მიუკერძოებლობასთან შესაბამისობის მოთხოვნის შესრულების მონიტორინგი თითოეული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმების ფარგლებში ხორციელდებოდა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემულმა ინსტრუქციებმა არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ მეორე ტურში მედიით წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების შესაძლებლობები შეზღუდა.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ მედიის ძირითადი ნაწილი არჩევნებში მონაწილე მთავარ სუბიექტებზე აკეთებდა აქცენტს. საკუთარი გზავნილების გადასაცემად მედია საარჩევნო სუბიექტებს მრავალ შესაძლებლობას სთავაზობდა, მათ შორის, დებატების, თოქ-შოუების და რეკლამების სახით, რაც ამომრჩევლებს მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევდა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მედია საშუალების გაცნობის შედეგად. საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების გამოშვებებში არჩევნები კრიტიკული და ანალიტიკური კუთხით არ

შუქდებოდა, ყველაზე პოპულარული მაუწყებლების „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის მიდგომები წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და კონკრეტული პოლიტიკური მხარის სასარგებლოდ იხრებოდა. მედია მთელი ქვეყნის მასშტაბით უმეტესწილად მეორე ტურის ფარგლებში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის გაშუქების იგნორირებას ახდენდა, თუმცა ზოგიერთი ადგილობრივი მედია საშუალება ამომრჩეველს საარჩევნო სუბიექტების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა.

არჩევნებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი 1,200-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა, ძირითადად ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში; მათ 26%-ს ქალები შეადგენდნენ. წინასაარჩევნო კამპანიის დროს ეთნიკური წარმომავლობა დროდადრო ამომრჩეველთა მობილიზების ან პოლარიზირების საბაზი ხდებოდა. სიძულვილის ენის, მუქარის, ქსენოფობიის და დამაბულობის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა. საარჩევნო ადმინისტრაციამ ბიულეტენები და ამომრჩევლებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები ეროვნული უმცირესობების ენებზე უზრუნველყო.

ინკლუზიური პროცესის საშუალებით ცესკომ 30 საერთაშორისო და 71 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის აკრედიტაცია მოახდინა. საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე დამკვირვებლებისა და არჩევნებში მონაწილე სუბიექტების წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანმა მონაწილეობამ არჩევნების გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. ცესკომ არჩევნების მეორე ტურისთვის არსებული სადამკვირვებლო აკრედიტაციების გახანგრძლივება უზრუნველყო. გარდა ამისა, არჩევნებზე დაკვირვების მიზნით ცესკომ დამატებითი აკრედიტაციის საშუალებაც შექმნა. არჩევნების ორივე ტურის დროს პარტიებმა და კანდიდატებმა საარჩევნო უბნებზე კანონით დასაშვებზე მეტი წარმომადგენელი გაგზავნეს; ისინი ძირითადად ადგილობრივ დამკვირვებლებად ან მედიის წარმომადგენლებად იყვნენ დარეგისტრირებული. ამან უბნებზე ხალხმრავლობა გამოიწვია; დროდადრო აღნიშნული პირები საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ერეოდნენ ან მათი საქმიანობის წარმართვას ახდენდნენ, რამაც კენჭისყრის დღეს მიმდინარე პროცესებზე უარყოფითი ზეგავლენა იქონია.

საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო რთული და ზედმეტად შემზღვევითაა, მათ შორის, საჩივრების ავტორების მიმართაც. პირველი ტურის შემდეგ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 970, ხოლო ცესკოში 28 საჩივარი შეიტანეს. საჩივრები უმეტესწილად ღიად და კოლეგიალურად განიხილებოდა, შესაბამისი პროცედურებისა და კანონით დადგენილი საბოლოო ვადების დაცვით. თუმცა ბევრი საჩივარი პროცედურულ საფუძველზე იქნა უარყოფილი, მათ შორის, კანონის ფორმალისტურად განმარტების შედეგად. ამ პრაქტიკამ დარღვევებზე ეფექტიანი რეაგირების მიღწევის უფლება და საარჩევნო დავების გადაწყვეტის სისტემისადმი საზოგადოების ნდობა შეარყია. სასამართლოებში საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებული დავების განხილვა

ზოგჯერ კანონის თანმიმდევრულად აღსრულების პრინციპებს ბოლომდე არ შეესაბამებოდა.

21 ოქტომბერს საარჩევნო უბნების გახსნის და დახურვის პროცედურები თითქმის ყველა უბანზე შეფასდა როგორც „კარგი“ ან „ძალიან კარგი“ იმის მიუხედავად, რომ პარტიებთან ან კანდიდატებთან აფილირებულმა უფლებამოსილმა პირებმა რამდენიმე შემთხვევაში ამ პროცესებში ჩარევა სცადეს. ხმების დათვლის პროცესი შედარებით უარყოფითად შეფასდა, დაფიქსირდა გარკვეული პროცედურული დარღვევები. ზოგიერთი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის შედეგების ოქმების შევსება სირთულეებთან იყო დაკავშირებული. რიგ შემთხვევაში საარჩევნო უბნებზე მყოფი პირები, საარჩევნო უბნების გარეთ მყოფ უფლებამოსილ პირებთან თანამშრომლობის გზით, ამომრჩეველთა მიერ ხელმოწერილი სიებიდან ამომრჩევლებთან დაკავშირებულ მონაცემებს იწერდნენ. ცესკოს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ამგვარი ქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები ეკავათ.

12 ნოემბერს კენჭისყრის პროცედურები შეუფერხებლად და პროფესიონალურად განხორციელდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნული პროცედურები დადებითად შეაფასეს. პირველ ტურთან შედარებით ხმის დათვლის პროცედურების დაცვა აშკარად გაუმჯობესდა, რაც ნაკლებად რთული პროცესით და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების უკეთესად მომზადებით იყო განპირობებული. დარღვევებთან და პროცედურულ შეცდომებთან დაკავშირებით შედარებით ნაკლები რაოდენობის საჩივარი შევიდა. ბევრ საარჩევნო უბანთან მოქალაქეთა დიდი ჯგუფების თავმოყრა შეინიშნებოდა, და დამკვირვებლების განცხადებით, ამომრჩევლებზე შესაძლო ზეწოლის და დაშინების ნიშნები ფიქსირდებოდა. ცესკომ ორივე ტურის დასრულებისთანავე საკუთარ ვებგვერდზე ყველა საარჩევნო უბნის შედეგების შემაჯამებელი ოქმები გამოაქვეყნა და წინასწარი შედეგები გამოაცხადა.

## II. შესავალი და სამადლობელი სიტყვა

საქართველოს ხელისუფლების მოწვევის საფუძველზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით საქართველოში 12 სექტემბერს არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გახსნა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია, რომელსაც კორინ იონკერი ხელმძღვანელობდა, თბილისში მომუშავე 17 ექსპერტისა და ქვეყნის მასშტაბით განლაგებული 22 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგებოდა პირველი ტურის და 15 ექსპერტისა და 12 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან მეორე ტურის განმავლობაში.

არჩევნების პირველ ტურზე დაკვირვების მიზნით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და



რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის დელეგაცია შეუერთდა, რის შედეგადაც საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია შეიქმნა. ორივე ორგანიზაცია არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების 2005 წლის დეკლარაციის დაცვით მოქმედებდა.<sup>2</sup> 21 ოქტომბერს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ ეუთოს 30 წევრი ქვეყნის წარმომადგენელი 196 დამკვირვებელი ქვეყნის მასშტაბით გადაანაწილა; ხოლო 12 ნოემბერს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ 106 დამკვირვებელი მოიწვია. მისიის წევრები ეუთოს 31 წევრ ქვეყანას წარმოადგენდნენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შეაფასა საარჩევნო პროცესის შესაბამისობა ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და ვალდებულებებთან და ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან. წინამდებარე საბოლოო ანგარიში 22 ოქტომბერს და 13 ნოემბერს გამართული პრესკონფერენციების დროს გამოქვეყნებულ ანგარიშებს სახელწოდებით „მოხსენება წინასწარი მიგნებებისა და დასკვნების შესახებ“ ეფუძნება.<sup>3</sup>

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას სურს, მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისთვის, ასევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარების აღმოჩენისთვის. მისია ასევე მადლიერებას და პატივისცემას გამოხატავს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების, პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ გაწეული თანამშრომლობისთვის.

### III. წინაისტორია და პოლიტიკური კონტექსტი

21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურაში რამდენიმე თვით ადრე შეტანილი ცვლილებების ფარგლებში ჩატარდა. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული რეფორმა განხორციელდა; 14 მუნიციპალიტეტი გაერთიანდა, ხოლო შვიდმა ქალაქმა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი დაკარგა.<sup>4</sup> ამომრჩევლებმა 64 საკრებულოს წევრები და 64 მერი აირჩიეს, მათ შორის, თბილისსა და ოთხ თვითმმართველ ქალაქში. ადმინისტრაციულმა რეფორმამ საარჩევნო ოლქების საზღვრებზე ზეგავლენა იქონია. არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ ვადაში

<sup>2</sup> იხ. [არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების საერთაშორისო დეკლარაცია](#)

<sup>3</sup> იხ. [დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა ანგარიში საქართველოზე](#).

<sup>4</sup> რეფორმამ ზეგავლენა იქონია ზუგდიდის, გორის, თელავის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთისა და ახალციხის სტატუსზე.

საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტური ასპექტების ცვლილება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>5</sup>

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა – 150-დან 115 მანდატი. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 27 მანდატი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ – 6, ხოლო „მრეწველობა გადაარჩენს საქართველომ“ 1 მანდატი მიიღო. გარდა ამისა, პარლამენტში 1 დამოუკიდებელი კანდიდატი აირჩიეს. არჩევნების შემდეგ პარლამენტის 21-მა წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და „მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველო“ ჩამოაყალიბა.

„ქართული ოცნების“ მიერ 2017 წლის დასაწყისში შეთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტმა პოლიტიკურ პარტიებში დისკუსიები და პოლიტიკური დებატების პოლარიზება გამოიწვია.<sup>6</sup> პარტიებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აღნიშნული ცვლილებების თაობაზე ფართო კონსენსუსის მიღწევა ვერ შეძლეს. 26 სექტემბერს აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებები დამტკიცდა; პროტესტის ნიშნად საპარლამენტო ოპოზიციამ კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა. 9 ოქტომბერს პრეზიდენტმა შეთავაზებულ ცვლილებებს ვეტო დაადო, თუმცა 13 ოქტომბერს პარლამენტმა ვეტო დაძლია, რის შედეგადაც აღნიშნული ცვლილებები საბოლოოდ ძალაში შევიდა.<sup>7</sup>

#### IV. საარჩევნო სისტემა

საკრებულოებში არჩევნები შერეული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ტარდება. თბილისში საკრებულოს 25 წევრს – პროპორციული სიით, ხოლო 25-ს მაჟორიტარული სისტემით ირჩევენ. თვითმმართველ ქალაქებში (ქუთაისი, ფოთი, ბათუმი და რუსთავი) საკრებულოების 15 წევრი – პროპორციული სიით, ხოლო 10 კი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. დანარჩენ 59 მუნიციპალიტეტში 15 წევრი – პროპორციული სიებით, ხოლო 1 წევრი მაჟორიტარული სისტემით თითოეული დასახლებიდან აირჩევა; გარდა ამისა, 1-დან 5-მდე მაჟორიტარი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციული ცენტრის წარმომადგენლად აირჩევა და რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული თვითმმართველი თემის სიდიდეზე. აღნიშნული

<sup>5</sup> ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის 2002 წლის კოდექსის თანახმად საარჩევნო კანონის ფუნდამენტურ ელემენტებში, კონკრეტულად კი საარჩევნო სისტემის, საარჩევნო კომისიების წევრობის და საარჩევნო ოლქების საზღვრების დადგენის კუთხით ცვლილებები არჩევნებამდე ერთ წელზე ნაკლებ ვადაში არ უნდა შევიდეს.

<sup>6</sup> საკონსტიტუციო ცვლილებები პრეზიდენტის უფლებამოსილების პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კომპეტენციაში გადაცემას ითვალისწინებს. აგრეთვე, ცვლილებები პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის გაუქმებას, ხოლო 2024 წლიდან პარლამენტის მთლიანად პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით არჩევას გულისხმობს. აღნიშნულ ცვლილებებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არავითარი იურიდიული ზეგავლენა არ მოუხდენია.

<sup>7</sup> 2017 წლის 9 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით [საკუთარი მოსაზრება](#) გამოაქვეყნა.

ფორმულა სხვადასხვა საარჩევნო ოლქში მცხოვრები ამომრჩევლების საარჩევნო უფლებების კუთხით მნიშვნელოვან უთანასწორობას იწვევს, თუმცა უმცირესობებისა და მცირემოსახლეობიანი დასახლებების წარმომადგენლობას ხელს უწყობს.<sup>8</sup>

პროპორციულ არჩევნებში ის პარტიები ან ბლოკები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეთა ხმების მინიმუმ 4%-ს მიიღებენ, მონაწილეობენ საკრებულოებში ადგილების გადანაწილებაში. რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, ის კანდიდატი ჩაითვლება არჩეულად, რომელიც ხმების უმეტესობას დააგროვებს. მერების არჩევა პირდაპირი წესით ხდება. გამარჯვებულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტს მიიღებს. თუ ხმების აღნიშნულ რაოდენობას ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს, არჩევნების მეორე ტური საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის არჩევნების ჩატარებიდან 25 დღის ვადაში გაიმართება.

## V. საკანონმდებლო ჩარჩო

ადგილობრივი არჩევნები ძირითადად 1995 წლის კონსტიტუციით, 2011 წელს დამტკიცებული საარჩევნო კოდექსით, 2014 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცემული აქტებით რეგულირდება. საკანონმდებლო ჩარჩო ყოვლისმომცველია და არჩევნების დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად ჩასატარებლად სათანადო საფუძველს ქმნის. თუმცა კვლავ სახეზეა გარკვეული ნაკლოვანებები და შეუსაბამობები, რომლებიც კანდიდატებისა და ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უფლებებთან, წინასაარჩევნო კამპანიის შეზღუდვებთან და დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან არის დაკავშირებული. საარჩევნო უფლებების გარკვეული არაჯეროვანი შეზღუდვები ასევე შეშფოთების საგანს წარმოადგენს (იხ. „პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია“, „ამომრჩევლების რეგისტრაცია“ და „საჩივრები და სარჩევნები“).

საარჩევნო კოდექსში მეორე ტურთან დაკავშირებით კონკრეტული რეგულაციები არ არსებობს. მართალია, კანონმდებლობა ზოგადად ორივე ტურს შეეხება, მაგრამ მეორე ტურთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტები არათანმიმდევრული და ბუნდოვანია, რაც მეორე ტურის წინ დროდადრო იურიდიულ გაურკვევლობას იწვევდა. უფრო კონკრეტულად, ეს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგულირებას,

<sup>8</sup> მაჟორიტარულ არჩევნებში თანაბარი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება არ არსებობს. 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის დადგენილი ხუთი ახალი მაჟორიტარული ოლქიდან მხოლოდ ერთში დაფიქსირდა თითოეულ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საშუალო რაოდენობიდან 15%-მდე ფარგლებში გადახრა. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის I 2.2 პუნქტის მიხედვით მანდატები თანაბრად უნდა იყოს განაწილებული საარჩევნო ოლქებს შორის, ამ დროს ნორმიდან დასაშვები გადახრა მაქსიმუმ 15%-ს შეადგენს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, მაგ., კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობების და მცირემოსახლეობიანი ადმინისტრაციული ერთეულების უფლებების დაცვა.

ამომრჩევლების და კანდიდატების რეგისტრაციას და ასევე მედიასთან დაკავშირებულ გარკვეულ დებულებებს შეეხება.

საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2017 წლის ივლისში შევიდა. ცვლილებების უმეტესი ნაწილი ტექნიკური ხასიათის იყო. ცვლილებების შედეგად კანდიდატურასთან დაკავშირებული მოთხოვნები გამარტივდა, არარეგისტრირებული ამომრჩევლების რეგისტრაციისთვის კონკრეტული ვადები დაწესდა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა დაინერგა.<sup>9</sup> თუმცა ამ ცვლილებებით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე შეთავაზებული მთავარი რეკომენდაციები გათვალისწინებული არ ყოფილა.

*სასურველია, მოხდეს საარჩევნო კოდექსის საფუძვლიანი გადახედვა არაჯეროვანი შეზღუდვების, ნაკლოვანებებისა და შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, მეორე ტურთან მიმართებაში. ნებისმიერი საარჩევნო რეფორმა მხარეთა ჩართულობით და მომდევნო არჩევნებამდე გარკვეული ხნით ადრე უნდა განხორციელდეს.*

## VI. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება ხორციელდება სამ-დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო და 3,634 საუბნო საარჩევნო კომისიისგან შედგება.<sup>10</sup> ყველა დონის საარჩევნო კომისიაში 13 წევრია, აქედან 7 წევრს ის პარტიები წარადგენენ, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ (კვალიფიციური პარტიები).<sup>11</sup> ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურას პრეზიდენტი ასახელებს და ცესკოს წევრთა ორი მესამედი ირჩევს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხუთ არაპარტიულ წევრს პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან ირჩევს.<sup>12</sup> პარტიების მიერ დასახელებული წევრების გარდა საოლქო საარჩევნო კომისიებში ცესკოს მიერ

<sup>9</sup> ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება ძალაში მხოლოდ 21 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შევა. ამ ცვლილებებში საარჩევნო კომისიების შემადგენლობასთან დაკავშირებული ახალი დებულებები შედის, რის შედეგადაც გაიზრდება მმართველი პარტიის წარმომადგენლობა ადმინისტრაციის ყველა დონეზე.

<sup>10</sup> პირველ ტურში სასჯელადსრულების დაწესებულებებში დამატებით 10 სპეციალური საარჩევნო უბანი შეიქმნა. მეორე ტურის ადმინისტრირება 6 საოლქო საარჩევნო კომისიის და 317 (მათ შორის, ერთი სასჯელადსრულების დაწესებულებაში) საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ განხორციელდა.

<sup>11</sup> მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის მიხედვით ეს ის პარტიებია, რომლებმაც წინა საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე ხმების მინიმუმ 3% მიიღეს. ჩატარებულ არჩევნებში კვალიფიციური პარტიები იყვნენ: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“, „ევროპული საქართველო“, „ქართული ოცნება“, „მრეწველობა გადარჩენს საქართველოს“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

<sup>12</sup> იმ შემთხვევაში, თუ ცესკო თავმჯდომარის არჩევას ვერ შეძლებს, მას პარლამენტი ხმათა უმრავლესობით აირჩევს.

ღია კონკურსით შერჩეული ხუთი მუდმივი და ერთი დროებითი წევრია. ამჟამად საუბნო საარჩევნო კომისიებში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ზემოთხსენებული წესით შერჩეული ექვსი წევრი შედის. ცესკოს სამი წევრი, მათ შორის თავმჯდომარე, ქალია. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 62%-ს (საუბნო საარჩევნო კომისიებში ეს მაჩვენებელი 71%-ს აღწევს), ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა 36%-ს (საუბნო საარჩევნო კომისიებში ეს მაჩვენებელი 63%-ია) ქალები შეადგენენ.

მართალია, ცესკო ზოგადად დაინტერესებული მხარეების ნდობით სარგებლობდა, მაგრამ ზოგიერთმა ოპოზიციურმა კანდიდატმა საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა ეჭვქვეშ დააყენა, განსაკუთრებით საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის კუთხით. გამოთქმული პრეტენზიების თანახმად განცხადებების განხილვა და კანდიდატების შერჩევა საჯარო სხდომებზე არ მომხდარა.<sup>13</sup> საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობასთან დაკავშირებით დეტალური საკანონმდებლო კრიტერიუმების არარსებობის ფონზე, ცესკოს რეკომენდაციით, საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება და ტრენინგებში მონაწილეობა გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობაზე მცირე რაოდენობით განაცხადი დაფიქსირდა, რამაც საოლქო საარჩევნო კომისიებს არჩევანი შეუზღუდა.<sup>14</sup> ცესკოს ინფორმაციით, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 82%-ს საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება გააჩნდა, ხოლო 60%-ზე მეტი იმავე თანამდებობებზე 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც მუშაობდა. საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული ზოგიერთი წევრი მანამდე პარტიების მიერ იყო დანიშნული.

საუბნო საარჩევნო კომისიების ფორმირება და პირველი სხდომების გამართვა კანონით განსაზღვრულ ვადებში მოხდა. შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული წევრები საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ თანამდებობებზე იყვნენ არჩეული. იმ საუბნო საარჩევნო კომისიებში, სადაც ხელმძღვანელი პირები პარტიების მიერ დანიშნენ, შედეგები „ქართულ ოცნების“ ან მისი მოკავშირე პარტიების სასარგებლოდ გადაიხარა.<sup>15</sup> პირველი ტურის შემდეგ ზოგიერთმა პოლიტიკურმა პარტიამ თავისი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები, მათი სხვა პირების ჩანაცვლების გარეშე, მოხსნა; ამის

<sup>13</sup> ექვსი საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიებში პერსონალის შერჩევასა და გამჭვირვალობის ნაკლებობას ეხებოდა; აქედან სამი საჩივარი კრწანისის საოლქო საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა, ხოლო დანარჩენი სამი ცესკომ საჩივრის შემოტანასთან დაკავშირებული ვადების დარღვევის მოტივით წარმოებაში არ მიიღო.

<sup>14</sup> საშუალოდ განაცხადების რაოდენობა რვაზე ნაკლები იყო, თითოეულ საუბნო საარჩევნო კომისიაში ექვსი ვაკანტური ადგილის შესავსებად. ცესკოს ინფორმაციით 46 ვაკანტური ადგილი მხოლოდ კონკურსების ხელახლა გამოცხადების შემდეგ შეივსო.

<sup>15</sup> მაგალითად, 224-დან 221 საუბნო საარჩევნო კომისიაში, სადაც თავმჯდომარეებად პარტიების მიერ ნომინირებული წევრები აირჩიეს, ისინი „ქართული ოცნების“ ან „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ მიერ იყვნენ წარდგენილი.

შედეგად საუბნო საარჩევნო კომისიებში გამოთავისუფლებული 696 ვაკანტური ადგილი საოლქო საარჩევნო კომისიებით შეივსო.<sup>16</sup>

*სასურველია, რომ ხელისუფლებამ ქვედა დონის კომისიების წევრთა შერჩევის პროცედურების გაუმჯობესების და ამ პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის შესაძლებლობა განიხილოს, რაც საუბნო საარჩევნო კომისიების შერჩევის მკაფიო კრიტერიუმების შემუშავებითა და გამოქვეყნებით და ასევე შერჩევის პროცესის საჯარო სხდომებზე წარმართვით არის შესაძლებელი. საუბნო საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელი პოზიციები შესაბამის ტრენინგებში მონაწილე და არჩევნების ადმინისტრირების კუთხით გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული კადრებისგან უნდა დაკომპლექტდეს.*

მთლიანობაში არჩევნების ადმინისტრირება ყველა დონეზე დროულად, ეფექტურად და პროფესიონალურად განხორციელდა. ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა კანონით დადგენილ ვადებში დაახლოებით 17,000 კანდიდატი დაარეგისტრირეს, საუბნო საარჩევნო კომისიების 21,804 წევრი შეარჩიეს, მრავალი დამკვირვებლის და საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლების აკრედიტაცია განახორციელეს, დაამზადეს და გაავრცელეს ამომრჩეველთა სიები, დაბეჭდეს და გაავრცელეს 9.5 მილიონზე მეტი ბიულეტენი და სხვა საარჩევნო მასალა.

მართალია, ცესკო რეგულარულად ატარებდა სხდომებს, საოლქო საარჩევნო კომისიები მხოლოდ კონკრეტული მიზნებისთვის იკრიბებოდნენ; სხდომები ღია იყო აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.<sup>17</sup> ცესკოს სხდომების დღის წესრიგი და ოქმები რეგულარულად ქვეყნდებოდა ცესკოს ვებგვერდზე, განსხვავებით საოლქო საარჩევნო კომისიებისგან. საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა უმეტესწილად გამჭვირვალე იყო; თუმცა ცესკო დროდადრო არაფორმალურ მოსამზადებელი ხასიათის შეხვედრებსაც ატარებდა, რომლებზეც ცესკოს ყველა წევრს იწვევდნენ, მათი მონაწილეობა კი ნებაყოფლობითი იყო. აღნიშნული ფორმატის სხდომები დამკვირვებლებისთვის დახურული იყო, რაც ცესკოს სხდომებზე არსებითი საჯარო დისკუსიების ნაკლებობას იწვევდა. მთლიანობაში ცესკოს მიერ გაწეული მუშაობა კოლეგიალურობით და მხარეთა ჩართულობით ხასიათდებოდა. თუმცა კანონის მოთხოვნა, რომელიც ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებს არსებით საკითხებზე ინდივიდუალურ რეჟიმში გადაწყვეტილებების მიღებას ავალდებულებს,

<sup>16</sup> „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ქრისტიან-კონსერვატიულმა პარტიამ“ დანიშნული წევრები მეორე ტურის წინ ყველა საუბნო საარჩევნო კომისიიდან გაიწვია.

<sup>17</sup> არჩევნების პერიოდში ცესკომ 24 სხდომა, მათ შორის 3 სხდომა პირველ და მეორე ტურს შორის, ჩაატარა.

კოლეგიალურობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.<sup>18</sup>

*საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის და მისდამი ნდობის ასამაღლებლად სასურველია, რომ ცესკომ ყველა არსებითი საკითხის საჯარო სხდომებზე განხილვის შესაძლებლობაზე იმსჯელოს. გარდა ამისა, კანონში მითითებული უნდა იყოს, რომ ყველა არსებითი საარჩევნო საკითხი საარჩევნო კომისიების და არა თავმჯდომარეების პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. როგორც წინა რეკომენდაციებში იყო ნახსენები, სასურველია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცენტრალურ დონეზე გამოქვეყნების ვალდებულება დაწესდეს.*

ცესკოს სწავლების ცენტრმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის ტრენინგები ჩაატარა, ელექტრონული სასწავლო პროგრამა შეიმუშავა, ასევე არჩევნების დღის პროცედურებთან დაკავშირებით ბროშურები გამოსცა და ვიდეო რგოლები მოამზადა.<sup>19</sup> საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები, რომლებსაც ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დააკვირდა, ინფორმაციული და ინტერაქტიული იყო, თუმცა ზოგჯერ ტრენინგებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა. პირველი ტურის დროს მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით არჩევნების მეორე ტურამდე საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის დამატებითი ტრენინგები ჩატარდა. აღნიშნული ტრენინგების დროს განსაკუთრებული ყურადღება ხმების დათვლის პროცედურებს და შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებას დაეთმო, ამ მიმართულებით პრაქტიკული სავარჯიშოებიც შესთავაზეს.

*სასურველია, რომ ცესკოს სწავლების ცენტრმა კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებული ტრენინგების ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობა განიხილოს, განსაკუთრებული ყურადღება ხმების დათვლას და შემაჯამებელი ოქმების შევსებას უნდა დაეთმოს პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით.*

ცესკომ ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ ამომრჩევლის ყოვლისმომცველი ინფორმირება შეხვედრების, ვიდეო რგოლების და ბეჭდური მასალის მეშვეობით უზრუნველყო, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების და ქვების ენაზე. ცესკომ

<sup>18</sup> სხვა უფლებებთან ერთად, ცესკოს თავმჯდომარეს კანონით ევალება პოლიტიკური პარტიების სახელმწიფო დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა, პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების საარჩევნო სუბიექტებად რეგისტრირება, პროცედურულ საფუძველზე საჩივრების უარყოფის შესახებ დადგენილებების გამოცემა და სასამართლოსთვის საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივრების მოთხოვნით მიმართვა. საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსაც მსგავსად გააჩნიათ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებისა და მაჟორიტარობის კანდიდატების რეგისტრირების და საჩივრების პროცედურულ საფუძველებზე უარყოფის უფლება.

<sup>19</sup> გარდა ამისა, მოხდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების დატრენინგება, მათ შორის იყვნენ სახელმწიფო და ადგილობრივი ოფიციალური პირები, სასამართლო ხელისუფლების და მედიის წარმომადგენლები და პროცესში ჩართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.

შეზღუდული შესაძლებლობების პირთა არჩევნებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით რამდენიმე მისასალმებელი ინიციატივა განახორციელა, მათ შორის, მოეწყო ადაპტირებული საარჩევნო უბნები, სადაც რამდენიმე სპეციალური საარჩევნო ჯიხური განთავსდა. არჩევნების ტურებს შორის პერიოდში ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანია იმ ექვსივე ოლქში გაგრძელდა, სადაც მეორე ტური დაინიშნა, მათ შორის ხდებოდა ბროშურების დარიგება და ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებული ვიდეო რგოლების ტელევიზიით ტრანსლირება.

## VII. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა პირს აქვს, გარდა იმ პირებისა, რომელთაც პატიმრობა ხუთ წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი. სასამართლოს მიერ ცნობილი ბენეფიციარის სტატუსის მქონე პირები ხმის მიცემის უფლებით სარგებლობენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი სტაციონარში იმყოფებიან. სასამართლოს მიერ ცნობილი ბენეფიციარის სტატუსის მქონე ამომრჩევლებისთვის, რომლებიც ფსიქიკური დარღვევების გამო სტაციონარში არიან მოთავსებული, საარჩევნო უფლებების ერთიანად ჩამორთმევა საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.<sup>20</sup>

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი პასიურია. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, ცესკო ამომრჩეველთა სიების შედგენაზე პასუხისმგებელია.<sup>21</sup> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ამომრჩეველთა სიების ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ნაბიჯები გადადგა, მათ შორის, ამომრჩეველთა გადამოწმების მიზნით კარდაკარ შემოწმების განხორციელება და სახის ამოცნობის სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენება პოტენციური დუბლირებების გამოსავლენად. ამის შედეგად, არჩევნებამდე დარჩენილი რვა თვის პერიოდში სიიდან 12,274 ადამიანი ამოიღეს, აქედან 1,961 გარდაცვლილი პირი.<sup>22</sup> საარჩევნო კოდექსში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად მისამართის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არმქონე ამომრჩევლებს და ასევე იმ პირებს, რომელთა რეგისტრაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ძალადაკარგულად გამოაცხადა, ხელახალი რეგისტრაციის შესაძლებლობა მიეცათ. ამ

<sup>20</sup> [შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის](#) მე-12 მუხლის მიხედვით „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად ცხოვრების ყველა სფეროში“.

<sup>21</sup> მაგალითად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო და მისი ტერიტორიული ერთეულები – იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – გარდაცვლილ ამომრჩევლებზე, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო უცხოეთში მყოფ პირებზე წარმოადგენს ინფორმაციას.

<sup>22</sup> ამომრჩეველთა სიებიდან ამომრჩევლის ამოღების სხვა მიზეზებს შორის იყო მისამართის არარსებობა ან არასრულად მითითება და დუბლირებული ინფორმაცია.



შესაძლებლობით 5,014-მა ამომრჩეველმა ისარგებლა. დაინტერესებულმა მხარეებმა ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით არჩევნების ორივე ტურში დიდი ნდობა გამოხატეს.

*როგორც წინა რეკომენდაციებში აღინიშნა, სასურველია, რომ გარდამავალი დებულებების მიღების ნაცვლად ხელისუფლებამ ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართების არმქონე ამომრჩევლებისთვის პერმანენტული გადაწყვეტილება მიიღოს.*

ამომრჩეველთა სიებში პირადობის დამადასტურებელი მოქმედი მოწმობის ან ბიომეტრული პასპორტის მქონე ის ამომრჩევლები არიან შეყვანილი, რომლებიც მუდმივ ან დროებით მისამართზე არიან რეგისტრირებული. მთავრობის პროგრამის ფარგლებში არჩევნების პირველ ტურამდე 89,274 მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობები უფასოდ დაურიგდა. ამჟამინდელი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, ამომრჩეველთა სიებში დაახლოებით 199,300 იძულებით გადაადგილებული პირი შეიყვანეს. მათ, ვისაც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი შეჩერებული ჰქონდათ ან ოფიციალური სტატუსი არ გააჩნდათ, ამის შესახებ ეცნობათ და რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა მიეცათ. კანონმდებლობაში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებების შედეგად არჩევნებში მონაწილეობისთვის იძულებით გადაადგილებულ პირთა მოწმობების გამოყენება აღარ არის სავალდებულო. ისევე როგორც სხვა ამომრჩევლების შემთხვევაში, იძულებით გადაადგილებულ პირებს პირადობის დამადასტურებელი ერთ-ერთი დოკუმენტის წარმოდგენა მოეთხოვებოდათ.

2014 წლის შემდეგ თითოეული ამომრჩევლის რეგისტრაციას თან უნდა ახლდეს ციფრული ფოტო, რაც ამომრჩეველთა იდენტიფიცირების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებაა. თუმცა ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება სიებში არსებულ ფოტოებსა და მათ მიერ კენჭისყრის დღეს წარმოდგენილ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში არსებულ ფოტოებს შორის შეუსაბამობების არსებობის შემთხვევაშიც ეძლეოდათ.<sup>23</sup> სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო 2,049 მოქალაქეს დაუკავშირდა, რომელთაც რეესტრში უხარისხო ფოტოები ჰქონდათ ან რომელთა ფოტოები საერთოდ არ მოიპოვებოდა; აქედან 228 საქმე წარმატებით გადაწყდა. თუმცა, ცესკომ ფოტოების უხარისხობის ან არარსებობის მიზეზით სიებში 1,780 ამომრჩეველი არ შეიყვანა. შედეგად მათ საარჩევნო უფლების

<sup>23</sup> შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა შესაბამისი ჩანაწერი უნდა გააკეთოს ჟურნალში. აღნიშნულ ჩანაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ხელმოწერებით ადასტურებენ და მას ამომრჩევლის მიერ მოწოდებული დოკუმენტის ასლს თან ურთავენ. აღნიშნული ჩანაწერები ცესკოს და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეგზავნება ამ მონაცემების სახელმწიფო რეესტრში გადამოწმების მიზნით.

განხორციელების საშუალება ჩამოერთვათ, რაც საერთაშორისო ვალდებულებებს არ შეესაბამება.<sup>24</sup>

*სასურველია, ხელისუფლებამ შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს, რათა ტექნიკური ხარვეზები საარჩევნო უფლებების ჩამორთმევის საბაზი არ გახდეს.*

ამომრჩევლებს სიებში საკუთარი მონაცემების გადამოწმების და ამ მონაცემებში შესწორებების მოთხოვნის საკმარისი შესაძლებლობა მიეცათ. 21 ოქტომბრიდან 3 ოქტომბრამდე პერიოდში ამომრჩეველთა წინასწარი სიები საარჩევნო უბნებსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში იყო გამოკრული. გარდა ამისა, ამომრჩეველს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმება ცესკოს ვებგვერდზე და ასევე მთელს ქვეყანაში განლაგებული 9,500 სწრაფი გადახდის აპარატების მეშვეობით შეეძლო. ცესკოს ინფორმაციით, საკუთარი მონაცემები 400,000-მა მოქალაქემ გადაამოწმა.<sup>25</sup> ცესკომ 11 საარჩევნო სუბიექტს და სამოქალაქო საზოგადოების ერთ ორგანიზაციას ამომრჩეველთა სიების ციფრული ვერსიები, მათი მოთხოვნის საფუძველზე, კანონის შესაბამისად მიაწოდა.

არჩევნებისთვის სულ 3,440,123 ამომრჩეველი დარეგისტრირდა. ამომრჩეველთა საბოლოო სიებში არჩევნების ორ ტურს შორის პერიოდში გარკვეული ცვლილებები შევიდა, რის შედეგადაც სიებიდან ამ პერიოდში გარდაცვლილი 290 ადამიანი ამოიღეს და 258 ამომრჩეველი შეიყვანეს, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში, მათ შორის კენჭისყრის დღეს, 18 წლის შესრულდნენ. ამომრჩეველთა სიებში სხვა ცვლილებების შეტანა ნებადართული არ ყოფილა.<sup>26</sup> იმ ექვს საარჩევნო ოლქში, სადაც მეორე ტური გაიმართა, სულ 328,272 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. პირველი ტურის დროს სპეციალურ სიებში შეყვანილმა ამომრჩევლებმა აღნიშნული სტატუსი შეინარჩუნეს. გარდა ამისა, საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებებიც იყო ასახული. მეორე ტურის წინ ამომრჩეველთა სიები საარჩევნო უბნებზე გამოიკრა და ცესკოს ვებგვერდზეც გამოქვეყნდა.

<sup>24</sup> [ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“](#) 24-ე პუნქტის მიხედვით ნებისმიერი შეზღუდვა კანონის მიზნებს და ამოცანებს უნდა ეხმიანებოდეს და მათი პროპორციული უნდა იყოს. [1996 წლის გაეროს ადამიანის უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი](#) #25-ის მე-10 პუნქტის მიხედვით საარჩევნო უფლების ნებისმიერი შეზღუდვა გონივრული უნდა იყოს.

<sup>25</sup> მთლიანობაში სიებში შესწორებების შეტანასთან დაკავშირებით 1,863 მოთხოვნა შევიდა, აქედან 1,686 მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო 177 უარყოფილი იქნა. დაკმაყოფილებულ მოთხოვნებში გარდაცვლილი ამომრჩევლების სიებიდან ამოღება და ამომრჩევლების მათ რეალურ საცხოვრებელ მისამართებთან ახლოს მდებარე საარჩევნო უბნებზე რეგისტრირება შედიოდა. დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები განმცხადებელთა რეგისტრირებული მისამართების ან მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობების არარსებობით იყო გამოწვეული.

<sup>26</sup> მართალია, საარჩევნო კოდექსში ნათლად არ არის მითითებული, შესაძლებელია თუ არა ორ ტურს შორის ამომრჩეველთა სიებში შესწორებების შეტანა, ცესკომ, საკუთარი გადაწყვეტილებით, მეორე ტურამდე ამომრჩეველთა სიებში შემდგომი შესწორებების შეტანა შეწყვიტა. ცესკოს განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება იმ სპეკულაციების პრევენციის მიზნით მიიღო, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იყო ამომრჩევლების მიერ საკუთარი მისამართების კონკრეტული კანდიდატების მხარდაჭერის მიზნით შეგნებულად შეცვლა.

## VIII. პარტიებისა და კანდიდატების რეგისტრაცია

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება ხმის მიცემის უფლების მქონე 21 წელს მიღწეულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია; ხოლო მერობის კანდიდატი მოქალაქე მინიმუმ 25 წლის უნდა იყოს. კანდიდატების მიმართ არჩევნებამდე საქართველოში მინიმუმ ორი წლის მანძილზე ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნის მცირე ხნით ადრე გაუქმებამ კანდიდატებისთვის არჩევნებში მონაწილეობა გაამარტივა და მათი რეგისტრაციის პროცესში ჩართულობაზე დადებითი ზეგავლენა იქონია. თუმცა, ქვეყანაში ჯამში მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე ცხოვრების მოთხოვნა კვლავ ძალაში რჩება, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>27</sup> კანონის მიხედვით, თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატები უნდა ფლობდნენ ქართულ ენას; ამგვარი მოთხოვნა სხვა მუნიციპალიტეტების მიმართ არ გამოიყენება. თუმცა, ენასთან დაკავშირებული ეს მოთხოვნა რეალურად არ სრულდება.<sup>28</sup> ზოგადად, პროცესში ჩართულ მხარეებს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას კანდიდატების რეგისტრაციის პროცესის მიმართ პრეტენზიები არ გამოუთქვამთ.

*კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დებულებების საერთაშორისო ვალდებულებებთან და მიღებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის ქართული ენის ფლობასთან და ასევე ქვეყანაში ჯამში მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა გაუქმდეს.*

არჩევნებში კანდიდატების წარსადგენად პარტიები ცესკოში უნდა იყვნენ რეგისტრირებული. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მანამდე გაცემული რეკომენდაციების თანახმად, განხორციელდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის ცვლილება; შედეგად იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში პარტიების რეგისტრაციასთან დაკავშირებული მონაცემების ცესკოსთვის მიწოდების პროცედურები გაუმჯობესდა. იმ პარტიებს, რომელთაც წინა საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ, დამატებით მთელი ქვეყნის მასშტაბით მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება

<sup>27</sup> ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის 1.1.c.iv-ე მუხლის მიხედვით „ქვეყანაში ცხოვრების სავალდებულო ვადა ექვს თვეს არ უნდა აღემატებოდეს; უფრო ხანგრძლივი ვადის დაწესება მხოლოდ ეროვნული უმცირესობების დასაცავად არის დასაშვები; გარდა ამისა, ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 7.3-ე პუნქტის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოებმა ზრდასრული მოქალაქეებისთვის საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლებების უზრუნველყოფა უნდა მოახდინონ.“ ამასთან, იმავე დოკუმენტის 24-ე პუნქტის მიხედვით ნებისმიერი შეზღუდვა კანონის მიზნებს და ამოცანებს უნდა ეხმიანებოდეს და მათი პროპორციული უნდა იყოს.“

<sup>28</sup> ცესკომ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას განუცხადა, რომ თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებმა ქართული ენის ცოდნა შესაბამისი განაცხადის ფორმებზე ხელმოწერით დაადასტურეს.

დაევალებათ.<sup>29</sup> ცესკომ წარდგენილი ხელმოწერები შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების თანდასწრებით გადაამოწმა. ცესკოს ჯამში 38-მა პარტიამ მიმართა, აქედან 36-ის რეგისტრაცია მხარეთა ჩართულობით და გამჭვირვალედ განხორციელდა, ხოლო ორ პარტიას რეგისტრაციაზე უარი კონკრეტული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის მიზეზით ეთქვა.<sup>30</sup> სამ პარტიას პირადი განცხადების საფუძველზე რეგისტრაცია გაუუქმდა.<sup>31</sup> თერთმეტმა პარტიამ შემდგომში ხუთი საარჩევნო ბლოკი შექმნა, ხოლო 22 პარტია მონაწილეობას დამოუკიდებლად იღებდა.

დამოუკიდებელი კანდიდატების ნომინირება მინიმუმ ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარ საინიციატივო ჯგუფებს შეუძლიათ. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მანამდე გაცემული რეკომენდაციების თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილების შედეგად, დამოუკიდებელ კანდიდატებს მერის არჩევნებშიც შეუძლიათ მონაწილეობა; ამისთვის მათ შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მინიმუმ 1%-ის მხარდამჭერი ხელმოწერები უნდა შეეგროვებინათ. თუმცა პარტიებს ხელმოწერების შესაგროვებლად, ცესკოში განცხადების შეტანიდან 60 დღე ჰქონდათ მაშინ, როდესაც დამოუკიდებელ კანდიდატებს ამისთვის 10 დღეზე ნაკლები ვადა მიეცათ.<sup>32</sup> ამან დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის, პარტიების მიერ ნომინირებულ კანდიდატებთან შედარებით, უთანასწორო შესაძლებლობები შექმნა.<sup>33</sup> მთლიანობაში, არჩევნებში დამოუკიდებლად 11 მერობისა და 190 მაჟორიტარობის კანდიდატი მონაწილეობდა.<sup>34</sup>

*სასურველია, რომ როგორც დამოუკიდებელი, ისე პარტიების მიერ ნომინირებული კანდიდატების მხარდამჭერი ხელმოწერების შესაგროვებლად კანონში თანაბარი პირობები განისაზღვროს.*

<sup>29</sup> კვალიფიციურ პარტიებს – 1,000, ხოლო არაკვალიფიციურ პარტიებს 25,000 ხელმოწერის შეგროვება ევალებოდათ.

<sup>30</sup> „საქართველოს ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პარტიის“ რეგისტრაციის მოთხოვნა არაუფლებამოსილმა პირმა წარადგინა, ხოლო პოლიტიკურმა პარტიამ „გირჩი“ მხარდამჭერთა ხელმოწერები არასაკმარისი რაოდენობით წარმოადგინა.

<sup>31</sup> „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, „საქართველოს კომუნისტური პარტია – სტალინისტები“ და „ქართული დასი“.

<sup>32</sup> ცესკომ დამოუკიდებელი კანდიდატების წარმდგენი საინიციატივო ჯგუფების მიერ მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენის საბოლოო ვადად 1 სექტემბერი დაადგინა, არჩევნებამდე 50 დღით ადრე. თუმცა საარჩევნო კომისიებმა საინიციატივო ჯგუფებისგან განაცხადების მიღება მხოლოდ არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან – 22 აგვისტოდან დაიწყეს.

<sup>33</sup> 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.5-ე პუნქტის მიხედვით, „ინდივიდუალურად ან პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების სახელით“ არჩევით ორგანოში მოხვედრის უფლება „დისკრიმინაციის გარეშე“ უნდა იყოს დაცული.

<sup>34</sup> დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ცესკოს-გან არჩევნებში მონაწილე დამოუკიდებელი ქალი კანდიდატების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა; თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა.

მთლიანობაში ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა პროპორციული არჩევნებისთვის 27 პარტიისა და ბლოკის მიერ წარმოდგენილი 591 სია, დაახლოებით 12,000 კანდიდატი (მათი 37% ქალი იყო) 369 მერობის კანდიდატი (მათი 13% ქალი იყო) და 4,727 მაჟორიტარობის კანდიდატი (მათი 16% ქალი იყო) დაარეგისტრირა. ნებაყოფლობითი გენდერული კვოტა ოთხმა პარტიამ დააკმაყოფილა (შესაბამის სიაში ყოველ 10 კანდიდატში მინიმუმ 30% ქალების შეყვანა), რის შედეგადაც მათ 30%-ით მეტი სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება მოიპოვეს.<sup>35</sup> თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ფინანსური სტიმული არჩევნების მხოლოდ პროპორციულ კომპონენტს ეხება, ქალთა წარმომადგენლობა მაჟორიტარულ არჩევნებში კვლავ ნაკლები იყო.<sup>36</sup> ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის (CEDAW) კომიტეტის რეკომენდაციით ხელისუფლებამ პარტიებისთვის სავალდებულო გენდერული კვოტები უნდა დააწესოს, რათა როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში ქალთა წარმომადგენლობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს.<sup>37</sup>

*ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის გაზრდის მიზნით სასურველია, რომ ფინანსურ წახალისებასთან ერთად, სავალდებულო გენდერული კვოტის დაწესების საკითხი იქნეს განხილული. აღნიშნული ფინანსური წახალისება შესაძლებელია მაჟორიტარულ არჩევნებზეც გავრცელდეს.*

კანდიდატურების მოხსნის საბოლოო ვადად 9 ოქტომბერი განისაზღვრა. სულ არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურა 196 მაჟორიტარობის კანდიდატმა (4%) მოხსნა. ზოგიერთ მაჟორიტარულ ოლქში კონკურენცია ნაკლებად შეინიშნებოდა ან არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი იღებდა მონაწილეობას. რამდენიმე დამოუკიდებელმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა პარტიულ სიაში მოხვედრის სანაცვლოდ მოხსნა. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ზოგიერთმა სუბიექტმა საკუთარი კანდიდატურა ზეწოლის შედეგად მოხსნა. რამდენიმე შემთხვევაში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ამგვარი ინფორმაციის დადასტურება მოახერხა.<sup>38</sup>

საარჩევნო კოდექსის მიხედვით მეორე ტურში გასულ კანდიდატებს არჩევნებიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნა არ შეუძლიათ. ამგვარი შეზღუდვის მიზეზი გაურკვეველია. ამ მუხლის აღსრულებამ საარჩევნო სუბიექტების არჩევნებში

<sup>35</sup> „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „ევროპული საქართველო“, „ლიბერალური პარტია“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ამ დაფინანსების მიღების უფლება სულ შვიდ პარტიას მიეცა.

<sup>36</sup> საკრებულოებში ჯამში 190 ქალი (არჩეულთა 20%) აირჩიეს პროპორციული სიებიდან; მაჟორიტარული არჩევნები მხოლოდ 87-მა ქალმა (არჩეულთა 8%) მოიგო.

<sup>37</sup> იხ. CEDAW/C/GEO/CO/4-5, [„საქართველოს გაერთიანებული მეოთხე და მეხუთე პერიოდული ანგარიშის შემაჯამებელი შენიშვნები.“](#) 2014 წლის 18 ივლისი.

<sup>38</sup> დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ამგვარი შემთხვევები ახალქალაქში, ამბროლაურში, დმანისში, გორში, თეთრიწყაროსა და ცაგერში დააფიქსირა.

მონაწილეობის უფლება რისკის ქვეშ დააყენა და უარყოფითი ზეგავლენა იქონია ორ ოლქში ჩატარებული მეორე ტურის შეჯიბრებითობაზე.<sup>39</sup>

*იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტს არჩევნების მეორე ტურიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სურს, კანონმა შეჯიბრებითობა და სხვა კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა უზრუნველყოს.*

## IX. საარჩევნო კამპანია

წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად 22 აგვისტოს დაიწყო, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა არჩევნების დღე გამოაცხადა. თუმცა არჩევნებში მონაწილე მთავარმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა თბილისის მერობის კანდიდატების დასახელება და გავრცელებული ინფორმაციით, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება აღწეულ თარიღზე ადრე დაიწყო. თბილისის ფარგლებს გარეთ წინასაარჩევნო კამპანია ზოგადად აქტიურობით არ გამოირჩეოდა, თუმცა არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად წინასაარჩევნო კამპანია უფრო ინტენსიური გახდა. ზოგადად, წინასაარჩევნო კამპანია თვალშისაცემი უფრო დიდ ქალაქებში იყო. მთლიანობაში გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება დაცული იყო. უცხოელების, საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების აკრძალვა შემოფარგლავს საგანს წარმოადგენს.<sup>40</sup> წინასაარჩევნო ატმოსფერო ზოგადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტის გამოკლებით.<sup>41</sup>

<sup>39</sup> შედეგად, მიღებული ხმების მიხედვით მესამე ადგილზე გასულ კანდიდატს, მეორე ტურში გასული ერთ-ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში, მეორე ტურში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია. მე-15 პუნქტის მიხედვით, არჩევითი თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობის უფლების და შესაძლებლობის ეფექტურად აღსრულება უზრუნველყოფს იმას, რომ ხმის მიცემის უფლების მქონე პირებს კანდიდატების თავისუფალი არჩევანი გააჩნდეთ. ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ მიხედვით, დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა შესაბამისი კანონის ერთ-ერთ მიზანს უნდა ეხებოდეს და აღნიშნული კანონის მიზნის პროპორციული უნდა იყოს.

<sup>40</sup> ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის მიერ 2011 წელს გამოქვეყნებულ [საერთო მოსაზრებაში](#) აღნიშნული იყო, რომ რელიგიური და საქველმოქმედო ორგანიზაციების და აგრეთვე უცხოელების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებაზე დაწესებული შეზღუდვები რელიგიის და გამოხატვის თავისუფლების, ასევე დისკრიმინაციის აკრძალვის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა.

<sup>41</sup> 23 სექტემბერს სოფელ სადახლოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელი ფიზიკურად გაუსწორდა „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატს. 2 ოქტომბერს თბილისის მერიასთან, ხოლო 10 ოქტომბერს თბილისის საკრებულოსთან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქციები ძალადობაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც საკრებულოს დეპუტატებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ თბილისის მერიაში და საკრებულოს შენობაში შესვლის უფლება არ მისცეს. რამდენიმე მოქალაქე, მათ შორის, მინიმუმ ერთი კანდიდატი დააკავეს. 19 ოქტომბერს სოფელ ყიზილაჯლოში მდებარე „ქართული ოცნების“ მარნეულის მუნიციპალურ ოფისს შეიარაღებული პირი დაესხა თავს, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი, მათ შორის, მაჟორიტარობის კანდიდატი დაიჭრა.

მმართველმა პარტიამ ფართომასშტაბიანი წინასაარჩევნო კამპანია აწარმოა მრავალი ბილბორდის, გარე რეკლამის, სატელევიზიო გამოსვლის და „კარდაკარის“ პრინციპის გამოყენებით მაშინ, როცა სხვა პარტიები, მათ შორის, ოპოზიცია ნაკლებად თვალშისაცემ წინასაარჩევნო კამპანიას ეწეოდა. რამდენიმე დამოუკიდებელი კანდიდატი საკუთარ საარჩევნო ოლქში აქტიურად ატარებდა წინასაარჩევნო კამპანიას. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტები ძირითადად მოსახლეობასთან მცირემასშტაბიანი შეხვედრებით, კარდაკარ აგიტაციით, ბროშურების გავრცელებით და ტრადიციული მედია საშუალებების, განსაკუთრებით ტელევიზიის, ასევე სოციალური მედიის გამოყენებით შემოიფარგლებოდნენ. მერობის ორი კანდიდატის მიმართ ნეგატიური აგიტაციის წარმოების ფაქტები დაფიქსირდა თბილისში. სხვადასხვა პარტიას და ბლოკს, მათ შორის, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, „პატრიოტთა ალიანსს“, „ლეიბორისტულ პარტიას“ და „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ ნაკლებად თვალშისაცემი წინასაარჩევნო აქტივობები და შეზღუდული ფინანსები გააჩნდათ, ისინი ძირითადად სახელმწიფოს დაფინანსებაზე იყვნენ დამოკიდებული. კანონი პოლიტიკური თანამდებობის პირებს წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების უფლებას აძლევს; პრემიერ-მინისტრი ამ შესაძლებლობას ფართოდ იყენებდა და ქვეყნის ყველა რეგიონში „ქართული ოცნების“ კანდიდატებს წარადგენდა.<sup>42</sup>

მართალია, წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაჟღერებული გზავნილები ისეთ საკითხებს ეხებოდა, როგორცაა ინფრასტრუქტურა, სოციალური დაცვა და უმუშევრობა, მაგრამ წინასაარჩევნო კამპანიის ძირითადი ნაწილი მაინც კონკრეტული კანდიდატების და არა მათ მიერ შემოთავაზებული პროგრამების გარშემო ტრიალებდა. თბილისის მერობის წინასაარჩევნო კამპანიამ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრო. ამ კამპანიის ფარგლებში ძირითადი კანდიდატები უფრო კონკრეტულ თემებზე დაფუძნებულ პლატფორმებს ეყრდნობოდნენ.

ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ შემფოთება გამოხატა იმის გამო, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთა (საზოგადოების სეგმენტი, რომელიც ზეწოლის მიმართ მოწყვლადია) მიერ არჩევნების დროს მიღებულ გადაწყვეტილებას შეეძლო მათი შემოსავლის წყაროსა და მომავალ დასაქმებაზე ზეგავლენა მოეხდინა. ისმოდა არაერთი ბრალდება მმართველი პარტიის მხარდასაჭერად მასწავლებლების მობილიზების და ამ პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებებში, ზოგჯერ ზეწოლის შედეგად, მათი მონაწილეობის შესახებ; ორ შემთხვევაში ამგვარი ბრალდებები

<sup>42</sup> კანონის მიხედვით, პოლიტიკური თანამდებობების პირებად ითვლებიან პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, პრემიერ-მინისტრი, მთავრობის წევრები და მათი მოადგილეები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და ამ ორგანოების თავმჯდომარეები, მერები და გუბერნატორები.

დადასტურდა.<sup>43</sup> ამან გარკვეული შემფოთება გამოიწვია საჯარო სექტორში დასაქმებულთა მხრიდან სამაგიეროს მიზღვის შიშის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>44</sup> მედია საშუალებებისთვის 7 ოქტომბერს მიცემულ ინტერვიუში იუსტიციის მინისტრმა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის კომპეტენციის ფარგლებში, დარღვევების არსებობის ფაქტი აღიარა.

*ხელისუფლებამ სახელმწიფოს და პარტიის ნათლად განცალკევება უნდა უზრუნველყოს და საჯარო სექტორში დასაქმებულები წინასაარჩევნო კამპანიებში ჩართვის მიზნით ზეწოლისგან დაიცვას.*

პროცესში ჩართულმა რამდენიმე მხარემ მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესახებ ბრალდებები გააჟღერა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ რამდენიმე მათგანის დადასტურება შეძლო.<sup>45</sup> 29 სექტემბერს სახელმწიფოს დაფინანსებაზე მყოფმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი ჩაატარა, რომელშიც ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავებმა და „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატმა მიიღო მონაწილეობა. მართალია, ეს კანონდარღვევას არ წარმოადგენდა, თუმცა წინასაარჩევნო პერიოდში ამგვარი ღონისძიების ჩატარება დაინტერესებული მხარეების მიერ მმართველი პარტიის კანდიდატის მხარდამჭერ აქტივობად იქნა

<sup>43</sup> 18 სექტემბერს აჭარაში მდებარე ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებელს „ქართული ოცნების“ მხარდაჭერის მიზნით ბავშვების მობილიზება დასდეს ბრალად. აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრომ მოგვიანებით მასწავლებელს გაფრთხილება მისცა, ხოლო ცესკომ ადმინისტრაციული ოქმი შეადგინა. 27 სექტემბერს ბორჯომის საჯარო სკოლის მასწავლებელმა სკოლაში ღონისძიება მოაწყო, რომლის დროსაც ის და მოსწავლეები „ქართული ოცნების“ დროშებს აფრიალებდნენ. 9 ოქტომბერს გამართულ „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის“ სხდომაზე აღნიშნულმა კომისიამ თბილისში საჯარო საბავშვო ბაღების დირექტორების მიერ მმართველი პარტიის მხარდამჭერთა სიების შედგენის პროცესში უკანონო ჩართვის ფაქტები გამოსადიებლად პროკურატურას გადასცა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მედიამ თბილისის მერია უკანონო წინასაარჩევნო კამპანიის ინიციატორად დაასახელა. საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის საფუძველზე ხელისუფლებამ დაადგინა, რომ საარჩევნო კოდექსი არ დარღვეულა.

<sup>44</sup> იხ. ეუთოს 1990 წლის „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 7.7-ე პუნქტი. ასევე იხილეთ 2010 წლის [დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ვენეციის კომისიის „პოლიტიკური პარტიების რეგულირების სახელმძღვანელო პრინციპების“](#) 209-ე პუნქტი.

<sup>45</sup> 15 სექტემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიების ამსახველი ფოტოების აღნიშნული სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნების გამო გააფრთხილა. 19 სექტემბერს თბილისის მერიამ სოციალური რეკლამა გადასცა ეთერში, რომელშიც არსებული ადმინისტრაციის მიღწევები იყო ასახული. 22 სექტემბერს თბილისში ახალი ველო-ბილიკის გახსნაზე, რომელიც თბილისის მერიის მიერ იყო ორგანიზებული, მხოლოდ „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი იყო მიწვეული. 16 ოქტომბერს თბილისის მერობის „ქართული ოცნების“ კანდიდატმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად მეტროს ახალი სადგურის გახსნაში მიიღო მონაწილეობა.



აღქმული. „ვეროპულმა საქართველომ“ და ერთმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ საჩივრები შეიტანეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. ამ უკანსკნელს ეთხოვა დაედგინა, წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ღონისძიების სპონსორობა შემოწირულობას.<sup>46</sup>

*საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად სამართალდამცავმა ორგანოებმა კანდიდატებზე ზეწოლისა და მათი დაშინების, ასევე წინასაარჩევნო კამპანიის დროს სახელმწიფო რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესაძლო შემთხვევების ეფექტური გამოძიება უნდა უზრუნველყოფ.*

კანონის მიხედვით არჩევნების პირველი ტურის შემდეგ საარჩევნო კამპანია არ წყდება და როგორც პირველ, ისე მეორე ტურზე ერთი და იგივე რეგულაციები მოქმედებს.<sup>47</sup> „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ქუთაისსა და მარტვილში დანიშნულ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის გამო კონკურენტული საარჩევნო კამპანია ექვსიდან მხოლოდ ოთხ ოლქში გაიმართა. ისევე როგორც პირველი ტურის წინ, კანდიდატებს საარჩევნო კამპანიის თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობა ჰქონდათ და ფუნდამენტური უფლებები ზოგადად დაცული იყო.

მეორე ტურის საარჩევნო კამპანიის დინამიკა და ტონი ოლქების მიხედვით განსხვავდებოდა. მთლიანობაში საარჩევნო კამპანიის აქტივობები ლიმიტირებული იყო. კანდიდატები უპირატესობას ძირითადად ამომრჩევლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ მედიას ანიჭებდნენ. აგიტაციის დროს „ქართული ოცნება“ ძირითადად იმ ადგილებზე აკეთებდა აქცენტს, სადაც მათმა კანდიდატებმა პირველი ტურის დროს ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვეს. პარლამენტის სპიკერმა საჯარო მოხელეებთან გამართულ რამდენიმე შეხვედრაზე „ქართული ოცნების“ კანდიდატების მიმართ მხარდაჭერა გამოხატა.

მეორე ტურის წინ ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება შეშფოთების მთავარ საგნად არ დასახელებულა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ოზურგეთში –კანდიდატის წარმომადგენელზე, ხოლო ბორჯომში საარჩევნო

<sup>46</sup> წინამდებარე ანგარიშის შედგენის დროს აღნიშნულ საკმეზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა.

<sup>47</sup> კანონის მიხედვით, საარჩევნო პერიოდი იმ იურიდიული აქტის ძალაში შესვლის დღიდან იწყება, რომლითაც არჩევნების დღე გამოცხადდა; საარჩევნო პერიოდი შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებით მთავრდება.

ადმინისტრაციის წევრებზე ზეწოლისა და დაშინების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.<sup>48</sup>

## X. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება საარჩევნო კოდექსით და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონით რეგულირდება. მართალია, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები 2017 წლის ივლისში შევიდა, მაგრამ ამ ცვლილებებში ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მეზობელ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის, თანაბარი საკანონმდებლო ჩარჩოს უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გათვალისწინებული არ ყოფილა. დამოუკიდებელ კანდიდატებთან მიმართებაში არსებულ დებულებებში, წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების კუთხით, შეუსაბამოები კვლავ რჩება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელი და ზედამხედველი ორგანოა, ზოგიერთ საკანონმდებლო შეუსაბამობასთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთა.<sup>49</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი თავმჯდომარე სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას 2 ოქტომბერს შეუდგა.<sup>50</sup>

პარტიებისა და ბლოკების როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სახსრებით დაფინანსება კანონით ნებადართულია. დამოუკიდებელ კანდიდატებს სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება არ აქვთ. თითოეული პარტიის ყოველწლიური ხარჯები, მათ

<sup>48</sup> 6 ნოემბერს „პატრიოტთა ალიანსმა“ უწყებათაშორის კომისიას ბორჯომის 36-ე საარჩევნო ოლქში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა და ასევე საოლქო საარჩევნო კომისიაში პარტიის წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებული ზეწოლის შესახებ აცნობა. 8 ნოემბერს ოზურგეთში დამოუკიდებელი კანდიდატის წარმომადგენელი გაუჩინარდა მას შემდეგ, რაც მასზე „ქართული ოცნების“ კანდიდატის წარმომადგენლების მიერ სავარაუდო ზეწოლის შესახებ ბრალდებები გაჟღერდა. პოლიციის მიერ 10 ნოემბერს გაკეთებული განცხადების თანახმად, დამოუკიდებელი კანდიდატის წარმომადგენელი უვნებელი იპოვეს. პოლიციამ გამოძიება შეწყვიტა მას შემდეგ, რაც კანდიდატმა მედიას განუცხადა, რომ იგი ბათუმში მეგობრების სანახავად იყო წასული.

<sup>49</sup> მაგალითად, კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ მერობის დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის წინასაარჩევნო ხარჯების ლიმიტს არ ადგენს. გარდა ამისა, დამოუკიდებელ კანდიდატებზე რეგულარული ფინანსური ანგარიშების წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოსცა დადგენილება, რომელშიც აღნიშნული საკითხები განმარტებული არ ყოფილა; აღნიშნული დადგენილება კანდიდატებს გაეგზავნათ.

<sup>50</sup> ახალი თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურის შესაბამისად მისმა სამმა მოადგილემ თანამდებობები დატოვეს. რადგან არცერთი მათგანი აღნიშნულ თანამდებობებზე არ დააბრუნეს (ერთ-ერთი მათგანი პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგზე იყო პასუხისმგებელი), ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიუკერძოებლობის შესახებ ეჭვები გამოთქვა.

შორის, მათი კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაწეული ხარჯები, წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0.1%-ს არ უნდა აღემატებოდეს.<sup>51</sup> სხვადასხვა საარჩევნო ოლქში დამოუკიდებელი კანდიდატების ხარჯებზე განსხვავებული ოდენობის ლიმიტები იყო დაწესებული. მთლიანობაში მათი ხარჯები წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.2%-ის კონკრეტულ საარჩევნო ოლქში არსებულ ამომრჩეველთა ოდენობაზე გაყოფის შედეგად მიღებულ ციფრზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.<sup>52</sup> კერძო პირის მიერ ყოველწლიური შემოწირულობის ოდენობა 60,000 ლარს, ხოლო იურიდიული პირის მიერ ყოველწლიური შემოწირულობის ოდენობა 120,000 ლარს არ უნდა აღემატებოდეს. კანდიდატებს წინასაარჩევნო პერიოდში სპეციალური საბანკო ანგარიშის გახსნა და სამ კვირაში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მათი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშების მიწოდება ევალებოდათ. ხოლო თითოეული შემოწირულობის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის შემოწირულობის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში უნდა ეცნობებინათ.

საარჩევნო სუბიექტების მიერ მოზიდულ შემოწირულობებს შორის მნიშვნელოვანმა სხვაობამ თამაშის თანაბარი პირობების ჩამოყალიბება ვერ უზრუნველყო. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაკეთებული შემოწირულობების მონიტორინგი 1 ივლისიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც პარტიებმა საკუთარი კანდიდატების დასახელება დაიწყეს. არჩევნების პირველი ტურისთვის (21 ოქტომბრამდე პერიოდი) 14-მა პარტიამ, 4-მა ბლოკმა და ასევე 37-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა ჯამში 14,889,107 ლარის და 31 არაფულადი სახის შემოწირულობა დაახლოებით 1,175 ინდივიდუალური შემომწირველისგან და 63 იურიდიული პირისგან მიიღო და დეკლარირება მოახდინა.<sup>53</sup> „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაკეთებულმა შემოწირულობამ მთლიანი ოდენობის 91.1% შეადგინა. სულ საარჩევნო სუბიექტებმა პირველი ტურისთვის 16,861,130 ლარი დახარჯეს. მაშინ, როდესაც კვალიფიციურ პარტიებს სახელმწიფო დაფინანსების მიღების, მათ შორის, წინასაარჩევნოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება გააჩნიათ, დამოუკიდებელი კანდიდატები ამგვარი დაფინანსების მიღების შესაძლებლობას

<sup>51</sup> 2016 წელს ეს 35,048,000 ლარი (11,806,300 ევრო) იყო (1 ევრო დაახლოებით 2.96 ლარს უდრის).

<sup>52</sup> პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის დაწესებული ლიმიტების კუთხით არსებული არათანმიმდევრული მიდგომები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის [2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ საბოლოო ანგარიშშიც](#) არის ხაზგასმული.

<sup>53</sup> მაგალითად, „ქართულმა ოცნებამ“ – 13,503,551 ლარი, „ევროპულმა საქართველომ“ – 944,232 ლარი, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 121,674 ლარი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ – 63,492 ლარი, „ახალმა საქართველომ“ – 59,600 ლარი, „დემოკრატიულმა მოძრაობა – თავისუფალმა საქართველომ“ – 38,829 ლარი, „შენების მოძრაობამ“ – 37,182 ლარი, „ლეიბორისტულმა პარტიამ“ – 23,196 ლარი, ხოლო ალექსანდრე ელისაშვილმა 89,554 ლარი მიიღო. კერძო შემოწირულობების გარდა, კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტებმა ჯამში 7,911,625 ლარის ოდენობის სახელმწიფო დაფინანსება მიიღეს.

მოკლებული არიან, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>54</sup>

*თამაშის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად ფინანსური მხარდაჭერა ყველა კანდიდატისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მათ შორის, გარკვეული წინასაარჩევნო ხარჯების ანაზღაურების კუთხით.*

საარჩევნო კამპანიის ხარჯებთან დაკავშირებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები ორმა პარტიამ და ბლოკმა, 10-მა დამოუკიდებელმა მერობის კანდიდატმა და 103-მა დამოუკიდებელმა მაჟორიტარობის კანდიდატმა დაარღვია.<sup>55</sup> კიდევ სამმა პარტიამ და 125-მა დამოუკიდებელმა მაჟორიტარობის კანდიდატმა წინასაარჩევნო კამპანია ყოველგვარი ხარჯების გაწევის გარეშე ჩაატარა. კანონმდებლობაში არსებული შეუსაბამოების შედეგად ბანკებიდან დამოუკიდებელი კანდიდატების საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიღება ვერხდებოდა.<sup>56</sup>

*საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად სასურველია, კანონმდებლობის ჰარმონიზება და დამოუკიდებელ კანდიდატებთან დაკავშირებით დებულებებში არსებული შეუსაბამოების აღმოფხვრა.*

კანონის მიხედვით პოლიტიკურ პარტიებს საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიების დასაფინანსებლად საბანკო სესხების მიღება შეუძლიათ, თუმცა რამდენიმე პარტიას კომერციულ ბანკებში სესხების მოთხოვნასთან დაკავშირებით შეტანილ განცხადებაზე უარი იმ მოტივით განუცხადეს, რომ ამ ბანკების შიდა პოლიტიკა პარტიებისთვის სესხების გაცემის უფლებას არ იძლეოდა. რამდენიმე კვალიფიციურმა ოპოზიციურმა პარტიამ შემფოთება გამოთქვა ცესკოს სწავლების ცენტრის მიერ 3 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილების გამო, რომლის თანახმად, სწავლებების დასაფინანსებლად კვალიფიციური პარტიებისთვის სახელმწიფო თანხების გამოყოფა ყოველთვის უნდა არა კვარტალურად მოხდებოდა, რაც

<sup>54</sup> საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის I.2.3-ე პუნქტის მიხედვით პარტიებისა და კანდიდატებისთვის თანაბარი შესაძლებლობები უნდა იყოს უზრუნველყოფილი. „პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების“ 130-ე პუნქტის შესაბამისად, როდესაც რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოს მხარდაჭერით, მაგ., უფასო საეთერო დროით, სარგებლობენ, დამოუკიდებელი კანდიდატების მხარდაჭერის სისტემა უნდა არსებობდეს, რათა სახელმწიფო რესურსების გამოყოფის კუთხით მათ მიმართ თანაბარი მიდგომები იყოს გამოყენებული.

<sup>55</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარდგენილი საქმეების საფუძველზე თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული საარჩევნო სუბიექტები გააფრთხილა.

<sup>56</sup> 2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მხრიდან ამ საკითხის წამოწევის მიუხედავად, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი ადგენს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს პარტიებისგან, ადმინისტრაციული ორგანოებისა და კომერციული ბანკებისგან მხოლოდ პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოთხოვის უფლება აქვს მაშინ, როცა კანონი აუდიტის სამსახურს დამოუკიდებელი კანდიდატების შესახებ ამგვარ ინფორმაციაზე წვდომას არ არეგულირებს.

საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება. “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, რადგან, მათი აზრით, ეს გადაწყვეტილება წინასაარჩევნო პერიოდში პარტიას არახელსაყრელ პირობებში აყენებდა. სასამართლომ ცესკოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებული ზოგადი რეგულაციები მეორე ტურზეც გავრცელდა. 22 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა ჯამში 1,267,045 ლარის ოდენობის შემოწირულობა 62 ინდივიდუალური შემომწირველისგან და 6 იურიდიული პირისგან მიიღო.<sup>57</sup> აქედან 58-მა შემომწირველმა 1,265,100 ლარი (მეორე ტურში გაღებული შემოწირულობების 99.8%) „ქართულ ოცნებას“ შესწირა. მთლიანობაში დეკლარირებულმა ხარჯმა 2,331,117 ლარი შეადგინა.

კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შემოწმებისა და არჩევნების დღემდე საკუთარი დასკვნების გამოქვეყნებისთვის საბოლოო ვადებს არ უწყებს.<sup>58</sup> ამან საარჩევნო დაფინანსების გამჭვირვალობა შეზღუდა, რაც საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>59</sup>

*როგორც ადრე გაცემულ რეკომენდაციებში იყო მითითებული, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების გასაუმჯობესებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები და ასევე მის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და დასკვნები დროულად, მათ შორის, კენჭისყრის დღემდე უნდა გამოაქვეყნოს.*

მთელი საარჩევნო კამპანიის მანძილზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საკუთარი ინიციატივით 53 შემომწირველის შემოსავლის წყარო გამოიკვლია.<sup>60</sup> წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევისთვის ხუთი საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ სანქციები იქნა მიღებული (ორი მათგანი დაჯარიმდა, ხოლო სამს

<sup>57</sup> მაგალითად, „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველო“ – 1,895 ლარი; კონსტანტინე შარაშენიძე – 500 ლარი; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 50 ლარი.

<sup>58</sup> მეორე შუალედური ანგარიში, რომელშიც არჩევნების პირველ ტურთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების შემოსავლებსა და ხარჯების შესახებ დაჯამებული მონაცემები იყო მოცემული, 6 ნოემბერს ანუ არჩევნების პირველი ტურიდან 16 დღის შემდეგ გამოქვეყნდა.

<sup>59</sup> „პოლიტიკური პარტიების რეგულაციების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების“ 194-ე, მე-200 და 206-ე პუნქტების მიხედვით, საზოგადოების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით, ამომრჩევლებს უნდა ჰქონდეთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე, რომელიც პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებულ ფინანსურ დახმარებას ეხება. აღნიშნული პუნქტების მიხედვით ფინანსური ანგარიშები დროულად უნდა გამოქვეყნდეს მოსახლეობისთვის გასაგებ ფორმატში.

<sup>60</sup> ამ შემომწირველებმა ხუთი საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ გააკეთეს შემოწირულობები, კონკრეტულად, „ქართული ოცნების“ და „ევროპული საქართველოს“ და შედარებით მცირე ოდენობით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და დამოუკიდებელი კანდიდატების სასარგებლოდ.

სასამართლომ გაფრთხილება მისცა).<sup>61</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა წინასაარჩევნო პერიოდის დაწყების შემდეგ შემოსული 21 საჩივარი განიხილა და 17 მოკვლევა დაიწყო. რვა შემთხვევაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კენჭისყრის დღემდე გამოძიება ოფიციალური წერილობითი გადაწყვეტილების გამოქვეყნების გარეშე დაასრულა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ საქმეთა უმრავლესობის გამოძიება მხოლოდ მეორე ტურის კენჭისყრის დღის დასრულების შემდეგ მოხდებოდა, რადგან კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საჩივრების დაჩქარებული ტემპით განხილვის ვალდებულებას არ ითვალისწინებს.<sup>62</sup> აღნიშნულმა პრაქტიკამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ზედამხედველობის ეფექტურობაზე.

*შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რათა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევებზე რეაგირებისთვის უფრო შემჭიდროებული ვადები დაწესდეს და ასევე მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიება ყოვლისმომცველი და დროული იყოს.*

## XI. მედია

### ა. მედია გარემო

მედია მრავალფეროვანია და 92 ტელეარხს (მათ შორის, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედ 12 ციფრულ მაუწყებელს), 51 რადიო სადგურს და დაახლოებით 300 ბეჭდურ გამოცემას მოიცავს.<sup>63</sup> ტელევიზია ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, განსაკუთრებით, დედაქალაქის გარეთ. ონლაინ მედიის როლი სტაბილურად იზრდება, განსაკუთრებით, ურბანულ ცენტრებში.<sup>64</sup>

<sup>61</sup> 11 იანვრის მონაცემებით ნაღდი ფულით ანგარიშსწორების შესახებ ანგარიშების წარუდგენლობის გამო „ლეიბორისტული პარტია“ და „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ 2,000 ლარით დაჯარიმდნენ. „მამულიშვილთა ორდენი“ „სამშობლოს“, „საქართველოს“ და „მერაბ კოსტავას საზოგადოებას“ გაფრთხილებები მიეცათ.

<sup>62</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განცხადებით, პირველი ტურის დროს წამოწყებულ რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დასრულდა, მათ შორის იყო თბილისის მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის წინააღმდეგ ფეისბუქში მიმდინარე ნეგატიური კამპანია; „ევროპული საქართველოს“ კანდიდატის მიერ ქუთაისში კალენდრების დარიგება; ოზურგეთში „ქართული ოცნების“ კანდიდატის მიერ სახელმწიფო შენობების გამოყენება და რუსთავის მერიის თანამშრომლების მიერ ბროშურების გავრცელება. 8 ნოემბრის მდგომარეობით ამ გამოძიებებთან დაკავშირებით არავითარი წერილობითი დასკვნა არ წარმოდგენიათ. 29 დეკემბერს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განაცხადა, რომ ყველა საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს.

<sup>63</sup> მაუწყებლების შესახებ ინფორმაციის მოწოდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ უზრუნველყო.

<sup>64</sup> იხ. [ევროპული ჟურნალისტიკის ცენტრის ანგარიში](#).

2012 წლის შემდეგ ზოგადად მედიის თავისუფლების მხრივ თვალშისაცემი გაუმჯობესება შეინიშნება, მათ შორის, ჟურნალისტების დაშინებისა და მათ წინააღმდეგ ძალადობის ფაქტების არარსებობის თვალსაზრისით. გარდა ამისა, 2015 წელს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა მედია წყაროებზე ხელმისაწვდომობის ზრდას უწყობს ხელს. ამის მიუხედავად, მედიის ფინანსური მდგრადობისა და დამოუკიდებლობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება. გარდა ამისა, სამაუწყებლო მედია საშუალებები განსაკუთრებით პოლარიზებულია და არჩევნებით დაინტერესებული მხარეების უმრავლესობის მიერ აშკარად პოლიტიკურად აფილირებულად აღიქმება.

2017 წლის 2 მარტს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მკვეთრად ოპოზიციური მიმართულების ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელთა ცვლილებას ითვალისწინებდა, რამდენიმე ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ გააკრიტიკა.<sup>65</sup> მოგვიანებით ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეჩერებულიყო და ხელისუფლებას მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისგან თავი შეეკავებინა. ტელეკომპანია აგრძელებს ფუნქციონირებას, მაგრამ მის მფლობელობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფონზე არხი სერიოზული ფინანსური შეზღუდვების წინაშე დგას.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტში 2017 წლის იანვარში განხორციელებული ცვლილებების შედეგად რამდენიმე სოციალურ-პოლიტიკური პროგრამა დაიხურა. გარდა ამისა, ამავე მაუწყებლის მეორე არხზე რამდენიმე თვის განმავლობაში, მათ შორის, საარჩევნო კამპანიის მანძილზეც, პოლიტიკური შინაარსის პროგრამები აღარ გადიოდა.<sup>66</sup> საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ახალი სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის პროგრამების ეთერში გაშვება მხოლოდ არჩევნების შემდეგ განახლდა.<sup>67</sup> 2 ნოემბერს სამოქალაქო საზოგადოების 29 ორგანიზაციამ ერთობლივი განცხადებით საზოგადოებრივ მაუწყებელზე მთავრობასთან დაკავშირებული პირებისა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მზარდი ზეგავლენა დაგმო. აღნიშნული ორგანიზაციები განცხადებაში პარლამენტს ამ სიტუაციის და საზოგადოებრივი სამსახურის მანდატის კუთხით არხის იურიდიული მოვალეობების შესწავლისკენ მოუწოდებდნენ.

<sup>65</sup> იხ. მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის 3 მარტის [პრეს-რელიზი](#).

<sup>66</sup> 17 ივლისის მდგომარეობით „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მე-2 არხი მხოლოდ პარლამენტის პლენარული სხდომებისა და „ჩემპიონთა ლიგის“ მატჩების ტრანსლირებას ახდენდა.

<sup>67</sup> 6 ნოემბრის მდგომარეობით „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ პირველმა არხმა ახალი პროგრამული ბადე ამოქმედა, რომელშიც ორი ახალი პოლიტიკური პროგრამა შედიოდა. პირველი სამი კვირის მანძილზე პოლიტიკური პროგრამების 12 გამოშვებიდან 9-ში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის, მთავრობის წევრებიც სამსახურებრივი კომპეტენციის ფარგლებში. დანარჩენ შემთხვევებში პროგრამების სტუმრები იყვნენ პარლამენტის ყოფილი სპიკერი, ოპოზიციური პარტია „ევროპული საქართველო“ წარმომადგენელი პარლამენტის წევრი და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია „გირჩის“ წარმომადგენელი.

საზოგადოებრივი სამსახურის მანდატის კეთილსინდისიერად და დამოუკიდებლად შესრულების გასაძლიერებლად ხელისუფლებამ საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში ჩარევისგან თავი უნდა შეიკავოს. საზოგადოებრივმა მედიამ არჩევნების პერიოდში ყოვლისმომცველი პოლიტიკური პროგრამების ბადა უნდა შეიმუშაოს და არხის მიუკერძოებელი, კრიტიკული და ანალიტიკური სარედაქციო პოლიტიკა უზრუნველყოს, მათ შორის, ოფიციალური თანამდებობის პირების საქმიანობის გაშუქებისას.

## ბ. საკანონმდებლო ბაზა

მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს და ცენზურას კრძალავს. საარჩევნო კოდექსი მაუწყებლებს კვალიფიციური პარტიების წინასაარჩევნო რეკლამებისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფას, კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის დებატების ორგანიზებას და ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამების კუთხით თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ავალდებულებს.<sup>68</sup> საარჩევნო კოდექსით საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და რეგიონულ საზოგადოებრივ მაუწყებელს „აჭარის ტელევიზიას“ უფასო საეთერო დროის ყველა არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფა ევალება. თუმცა, დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფის და მათი დებატებში მონაწილეობის ვალდებულება კანონით განსაზღვრული არ არის, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს ეწინააღმდეგება.<sup>69</sup>

*სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად, შესაძლებელია ნაციონალური მაუწყებლებისთვის დაკისრებული იმ ვალდებულების გადახედვა, რომლითაც მათ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის დებატების ორგანიზება ევალებათ, რათა მაუწყებლებს საკუთარი საარჩევნო პროგრამების ფორმატის განსაზღვრის საშუალება თავად მიეცეთ.*

კანონის მიხედვით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მედიის მიერ კანონის აღსრულების, კერძოდ, რეკლამის განთავსებასა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობა ევალება. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რაოდენობრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით, მედიის მონიტორინგს

<sup>68</sup> ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ყიდვისას საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გაწეული ხარჯების კუთხით არანაირი შეზღუდვა არ მოქმედებს. მაუწყებლებს მედიის მარეგულირებელი ორგანოსთვის საარჩევნო სუბიექტებთან შეთანხმებული ტარიფების და მათთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ამ ინფორმაციის ცესკოს ვებგვერდზე გამოქვეყნება ევალებოდათ.

<sup>69</sup> 1990 წლის ეუთოს „კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 7.8-ე პუნქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ, რომ „არ არსებობდეს არავითარი იურიდიული ან ადმინისტრაციული ბარიერი ან დისკრიმინაცია მედიასთან წვდომის კუთხით საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მოსურნე ნებისმიერი პოლიტიკური დაჯგუფების და კერძო პირისთვის.“



ახორციელებს, თუმცა გაშუქების ტონალობის შეფასების გარეშე.<sup>70</sup> კომისიამ არჩევნების პირველი ტურის წინ საკუთარი მონიტორინგის შედეგების შესახებ მხოლოდ ერთი ანგარიში გამოაქვეყნა.<sup>71</sup>

*გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საკუთარი მედია მონიტორინგის შედეგების დეტალური ანგარიშის წარდგენისას ხარისხობრივი შეფასების გაკეთების შესაძლებლობა უნდა განიხილოს. გარდა ამისა, სასურველია, რომ აღნიშნული ანგარიშები უფრო ხშირად ქვეყნდებოდეს, მათ შორის, კენჭისყრის დღემდე უახლოეს პერიოდში.*

საარჩევნო კამპანიის მედიით გაშუქება ასევე 2004 წელს მიღებული მაუწყებლობის შესახებ კანონით, 2009 წელს მიღებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსით (რომელსაც კანონის ძალა აქვს) და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სხვა დებულებებით რეგულირდება.<sup>72</sup> ზემოხსნებულ კანონებში აღნიშნულია, რომ ახალი ამბების და სხვა პოლიტიკური პროგრამების მიუკერძოებლობა და ბალანსი კონკრეტული მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმით უნდა რეგულირდებოდეს.<sup>73</sup>

## გ. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგის შედეგები

15 სექტემბერს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ 15 ტელეარხისა და 5 ბეჭდური მედია

<sup>70</sup> არჩევნების პირველ ტურამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 41 ნაციონალური და რეგიონული ტელეარხის და ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული 34 გაზეთის მონიტორინგი განახორციელა. მეორე ტურის წინ კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 16 ნაციონალური და რეგიონული ტელეკომპანიის მონიტორინგი მოახდინა.

<sup>71</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ პირველი ტურის წინსაარჩევნო პერიოდის პირველი თვის მონიტორინგის შედეგები – 4 ოქტომბერს, ხოლო მეორე თვის შედეგები 6 ნოემბერს გამოაქვეყნა. მეორე ტურთან დაკავშირებული მონიტორინგის შედეგები 17 ნოემბერს გამოაქვეყნდა.

<sup>72</sup> საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის დადგენილება „საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ და 2016 წლის „საარჩევნო კამპანიისას მედია მონიტორინგთან დაკავშირებული სახელმძღვანელო პრინციპები და რეკომენდაციები,“ რომელშიც 2017 წელს შევიდა ცვლილებები.

<sup>73</sup> მაუწყებლობის შესახებ კანონი მაუწყებელს თვითრეგულირების ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებას ავალდებულებს, რომელიც საჩივრების განხილვის და მათზე დროული და სამართლიანი რეაგირების საშუალებას შექმნის. მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით „მაუწყებლებმა არჩევნების ზუსტი, მიუკერძოებელი და სამართლიანი გაშუქება უნდა უზრუნველყონ“.

საშუალების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მედია მონიტორინგი დაიწყო.<sup>74</sup>

მონიტორინგის მთელი პერიოდის მანძილზე გამოხატვის თავისუფლება დაცული იყო. მართალია, 21 ოქტომბრამდე პერიოდში წინასაარჩევნო კამპანიას მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა მედია საშუალება ფართოდ აშუქებდა, მაგრამ ნაციონალურმა მედიამ მეორე ტურის წინასაარჩევნო კამპანიის უმეტესწილად იგნორირება მოახდინა. მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებთან დაკავშირებით ამომრჩეველს ინფორმაციას მხოლოდ რამდენიმე ადგილობრივი მედია საშუალება აწვდიდა.<sup>75</sup>

### პირველი ტური

პირველ ტურში მედია საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებისთვის გზავნილების მისაწოდებლად მრავალგვარ საშუალებას სთავაზობდა. მართალია, ამომრჩევლებს მრავალმხრივი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა გააჩნდათ, რათა მათ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონოდათ, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე მედია საშუალების გაცნობის შედეგად იყო შესაძლებელი.<sup>76</sup> მედია, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლები, უფასო საეთერო დროისა და ფასიანი

<sup>74</sup> „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის“, „იმედი“, „რუსთავი 2“-ის და „აჭარის ტელევიზიის“ შემთხვევაში მონიტორინგი ყოველდღიურად 18:00-დან 24:00-მდე პერიოდში ხორციელდებოდა. „მაესტროს“, „ობიექტივის“, „პირველის“ (თბილისში მაუწყებელი არხები), ასევე „გურიას“, „გურჯაანის“, „ქვემო ქართლის“, „ოდიშის“, „რიონის“, „თრიალეთის“, „მე-9 არხის“ და „ტვ-25“-ის (რეგიონული ტელეარხები) შემთხვევაში ხორციელდებოდა ამ ტელეკომპანიების მთავარი საინფორმაციო პროგრამების მონიტორინგი. გარდა ამისა, ტარდებოდა გაზეთების „რეზონანსი“ (ყოველდღიური გამოცემა), „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „ქრონიკა+“ და „კვირის პალიტრა“ (ყოველკვირეული გამოცემები) პოლიტიკური სტატიების მონიტორინგი. ამასთან ერთად, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია შემდეგი ონლაინ მედია საშუალებების - [www.ipn.ge](http://www.ipn.ge), [www.netgazeti.ge](http://www.netgazeti.ge), [www.on.ge](http://www.on.ge) და [www.tabula.ge](http://www.tabula.ge) - არჩევნებთან დაკავშირებული მასალების მონიტორინგს ახორციელებდა. მეორე ტურის წინ რეგიონული ტელეარხების „გურჯაანის“, „ქვემო ქართლის“ და „ტვ-25“-ის მონიტორინგი არ მომხდარა.

<sup>75</sup> რეგიონულ დონეზე რამდენიმე მედია საშუალება (მაგ., ტელეკომპანიები „ბორჯომი“, „გურია“ და „რიონი“) საარჩევნო კამპანიას აქტიურად აშუქებდა.

<sup>76</sup> არჩევნებში 16 კვალიფიციური სუბიექტი მონაწილეობდა. „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მერების არჩევნებთან დაკავშირებით სხვადასხვა რეგიონში სატელევიზიო დებატების ორგანიზება უზრუნველყო. წამყვანმა კერძო ტელეარხებმა - „იმედი“ და „რუსთავი 2“ - ასევე მოახდინეს დებატების ორგანიზება, რომელშიც შესაბამისად შვიდი და ხუთი ყველაზე პოპულარული პარტიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. 9 ოქტომბერს „ეროვნულმა ფორუმმა“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საჩივრით მიმართა მას შემდეგ, რაც ამ პარტიის მოთხოვნა ორი კერძო ტელეარხის დებატებში მონაწილეობასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა. თუმცა მედიის მარეგულირებელმა ორგანომ ამ ორ ტელეკომპანიას გაფრთხილება მხოლოდ 16 ნოემბერს მისცა.

პოლიტიკური რეკლამების განთავსებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ასრულებდა.<sup>77</sup>

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მედია მონიტორინგმა აჩვენა, რომ გარკვეული მედია საშუალებები ძირითადად მხოლოდ რამდენიმე მთავარ საარჩევნო სუბიექტზე აკეთებდნენ აქცენტს.<sup>78</sup> იმ დროს, როდესაც რეგიონული მაუწყებელი „აჭარის ტელევიზია“ წინასაარჩევნო კამპანიას დაბალანსებულად აშუქებდა, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „ქართული ოცნების“ საქმიანობის გაშუქებას უფრო მეტი დრო დაუთმო, ვიდრე ორი დანარჩენი ყველაზე ხშირად გაშუქებული პარტიის მიერ განხორციელებულ საქმიანობებს ერთად.<sup>79</sup> ამას გარდა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების გამოშვებები კრიტიკული და ანალიტიკური გაშუქებისგან ზოგადად დაცლილი იყო. 12 ოქტომბერს 14-მა პოლიტიკურმა პარტიამ საჯარო განცხადება გააკეთა და მსხვილი მაუწყებლების მიერ, მათი აზრით, მიკერძოებული გაშუქების გამო უკმაყოფილება გამოხატა. თუმცა, აღნიშნულ პარტიებს მაუწყებელთა თვითრეგულირების მექანიზმისთვის ოფიციალური საჩივრით არ მიუმართავთ.

ორი ყველაზე პოპულარული მაუწყებლის - „იმედი“ და „რუსთავი 2“ - მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. „რუსთავი 2“-ზე „ქართული ოცნების“ და მთავრობის კრიტიკა ხშირად ისმოდა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ამ პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ მიკერძოება ფიქსირდებოდა. „იმედი“ „ქართული ოცნების“

<sup>77</sup> 21 ნოემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ადმინისტრაციული დარღვევის თაობაზე ოქმი შეადგინა, რომელიც „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და „აჭარის ტელევიზიის“ მიერ „დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“ პოლიტიკური რეკლამის ეთერში გაშვებაზე უარს ეხებოდა (მაუწყებლების განცხადებით აღნიშნულ რეკლამაში სამედიცინო პროდუქციის რეკლამირება ხდებოდა); გარდა ამისა, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ აღნიშნული საქმე შესაბამის სასამართლოებში გადააგზავნა ადმინისტრაციული სანქციების დაწესების მიზნით. 26 სექტემბერს ბათუმის და თბილისის საქალაქო სასამართლოებმა შესაბამისი მაუწყებლები გააფრთხილეს. მართალია, ორივე მაუწყებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

<sup>78</sup> მაუწყებელთა ქვევის კოდექსის მიხედვით „ახალი ამბების გამოშვებები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ განხორციელებული აქტივობების დეტალურ და დაბალანსებულ გაშუქებას უნდა ახდენდნენ.“

<sup>79</sup> „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ პოლიტიკური ახალი ამბების 22% – „ქართული ოცნების“, ხოლო 9% და 10% შესაბამისად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ საქმიანობის გაშუქებას დაუთმო. „ქართული ოცნების“ გაშუქება – დაბალანსებული, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქების ტონი ნეიტრალური და ნეგატიური იყო. „ევროპული საქართველო“ ძირითადად ნეიტრალურ და დადებით ჭრილში იყო გაშუქებული. „აჭარის ტელევიზიამ“ ყველა საარჩევნო სუბიექტის საქმიანობა პრაქტიკულად მთლიანად ნეიტრალურად გააშუქა. მისი პოლიტიკური ახალი ამბების 18% – „ქართული ოცნებას“, 12% – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ და 6% – „ევროპულ საქართველოს“ დაეთმო.

საქმიანობის გაშუქების კუთხით პარტიის მიმართ თვალშისაცემ მიკერძოებას ავლენდა. გარდა ამისა, „იმედზე“ გასული მრავალი სიუჟეტი ბატონი ივანიშვილის საქმიანობისა და პროექტების რეკლამირებას ახდენდა. ტელეკომპანია „ობიექტივი“ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ღიად უჭერდა მხარს.<sup>80</sup>

ბეჭდური და ონლაინ მედია სხვადასხვა თვალსაზრისს აშუქებდა. ონლაინ პორტალი netgazeti.ge მოვლენების შედარებით დაბალანსებული გაშუქებით გამოირჩეოდა. ამავე დროს, ყველაზე პოპულარული ტაბლოიდი „ასავალ-დასავალი“ ხშირად ჭორებისა და ბრალდებების ფორუმის ფუნქციას ასრულებდა, იგი ანტიდასავლური ნარატივით გამოირჩეოდა, რომელიც „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ პლატფორმას ემთხვეოდა.

### მეორე ტური

მართალია, კანონის მიხედვით ოფიციალური საარჩევნო კამპანია ორ ტურს შორის არ შეწყვეტილა, მაგრამ 24 ოქტომბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მაუწყებლებს აცნობა, რომ არჩევნებთან დაკავშირებული ყველა კონკრეტული რეგულაცია მხოლოდ ცესკოს მიერ მეორე ტურის თარიღის ოფიციალურად გამოქვეყნების შემდეგ იმოქმედებდა (ცესკომ მეორე ტურის თარიღი ოფიციალურად 1 ნოემბერს გამოაცხადა). აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივმა და ნაციონალურმა კერძო მაუწყებლებმა უფასო საეთერო დროის გამოყოფა და ფასიანი პოლიტიკური რეკლამების შეთავაზება მხოლოდ 2 ნოემბრიდან დაიწყეს. შედეგად, კანდიდატებს წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის შესაძლებლობა შეეზღუდათ.

მეორე ტურის გამოცხადებამდე მაუწყებლები ძირითადად პარტიების მიერ არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით გამოხატულ რეაქციებსა და პირველი ტურის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე გაკეთებული კომენტარებს აშუქებდნენ (მათ შორის, მე-19 საარჩევნო ოლქში (თიანეთი) ხმების ხელახლა გადათვლის პროცესის გაშუქება). წინასაარჩევნო კამპანია უფრო თვალსაჩინო 1 ნოემბრის შემდეგ გახდა, რაც ძირითადად უფასო საეთერო დროის გამოყენებით იყო განპირობებული. იმ სამი პარტიიდან, რომელთაც უფასო საეთერო დროით სარგებლობის უფლება მიეცათ, აღნიშნული შესაძლებლობით „ქართულმა ოცნებამ“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ ისარგებლა.

მთლიანობაში, გაშუქების მხრივ, ნაციონალურ დონეზე მმართველი პოლიტიკური ძალა „ქართულ ოცნება“ დომინირებდა. პირველივე ტურში არჩული თბილისის მერის საქმიანობა მთელი ამ პერიოდის მანძილზე აქტიურად შუქდებოდა. „საქართველოს

<sup>80</sup> „რუსთავი 2“-ზე „ქართული ოცნების“ გაშუქებას 22% დაეთმო; გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური და უარყოფითი იყო. 17% და 12% „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ევროპული საქართველოს“ გაშუქებას დაეთმო, გაშუქებისას ძირითადად ნეიტრალური ტონი ფიქსირდებოდა. „იმედმა“ „ქართული ოცნების“ მიმართ პრეფერენციული დამოკიდებულება გამოხატა, რადგან ამ პარტიის საქმიანობის გაშუქებას დროის 35% დაუთმო მაშინ, როდესაც „ევროპული საქართველოს“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებას „იმედმა“ შესაბამისად 12% და 7% დაუთმო. „ობიექტივის“ პოლიტიკურ ახალ ამბებში „პატრიოტთა ალიანსის“ გაშუქებამ 43% შეადგინა.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ მისი ახალი ამბების გამოშვებების 25% „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაუთმო, მაშინ როდესაც სხვა ყველა პარტიის გაშუქებას მთლიანობაში 29% დაეთმო. ამავე დროს „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ აქტიურად აშუქებდა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებული წინა ხელისუფლების დროს მომხდარ მოვლენებს; ამ მოვლენების გაშუქებას დაახლოებით 13% დაეთმო და გაშუქების ტონი ხშირად ნეგატიური იყო. „იმედი“ „ქართული ოცნების“ საქმიანობას ყველაზე აქტიურად აშუქებდა, ამ პარტიის გაშუქებას აღნიშნულმა ტელეარხმა დაახლოებით 39% დაუთმო, გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური და პოზიტიური იყო.<sup>81</sup> ტელეკომპანია „პირველი“ მოვლენების შედარებით დაბალანსებული გაშუქებით ხასიათდებოდა. აღნიშნული ტელეკომპანია მთავარი პარტიების საქმიანობის გაშუქებას დაახლოებით თანაბარ დროს უთმობდა და გაშუქება ძირითადად ფაქტებს ეფუძნებოდა.

## XII. ეროვნული უმცირესობების ჩართულობა

2014 წლის აღწერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 13.2%-ს შეადგენენ. ეთნიკურ უმცირესობებში აზერბაიჯანელები (6.3%) და სომხები (4.5%) ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფებია.<sup>82</sup> კონსტიტუციით ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაცია აკრძალულია და ეთნიკური უმცირესობები სრულფასოვანი პოლიტიკური უფლებებით, მათ შორის, პირად ცხოვრებაში და საჯაროდ საკუთარი მშობლიური ენის გამოყენების უფლებით, სარგებლობენ. კონსტიტუცია ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი ან რელიგიური მოტივებით დისკრიმინაციას და ასევე ისეთი პოლიტიკური პარტიების შექმნას კრძალავს, რომლებიც ეთნიკურ შუღლს აღვივებენ და/ან ტერიტორიული პრინციპით იქმნებიან.

საარჩევნო კოდექსი ბიულეტენებისა და ამომრჩევლების სიების უმცირესობების ენებზე თარგმნას ითვალისწინებს.<sup>83</sup> ცესკომ ამომრჩეველთა განათლებისა და ინფორმირებისთვის გამიზნული მასალები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოსცა. უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში განლაგებული 345 საარჩევნო უბნის პერსონალისთვის ტრენინგები ამ უმცირესობების ენებზე ჩატარდა; გარდა ამისა, აღნიშნულ პერსონალს არჩევნებთან დაკავშირებული მასალები მშობლიურ ენებზე დაურიგდა. ამასთან ერთად, ცესკომ საკუთარ ვებგვერდზე ეთნიკური უმცირესობებისთვის საინტერესო სპეციფიკური სახის ინფორმაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოაქვეყნა. ამავე დროს, ცესკოში ეროვნული

<sup>81</sup> ტელეარხი ხელისუფლების საქმიანობასაც აქტიურად აშუქებდა - ახალი ამბების გამოშვებების დაახლოებით 23%.

<sup>82</sup> მათ შემდეგი ეთნიკური ჯგუფები მოჰყვება: რუსები (0.7 %), ოსები (0.4 %), იეზიდები (0.3%), უკრაინელები (0.2%), ქისტები (0.2%), ბერძნები (0.1%), ასირიელები (0.1%) და სხვა ჯგუფები (0.4 %).

<sup>83</sup> ეროვნული უმცირესობებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ 12 საარჩევნო ოლქში 208 შერეული ქართულ-აზერბაიჯანული საუბნო საარჩევნო კომისია, 133 შერეული ქართულ-სომხური საუბნო საარჩევნო კომისია და ოთხი შერეული ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური საუბნო საარჩევნო კომისია შეიქმნა.

უმცირესობების ენებზე სამენოვანი ცხელი ხაზი მოქმედებდა. ცესკომ 27 არასამთავრობო ორგანიზაციას მცირე გრანტები გამოუყო ამომრჩეველთა განათლებაზე მიმართული პროექტების დასაფინანსებლად, რომლებშიც უმცირესობების ჩართულობის კომპონენტიც იყო გათვალისწინებული. ეროვნული უმცირესობები მეტნაკლებად კარგად იყვნენ წარმოდგენილი ეთნიკურად სომხური მოსახლეობით დასახლებული რაიონების საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. რაც შეეხება ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებს, საოლქო საარჩევნო კომისიებში აზერბაიჯანელები არ იყვნენ წარმოდგენილი, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისიებში მათი წარმომადგენლობა ადეკვატური იყო. კომისიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ძირითადად მამაკაცები შეადგენდნენ.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატები ყველა ძირითადად პოლიტიკურმა პარტიამ და ბლოკმა დაასახელა, განსაკუთრებით, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში. გარდა ამისა, ამ რეგიონებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები დამოუკიდებლადაც იყრიდნენ კენჭს; თუმცა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატები თბილისსა და სხვა ქალაქებში, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ, ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილი.<sup>84</sup> ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი კანდიდატების მთლიანი პროცენტული შემადგენლობა (7%) შესაბამისი ეროვნული უმცირესობის პროცენტულ რაოდენობაზე კვლავ დაბალი დაფიქსირდა.<sup>85</sup> მათგან დაახლოებით 26% ქალი იყო.

კანდიდატებს ეთნიკური უმცირესობების ენებზე საარჩევნო კამპანიის წარმართვა თავისუფლად შეეძლოთ. მართალია, წინასაარჩევნო კამპანიაში ეროვნული უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები მთავარ თემას არ წარმოადგენდა, ახალქალაქში დაფიქსირებული რამდენიმე შემთხვევის გარდა, მაგრამ ეთნიკური წარმომავლობა დროდადრო მაინც ხდებოდა მობილიზების ან პოლარიზების საბაზი,

<sup>84</sup> სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მერობის კანდიდატები ეთნიკური სომხები იყვნენ: ახალქალაქში – ხუთი, ნინოწმინდაში – ოთხივე კანდიდატი და ბორჯომში – ერთი. ქვემო ქართლში სულ შვიდი მერობის კანდიდატი იყო ეთნიკური აზერბაიჯანელი: ხუთი მარნეულში და ორი გარდაბანში. კახეთში სულ სამი მერობის კანდიდატი იყო ეთნიკური სომეხი; ამ რეგიონში არცერთი მერობის კანდიდატი ეთნიკური აზერბაიჯანელი არ ყოფილა.

<sup>85</sup> არჩევნებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სულ ოცი მერობის კანდიდატი იყრიდა კენჭს (კანდიდატთა 5.4%); ჯამში ეთნიკური უმცირესობების 392-მა წარმომადგენელმა მაჟორიტარობის კანდიდატმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა (კანდიდატთა 8.3%); პარტიების პროპორციულ სიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი 822 პირი იყო შეყვანილი (6.7%), ხოლო თბილისის საკრებულოს არჩევნებისთვის პარტიულ სიებში – 52 (5.3%).

კონკრეტულად კი მარნეულში.<sup>86</sup> დაფიქსირდა სიძულვილის ენის, ქსენოფობიური გზავნილების, მუქარის, დაძაბულობის და დაშინების რამდენიმე შემთხვევა, რაც ზეგავლენას ახდენდა ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებზე.<sup>87</sup> პროკურატურამ მუქარებთან დაკავშირებით რამდენიმე საქმე აღძრა (იხ. „საჩივრები და სარჩევები“). პროცესში მონაწილე მხარეებმა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას პროცესში ჩართულმა მხარეებმა აცნობეს, რომ დმანისის საარჩევნო ოლქის სოფელ ირგანჩაის რამდენიმე მაცხოვრებელზე „ქართული ოცნების“ მხრიდან ზეწოლა განხორციელდა, კერძოდ, მათ სთხოვეს ყურანზე დაეფიცათ, რომ არჩევნებში ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემდნენ. უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნულ ინციდენტს შესაბამისი ორგანოები იძიებდნენ. არჩევნების პირველ ტურამდე რამდენიმე დღით ადრე მარნეულთან ახლომდებარე სოფელ ყიზილაჯლოში მდებარე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი და პარტიის მხარდამჭერები სროლის შედეგად დაშავდნენ. სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

### XIII. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არჩევნების მთლიან პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს. საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები იგივე უფლებებით

<sup>86</sup> 14 სექტემბერს ახალქალაქში „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ კანდიდატმა პირობა დადო, რომ მისი არჩევის შემთხვევაში სომხების გენოციდის აღიარების საკითხი მისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნებოდა და ყველაფერს გააკეთებდა სომხურ-ქართული ურთიერთობების განმტკიცებისთვის. 18 სექტემბერს მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ ეთნიკური ქართველი მერობის კანდიდატის ეთნიკური აზერბაიჯანელი კანდიდატით ჩანაცვლება მოხდა, ყოფილი კანდიდატის მხარდამჭერებმა თბილისში „ქართული ოცნების“ მთავარ ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს. ამის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ მარნეულის საკრებულოს არჩევნებისთვის პარტიული სია წარმოადგინა, სადაც ეთნიკური ქართველები პირველ 12 ადგილს იკავებდნენ, მათ ეთნიკური აზერბაიჯანელები მოჰყვებოდნენ, რომელთა საკრებულოში მოხვედრის შანსები, აღნიშნულ სიაში მათ მიერ დაკავებული ადგილებიდან გამომდინარე, გაცილებით ნაკლები იყო.

<sup>87</sup> 24 სექტემბერს ბათუმში გამართული მიტინგის დროს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა მწვავე ანტი-თურქულ რიტორიკას მიმართეს. 13 ოქტომბერს თბილისში გამართული მიტინგის დროს „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველოს“ მერობის კანდიდატმა ქსენოფობიური განცხადებები გააკეთა. აღნიშნული პარტიის ორი წინასაარჩევნო რგოლი, რომლებიც სხვადასხვა ტელეარხზე, მათ შორის, საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაიკა, იმიგრანტების საწინააღმდეგო და ისლამოფობიურ გზავნილებს შეიცავდა. 23 სექტემბერს „ევროპული საქართველოს“ მერობის კანდიდატმა მარნეულში „ქართული ოცნების“ კანდიდატი და მისი მხარდამჭერები სოფელ სადახლოში „ევროპული საქართველოს“ კანდიდატზე თავდასხმაში დაადანაშაულა. 25 სექტემბერს „დემოკრატიული მოძრაობა – თავისუფალი საქართველოს“ მერობის კანდიდატმა ახალქალაქში განაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებზე მათი კანდიდატურების მოხსნის მიზნით ზეწოლა ხორციელდებოდა. 9 ოქტომბერს თეთრიწყაროში „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის რამდენიმე კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურები სავარაუდო ზეწოლის შედეგად მოხსნა. იხ. ასევე „პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია.“

სარგებლობენ. დამკვირვებლების და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების აკრედიტაცია მხარეთა ჩართულობით განხორციელდა. ცესკომ 71 ადგილობრივ (19,941 დამკვირვებელი) და 30 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას (581 დამკვირვებელი) მიანიჭა აკრედიტაცია; აკრედიტაცია 82 მედია საშუალების წარმომადგენელმა 4,612-მა ჟურნალისტმაც მიიღო. გარდა ამისა, საოლქო საარჩევნო კომისიებმა ოლქების დონეზე ადგილობრივი დამკვირვებლები, ასევე პარტიებისა და მედიის წარმომადგენლები დაარეგისტრირეს. მეორე ტურისთვის ცესკომ დამკვირვებლებს და საარჩევნო სუბიექტებისა და მედიის წარმომადგენლებს აკრედიტაცია გაუგრძელა, მათ შორის, იმ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გაცემული აკრედიტაციები გახანგრძლივდა, სადაც მეორე ტური გაიმართა. გარდა ამისა, ცესკომ და საოლქო საარჩევნო კომისიებმა დამატებით 1,926 დამკვირვებლის, მედიისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლის აკრედიტება მოახდინეს.

საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე ადგილობრივი დამკვირვებლების აქტიურმა მონაწილეობამ არჩევნების გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. თუმცა, ადგილობრივ დამკვირვებლებს არჩევნების მოსამზადებელ სამუშაოებზე დაკვირვების, მათ შორის, არჩევნების პერიოდში საარჩევნო კომისიების მიერ გამართულ სხდომებზე დასწრების, შესაძლებლობა კანონით შეზღუდული აქვთ.

*სასურველია კანონში ცვლილებების შეტანა, რათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს წინასაარჩევნო პერიოდის გარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაზე დაკვირვების საშუალება სხვა დროსაც მიეცეთ.*

კენჭისყრის დღეს არჩევნებზე საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნებზე ადგილობრივ დამკვირვებლად აკრედიტებული საარჩევნო სუბიექტებთან აფილირებული არაერთი წარმომადგენელი დააფიქსირეს (იხ. „კენჭისყრის დღე“).<sup>88</sup> რაც იმაზე მიუთითებს, რომ ზოგიერთმა პარტიამ და კანდიდატმა, დამატებითი წარმომადგენლების ადგილობრივ დამკვირვებლებად ან მედიის წარმომადგენლებად დაარეგისტრირებით, შეგნებულად გვერდი აუარა კანონის იმ დებულებას, რომლის მიხედვით მათ საარჩევნო უბანზე მხოლოდ ერთი წარმომადგენლის ყოლის უფლება აქვთ. ამგვარი პრაქტიკა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რაც

<sup>88</sup> დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა ცნობით ადგილობრივი დამკვირვებლები, რომლებიც საზოგადოებრივი ასოციაციების „კავშირი 21-ე საუკუნე“, „ახალი სიტყვა“ და „სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ცენტრის“ სახელით იყვნენ აკრედიტებული, მმართველ პარტიასთან კავშირს ხშირ შემთხვევაში ღიად აღიარებდნენ. „მწვანე დედამიწის“ და „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ სახელით აკრედიტებული პირები – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, ხოლო „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ გამოხატავდნენ მხარდაჭერას. ზემოხსენებულმა ორგანიზაციებმა ერთობლივად ყველა აკრედიტებული ადგილობრივი დამკვირვებლის 39% შეადგინა.



ადგილობრივი დამკვირვებლების პარტიებთან ასოცირებას გამოირიცხავს.<sup>89</sup>

*საარჩევნო სუბიექტებმა საკუთარი აქტივისტების ადგილობრივ დამკვირვებლებად და მედიის წარმომადგენლებად დარეგისტრირებისგან თავი უნდა შეიკავონ და საარჩევნო უბნებზე თანაბარი და შეზღუდული წარმომადგენლობის პრინციპს პატივი სცენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა საარჩევნო უბნებზე მყოფი წარმომადგენლების მხრიდან საკუთარი ფუნქციების შესრულებისას მიუკერძოებლობის შენარჩუნება უნდა უზრუნველყონ.*

გამოცდილმა და სანდო ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა გრძელვადიანი დაკვირვება განახორციელეს და კენჭისყრის დღეს მოკლევადიანი დამკვირვებლებიც საარჩევნო უბნებზე გადაანაწილეს. ორმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ხმების პარალელური დათვლა განახორციელა. რამდენიმე ორგანიზაციამ კენჭისყრის დღეს მედია ცენტრი გახსნა და ერთობლივი განცხადებები გაავრცელა, რის შემდეგ მათ ცალ-ცალკე საბოლოო ანგარიშები მოამზადეს.<sup>90</sup>

ადგილობრივი დამკვირვებლები საარჩევნო კომისიებსა თუ სასამართლოებში საჩივრების შეტანის უფლებას აქტიურად იყენებდნენ.<sup>91</sup> რამდენიმე შემთხვევაში ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები სასამართლოებში საარჩევნო სუბიექტებს წარმოადგენდნენ ან მათ საჩივრების მომზადებისა და შეტანის პროცესში უწევდნენ დახმარებას, რაც მათ ნეიტრალობასთან დაკავშირებით გარკვეულ ეჭვებს იწვევდა.

#### XIV. საჩივრები და სარჩევნები

საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო რთული და ზედმეტად შემზღვევია. დაჩქარებული წესით მხოლოდ ცალკეული უფლებამოსილი მომჩივნის მიერ შემოტანილი გარკვეული კატეგორიის საჩივრები განიხილება - აღნიშნულ შემთხვევაში, სარჩევნების მიღება და განხილვა ერთ ან ორ დღეში ხორციელდება. სარჩევნების შეტანა როგორც რეგისტრირებულ საარჩევნო

<sup>89</sup> [„არაპარტიული საარჩევნო დაკვირვებისა და სამოქალაქო მონიტორინგის გლობალური პრინციპების შესახებ დეკლარაციის“](#) მე-8 პუნქტის მიხედვით, „არაპარტიული ადგილობრივი დამკვირვებლის სტატუსით მოქმედების უფლება არავის უნდა ჰქონდეს, თუ აღნიშნული პირი თავისუფალი არ არის პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა სახის ინტერესთა კონფლიქტისგან, რაც ამ პირს არჩევნებზე დისკრიმინაციის გარეშე, მიუკერძოებლად ზუსტად და დროულად დაკვირვებაში და აქტივობებზე მონიტორინგის განხორციელებაში ხელს შეუშლის“.

<sup>90</sup> მათ შორის იყო „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“.

<sup>91</sup> პირველი ტურის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული საჩივრების ნახევარზე მეტი და მეორე ტურის შემდეგ ყველა შესული საჩივარი, ერთის გარდა, ადგილობრივმა დამკვირვებლებმა შეიტანეს.

სუბიექტებს, ასევე აკრედიტებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს უმეტეს შემთხვევაში შეუძლიათ. ამომრჩევლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ სარჩელის შეტანა, თუ ისინი ამომრჩეველთა სიაში არ აღმოჩნდებიან. იგივე უფლებით სარგებლობენ არჩევნების დღეს საუბნო საარჩევნო კომისიებში ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით. მომჩივანთა კატეგორიების ამგვარი შეზღუდვა საერთაშორისო ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე მიღებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>92</sup> დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებმა ვადების დარღვევის, ან არაუფლებამოსილი პირების მიერ წარდგენილი საჩივრის გამო საჩივრების მიღებაზე უარის თქმის რამდენიმე შემთხვევა დააფიქსირეს.<sup>93</sup>

*სასურველია საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადახედვა, რათა საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურები გამარტივდეს, მომჩივანთა კატეგორიებთან დაკავშირებით შეზღუდვები გაუქმდეს და არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების შეტანასა და განხილვაზე დაწესებული საბოლოო ვადები გახანგრძლივდეს. ყველას, ვისი საარჩევნო უფლებებიც დაირღვა, საჩივრის შეტანის უფლება უნდა გააჩნდეს.*

პირველი ტურის წინ საოლქო საარჩევნო კომისიებში და ცესკოში შეტანილი საჩივრების რაოდენობა მცირე იყო, მათი უმრავლესობა საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევას და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას ეხებოდა.<sup>94</sup> აქედან ცესკომ საკუთარ სხდომებზე მხოლოდ ოთხი საჩივარი განიხილა.<sup>95</sup> ცესკოს სამი გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა, თუმცა სასამართლომ სამივე გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ცესკოს სხდომებზე საჩივრების განხილვა ღიად, ცესკოს წევრთა ჩართულობით და კანონით გათვალისწინებული ნორმების დაცვით მიმდინარეობდა. რაიონულმა სასამართლოებმა არჩევნებთან დაკავშირებული რამდენიმე საქმე განიხილეს; მართალია, ზოგადად ამ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

<sup>92</sup> 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამოსწორების ეფექტური შესაძლებლობა ყველას უნდა გააჩნდეს. ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის II.3.3.3.f-ე პუნქტის მიხედვით “კონკრეტულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ყველა კანდიდატს და ამომრჩეველს უნდა გააჩნდეს სარჩელის შეტანის უფლება. არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა მიერ შემოტანილი საჩივრების რაოდენობა გონივრული ქვორუმით შეიძლება დარეგულირდეს.”

<sup>93</sup> რამდენიმე დაინტერესებულმა მხარემ, მათ შორის, სასამართლოს წარმომადგენელმა ოფიციალურმა პირებმა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ საჩივრების განხილვისთვის დაწესებული ვადები არჩევნებთან დაკავშირებული საქმეების ადეკვატურად განხილვისთვის საკმარისი არ არის.

<sup>94</sup> ცესკოს საჩივრების ონლაინ რეესტრის მიხედვით, საოლქო საარჩევნო კომისიებში, ცესკოსა და რაიონულ სასამართლოებში დაახლოებით 140 საჩივარი შევიდა, აქედან 20 უშუალოდ ცესკოში.

<sup>95</sup> ცესკოს მიერ მიღებული საჩივრების დიდი უმრავლესობა ცესკოს თავმჯდომარემ განიხილა.

სათანადოდ იყო დასაბუთებული, მაგრამ ზოგჯერ მიღებული გადაწყვეტილებები კანონის თანმიმდევრულად აღსრულების პრინციპს არ აკმაყოფილებდა.<sup>96</sup>

საარჩევნო კოდექსის მიხედვით ცესკოს თავმჯდომარეს, საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ წევრს (როგორც წესი, თავმჯდომარეს), საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს ადმინისტრაციული ოქმების შედგენა შეუძლიათ, რითაც საარჩევნო დარღვევებისთვის სანქციების გამოყენება შეიძლება იქნას მოთხოვნილი; ამის შემდეგ, ამგვარი სანქციების გამოყენება სასამართლოების გადასაწყვეტია. ცესკოს (ან სხვა ორგანოს) განკარგულებები, რომლითაც ამგვარი სანქციების გამოყენებაზე უარია ნათქვამი, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს და საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება.<sup>97</sup> კანონი არ ითვალისწინებს ისეთი საჩივრების დაჩქარებული წესით განხილვის შესაძლებლობას, რომლითაც ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებაა მოთხოვნილი. შედეგად, ზოგიერთი ასეთი საჩივარი რამდენიმე კვირის განმავლობაში განიხილებოდა ან ფაქტობრივად განუხილველი რჩებოდა, რამაც საჩივრების განხილვის პროცესის ეფექტურობა რისკის ქვეშ დააყენა.

*დარღვევებზე ეფექტური რეაგირების ხელშესაწყობად კანონში იმ საჩივრების დაჩქარებულად განხილვის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, რომელშიც ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებაა მოთხოვნილი. აღნიშნული საჩივრები ღია სხდომებზე და კოლეგიალურ ატმოსფეროში უნდა განიხილებოდეს. საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს.*

17 ნოემბრის მონაცემებით, პროკურატურამ არჩევნებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების შესახებ მიღებული ცნობების საფუძველზე 48 სისხლის სამართლის საქმე აღძრა, აქედან 12 საქმე სახელმწიფო თანამდებობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო ფაქტებს, 13 საქმე ძალადობის სავარაუდო ფაქტებს და 4 საქმე სავარაუდო მუქარებს ეხებოდა. პროკურატურის ბრალდებების საფუძველზე 6 ადამიანს, მათგან ერთ-ერთს მუქარის განხორციელება ედებოდა ბრალად, სასამართლოებმა 3,000-დან 5,000 ლარამდე ოდენობის ჯარიმები დააკისრეს. ცხრა საქმეზე გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძველზე შეწყდა.

<sup>96</sup> მაშინ, როდესაც საარჩევნო კოდექსი გარკვეული დარღვევებისთვის მხოლოდ ჯარიმებს ითვალისწინებს, სასამართლოებმა რამდენიმე შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი დებულებებით იხელმძღვანელეს და გაფრთხილებები გამოსცეს.

<sup>97</sup> 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გამოსწორების ეფექტური შესაძლებლობა ყველას უნდა გააჩნდეს, რათა ფუნდამენტური უფლებების და კანონის დაცვა იყოს გარანტირებული. [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის](#) მე-6 მუხლის თანახმად სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება ყველას აქვს.

წინამდებარე ანგარიშის შედგენის პერიოდში დანარჩენ საქმეებზე გამოძიება კვლავ მიმდინარეობდა.

კანონის შესაბამისად, უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის ივლისში შეიქმნა. მისი მანდატი საჯარო თანამდებობის პირების მიერ საარჩევნო დარღვევების „პრევენციას და მათზე რეაგირებას“ გულისხმობს. უწყებათაშორისმა კომისიამ წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვასთან დაკავშირებით საჯარო მოხელეების, საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო სუბიექტების და ადგილობრივი დამკვირვებლების მისამართით რვა არასავალდებულო რეკომენდაცია გამოსცა. მართალია, უწყებათაშორისი კომისიის მუშაობამ ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მხრიდან მოწონება დაიმსახურა და ამ ჯგუფებს არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების და ბრალდებების საჯაროდ განხილვის შესაძლებლობა მისცა, საარჩევნო სუბიექტებს შორის ამ ორგანოს მანდატთან დაკავშირებით ზოგადი გაურკვევლობა შეიმჩნეოდა.

საერთო ჯამში საჩივრების განხილვა ზედმეტად ფორმალისტურად მიმდინარეობდა და ხშირად მათი შინაარსი სათანადოდ არ იყო გამოძიებული, რაც დარღვევების ეფექტურად გამოსწორების უფლებას და საარჩევნო დავების გადაწყვეტისადმი საზოგადოების ნდობას საფრთხეს უქმნის, რაც ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებსა და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>98</sup>

*სასურველია, საარჩევნო კოდექსში შესწორებები შევიდეს, რათა ფორმატის გამო საჩივრების მიღებაზე უარის თქმა გამოირიცხოს. საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა კანონის ფორმალისტური ინტერპრეტაციისგან თავი უნდა შეიკავონ და სრულად და მიუკერძოებლად უნდა განიხილონ ყველა საჩივრის შინაარსი, რათა დარღვევებზე ეფექტური რეაგირების უფლება იქნას დაცული.*

## XV. კენჭისყრის დღე (პირველი ტური)

კენჭისყრის დღეს, 21 ოქტომბერს საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ 77 უბნის გახსნაზე, 758 საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესზე, 71 საარჩევნო უბანზე ხმების დათვლასა და 73-დან 61 საარჩევნო ოლქში შედეგების შეჯამებაზე განახორციელა დაკვირვება.

კენჭისყრის დღემ ძირითადად მოწესრიგებულად ჩაიარა. კანდიდატების წარმომადგენლების და ადგილობრივი დამკვირვებლების ადგილზე ყოფნამ

<sup>98</sup> ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.10-ე პუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების შესწორების ეფექტური შესაძლებლობა ყველას უნდა გააჩნდეს, რათა ფუნდამენტური უფლებების და სამართლებრივი მთლიანობა იყოს გარანტირებული. ვენეციის კომისიის „რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის“ II.3.3b პუნქტის მიხედვით „პროცედურა მარტივი და ფორმალიზმისგან დაცლილი უნდა იყოს, კონკრეტულად საჩივრების დასაშვებობასთან დაკავშირებით.“

პროცესის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. თუმცა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ მედიის წარმომადგენლებად ან ადგილობრივ დამკვირვებლებად რეგისტრირებული ზოგიერთი პირი სხვადასხვა პარტიასთან ან კანდიდატთან იყო დაკავშირებული და ზოგჯერ არჩევნების პროცესშიც ერეოდა. ზოგ შემთხვევაში საარჩევნო უბნებზე მყოფი უფლებამოსილი პირები, საარჩევნო უბნების გარეთ მყოფ პირებთან თანამშრომლობის გზით, აღრიცხავდნენ ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის ფაქტს. მაშინ, როცა კენჭისყრის პროცესი დადებითად შეფასდა, ხმების დათვლამ გაცილებით უარესი შეფასება დაიმსახურა, რაც საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ პროცედურების დაუცველობით ან არაუფლებამოსილი პირების მიერ ხმების დათვლის პროცესში ჩარევით იყო გამოწვეული.

#### ა. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის მიცემის პროცესი

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნები დროულად გაიხსნა, რამდენიმე შემთხვევაში მცირე შეყოვნება დაფიქსირდა. მთლიანობაში, უბნების გახსნა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა უბანში, ორის გარდა, დადებითად შეფასდა. დამკვირვებლების ინფორმაციით პროცესი მოწესრიგებულად მიმდინარეობდა, მთლიანობაში პროცედურების დაცვით.<sup>99</sup>

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 97%-ში ხმის მიცემის პროცესი შეფასდა როგორც „კარგი“ ან „ძალიან კარგი.“ პროცედურები ზოგადად დაცული იყო. თუმცა მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 36%-ში პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს დასაშვებზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ. ჩვეულებრივ, ისინი ადგილობრივ დამკვირვებლებად ან მედიის წარმომადგენლებად იყვნენ აკრედიტებული, რითაც პარტიებმა და კანდიდატებმა კანონის იმ დებულებას აუარეს გვერდი, რომლის მიხედვით საარჩევნო უბანზე თითო საარჩევნო სუბიექტს მხოლოდ ერთი წარმომადგენლის ყოლა შეუძლია.<sup>100</sup> ამან საარჩევნო უბნებში ხალხმრავლობა გამოიწვია (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 6%-ში). სიტუაციას კიდევ უფრო ართულებდა ზოგიერთი საარჩევნო უბნის არაადეკვატური შიდა დაგეგმარება (მონიტორინგს დაქვემდებარებული უბნების 5%). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 5%-ში ადგილობრივ დამკვირვებლებად აკრედიტებული პირები საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ერეოდნენ ან მათ მუშაობას წარმართავდნენ (იხ.

<sup>99</sup> ინფორმაციას მიღებული ბიულეტენების რაოდენობის შესახებ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან ხმამაღლა არ აცხადებდა (დაფიქსირდა 18 შემთხვევა) ან ინფორმაცია გამოკრულ ოქმებში არ იყო შეტანილი (დაფიქსირდა 11 შემთხვევა).

<sup>100</sup> ხმის მიცემის პროცესის დროს მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 21%-ში „ქართული ოცნების“ ერთზე მეტი წარმომადგენელი იმყოფებოდა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 9%-ს, „ევროპული საქართველოს“ შემთხვევაში 8%-ს, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ და „დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“ შემთხვევებში 4-4%-ს, ხოლო დამოუკიდებელი კანდიდატების შემთხვევაში 1%-ს შეადგენდა.

„ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები“). მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 2%-ში დამკვირვებლებმა ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის ფაქტები დააფიქსირეს.

ჯგუფურად ხმის მიცემის შემთხვევები საარჩევნო უბნების 2%-ში დაფიქსირდა, უმეტესწილად რაიონებში, ვიდრე ქალაქებში. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 12%-ში ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება არ მისცეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არქონის ან კონკრეტულ საარჩევნო უბანზე ამ პირების ამომრჩეველთა სიებში არყოფნის გამო. მონიტორინგის დროს არ დაფიქსირებულა არცერთი შემთხვევა, როდესაც ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის უფლება, კანონით დადგენილი მიზეზების გარდა, სხვა რაიმე მიზეზით არ მიეცათ.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 4%-ში საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა უბნების გარეთ პრობლემები დააფიქსირეს. ზოგიერთ შემთხვევაში საარჩევნო უბნების მახლობლად მყოფი ადამიანების ჯგუფები, როგორც ჩანს, ამომრჩევლების დაშინებას ან მათზე ზეწოლას ახდენდნენ ან უბნებზე მოსული ამომრჩევლების აღრიცხვას ეწეოდნენ. მართალია, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ხმის მიცემის პროცესი ზოგადად დადებითად შეფასდა, ამომრჩეველთა დაშინების ან ხმის მიცემის პროცესში ჩარევის რამდენიმე შემთხვევა მაინც დაფიქსირდა.<sup>101</sup>

რიგ შემთხვევებში, ძირითადად თბილისსა და დედაქალაქის პრაქტიკულად ყველა საარჩევნო ოლქში, პარტიებთან ან კანდიდატებთან კავშირში მყოფი დამკვირვებლები ამომრჩევლების ხელმოწერილი სიებიდან ამომრჩეველთა რიგით ნომრებს იწერდნენ, ხშირად არჩევნებზე არგამოცხადებულ ამომრჩევლებთან დაკავშირების მიზნით.<sup>102</sup> კენჭისყრის დღეს გამოქვეყნებულ პრეს-რელიზში ცესკომ განმარტა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებმა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ დამკვირვებლებს აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ, რადგან ეს საჯარო ინფორმაციად ითვლება. ცესკოს განცხადება შემფოთების საგნად მიიჩნია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა.<sup>103</sup> ამგვარი პრაქტიკის ორაზროვნება

<sup>101</sup> საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებში ხმის მიცემის პროცესი უარყოფითად 38-დან 3 საარჩევნო უბანში შეაფასეს, ეთნიკური სომხებით დასახლებულ რაიონებში ხმის მიცემის პროცესი დადებითად 25-ივე საარჩევნო უბანზე შეფასდა, ხოლო შერეული ეთნიკური მოსახლეობის მქონე რაიონში – ერთ საარჩევნო უბანზე.

<sup>102</sup> ეს ფაქტი ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების მიერაც აღინიშნა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ინფორმაციით ამგვარი პრაქტიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო უბნების 17%-ში დაფიქსირდა, ხოლო თბილისში ამ მაჩვენებელმა 75% შეადგინა.

<sup>103</sup> 21 ოქტომბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა განაცხადა: “დამკვირვებელს აქვს უფლება დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას. თუმცა ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს მონაცემების შეგროვება და შემდგომი დამუშავება ამომრჩეველზე ზეწოლის ან სხვა არაკანონიერი მიზნებისთვის. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, რომ საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავება კანონის დაცვით განახორციელონ.”

საერთაშორისო დოკუმენტებშიც არის აღნიშნული.<sup>104</sup>

*დამკვირვებელთა მიერ ხმის მიცემის პროცესის ყველა ასპექტზე დაკვირვების უფლების შეზღუდვის გარეშე სასურველია, რომ ხელისუფლებამ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილოს, რითაც კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების მოპოვების და შემდგომი დამუშავების აკრძალვის მიზნით.*

მართალია, ხელისუფლებამ გარკვეული რაოდენობის ადაპტირებული საარჩევნო უბანი მოაწყო, მაგრამ საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების ინფორმაციით საარჩევნო უბნების 63%-ში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს დამოუკიდებლად შესვლის საშუალება არ ჰქონდათ.

## ბ. ხმების დათვლა

ხმის დათვლის პროცესი მონიტორინგს დაქვემდებარებული 71 საარჩევნო უბნიდან 11-ში უარყოფითად შეფასდა. უარყოფითი შეფასებები ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ პროცედურების დარღვევას, ან პროცესში გარეშე პირების ჩარევას უკავშირდებოდა. არაუფლებამოსილი პირები - ძირითადად პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენლები ან ადგილობრივი დამკვირვებლები - ხმის დათვლის პროცესში იღებდნენ მონაწილეობას მონიტორინგს დაქვემდებარებულ 10 საარჩევნო უბანზე. რამდენიმე შემთხვევაში საარჩევნო უბნებთან დაძაბულობის ან დაპირისპირების ფაქტი დაფიქსირდა.

სერიოზული დარღვევები, რომლებმაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ხმის დათვლის პროცესის მთლიანობისა და გამჭვირვალობის შეფასებაზე, მოიცავდა საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების ოქმების შევსებამდე ხელმოწერას (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნებიდან 11-ში), პრობლემებს საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედეგების ოქმების შედგენისას (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნებიდან 13-ში) და საუბნო საარჩევნო კომისიების უკვე შედგენილი ოქმების გადახედვის ფაქტებს (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნებიდან 9-ში). მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების დაახლოებით მეოთხედში საუბნო საარჩევნო კომისიებმა ოქმების ასლები არ გამოაკრეს, იმის მიუხედავად, რომ ამას კანონი ავალდებულებს. გამოუყენებელი ბიულეტენების გაუქმება არ მომხდარა ყოველ მეხუთე საარჩევნო უბანზე. თუმცა,

<sup>104</sup> ვენეციის კომისიის საარჩევნო საკითხებში რეკომენდებული პრაქტიკის კოდექსის I.4.c-ე პუნქტთან მიმართებაში არსებული განმარტებითი ბარათის 4.54-ე თავის მიხედვით: „რადგან ხმის მიცემისგან თავის შეკავება პოლიტიკურ არჩევანს შეიძლება ნიშნავდეს, ხმის მიცემის პროცესში მონაწილე პირების სიები არ უნდა იყოს გამოქვეყნებული.“ თუმცა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ვენეციის კომისიის [განმარტებითი განცხადების](#) მიხედვით: „იმ ამომრჩეველთა სიები, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, შეიძლება გადაეცეს არჩევნებში დაინტერესებულ გარკვეულ მხარეებს.“

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს არჩევნების შედეგების გაყალბების შეგნებული მცდელობები არ შეუნიშნავთ.

## გ. შედეგების შეჯამება

შედეგების შეჯამების პროცესი 61 საოლქო საარჩევნო კომისიაში, ერთის გარდა, დადებითად შეფასდა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობაში რაიმე მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები ან დარღვევები არ შეუნიშნავთ. იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო მასალების მიღების და საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების დამუშავების პროცესი ზოგადად გამჭვირვალე იყო, მონიტორინგს დაქვემდებარებულ 10 საოლქო საარჩევნო კომისიაში პროცესი ყოველთვის თვალსაჩინო არ ყოფილა, ძირითადად ინფრასტრუქტურის არასათანადო პირობების გამო (მონიტორინგს დაქვემდებარებული 61 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 11-ში), რამაც ხუთ საოლქო საარჩევნო კომისიაში ხალხმრავლობა გამოიწვია. ექვს საოლქო საარჩევნო კომისიაში დაძაბულობისა და დაპირისპირების შემთხვევები დაფიქსირდა, ხოლო ერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში პროცესის ჩაშლის მცდელობას ჰქონდა ადგილი, რამაც უარყოფითი შეფასება განაპირობა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიამ საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების 10%-ში შესწორებები დააფიქსირა, როგორც ჩანს, შემთხვევების უმრავლესობაში ეს ტექნიკური შეცდომების შედეგი იყო. ეს ხაზს უსვამს იმ სირთულეებს, რომლებსაც საუბნო საარჩევნო კომისიები არჩევნების შედეგების ზუსტად აღრიცხვის კუთხით განიცდიდნენ, რაც ხმების დათვლის რთული პროცედურით და ტრენინგის ნაკლებობით იყო გამოწვეული.

*სასურველია, რომ ცესკომ ყოვლისმომცველი ანალიზი განახორციელოს ხმების დათვლის და შეჯამების კუთხით საუბნო საარჩევნო კომისიების სამუშაოში არსებული შეცდომების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით. ხელისუფლებას შეუძლია ხმების დათვლის პროცედურების გამარტივების საკითხი განიხილოს, რაც საარჩევნო პროცესის მთლიანობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე, შესაბამის კანონდებლობასა და რეგულაციებში ცვლილებების შეტანით არის შესაძლებელი.*

კანონის შესაბამისად, კენჭისყრის დღის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებს საკუთარ ოლქებში 11 დღე ჰქონდათ მიცემული არჩევნების შედეგების შესაჯამებლად. ამ პროცესში საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების შემაჯამებელი შესწორების ოქმების გადამოწმება, საჩივრებისა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებითი ბარათების განხილვა შედიოდა. ჯამში საუბნო საარჩევნო კომისიებმა 1,507 ახსნა-განმარტებითი ბარათი შეადგინეს.<sup>105</sup> საჩივრების საფუძველზე შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი შესწორებები საოლქო

<sup>105</sup> საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ახსნა-განმარტებითი ბარათის შედგენა შეუძლიათ, რომელშიც შედეგების ოქმების შედგენისას დაშვებული შეცდომები და ჩასწორებები იქნება ახსნილი.



საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებით უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ შესწორებული ოქმები მხოლოდ ახსნა-განმარტებითი ბარათების საფუძველზე, აღნიშნული ცვლილებების მიზეზების შესწავლის გარეშე, დაამტკიცა. შედეგების ოქმების შევსებისას პროცედურების დარღვევებთან დაკავშირებულ შემთხვევებში, საოლქო საარჩევნო კომისიები ხშირად არ იყენებდნენ სანქციებს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა წინააღმდეგ ან ამგვარ სანქციებს არათანმიმდევრულად მიმართავდნენ.

საოლქო საარჩევნო კომისიებში ხმების ხელახლა გადათვლასთან დაკავშირებული 213 მოთხოვნა და ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების შედეგების გაუქმების 143 მოთხოვნა შევიდა, აღნიშნული მოთხოვნები ძირითადად სავარაუდო პროცედურულ დარღვევებს ეყრდნობოდა. თუმცა კანონში ხმების ხელახალი გადათვლის ან შედეგების გაუქმების მოთხოვნისა და დაკმაყოფილების საფუძვლები არ არის გაწერილი. საკმარისი საფუძვლების არარსებობის გამო, ხმების გადათვლასთან დაკავშირებული ორი მოთხოვნის გარდა (ორივე მოთხოვნა „ქართულმა ოცნებამ“ წამოაყენა), არცერთი მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულა.<sup>106</sup>

*სასურველია საარჩევნო კოდექსში შესწორებების შეტანა, რათა ნათლად განისაზღვროს, თუ რის საფუძველზე შეიძლება ხმების ხელახლა გადათვლის ან კენჭისყრის შედეგების გაუქმების მოთხოვნა და რის საფუძველზე უნდა დაკმაყოფილდეს ამგვარი მოთხოვნა.*

ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან ოქმების მიღება კენჭისყრის დღეს 23:00-ზე დაიწყო, მიღებული ოქმების სკანირებული ასლები დაუყოვნებლივ იტვირთებოდა ცესკოს ვებგვერდზე, რამაც პროცესის გამჭვირვალობას შეუწყო ხელი. ცესკომ არჩევნების წინასწარი შედეგები 22 ოქტომბერს 11:00-ზე გამოაცხადა. ოფიციალური შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა აქტივობამ 45.65% შეადგინა. ბიულეტენტა 4% – მერების არჩევნებში, 4.6% – პროპორციულ არჩევნებში და 4.7% – მაჟორიტარულ არჩევნებში ბათილად იქნა ცნობილი.<sup>107</sup>

## XVI. პირველი ტურის შემდეგ განვითარებული მოვლენები

### ა. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ შემოტანილი საჩივრები და სარჩევნო

21 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 970 საჩივარი შევიდა, ისინი ძირითადად საარჩევნო უბნებზე ხმების მიცემისა და

<sup>106</sup> 47-ე საარჩევნო ოლქის (მესტია) 22-ე საარჩევნო უბანზე ხმების ხელახლა დათვლის შედეგად დადგინდა, რომ ოქმში არსებული შეცდომა ტექნიკური ხასიათის იყო და მას საბოლოო შედეგებზე გავლენა არ მოუხდენია. მე-19 საარჩევნო ოლქის (თიანეთი) მე-20 საარჩევნო უბანზე ხმების ხელახლა დათვლის საფუძველზე შედეგები „ქართული ოცნების“ კანდიდატის სასარგებლოდ შეიცვალა, თუმცა ეს გადაწყვეტილება შემდგომში სასამართლომ ბათილად სცნო (იხ. „საჩივრები და სარჩევნები“).

<sup>107</sup> ცარიელი ბიულეტენები ბათილად ითვლება.

შედეგების შემაჯამებელი ოქმების შედგენისას დაფიქსირებულ პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა. საჩივრების ნახევარზე მეტი ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა, დანარჩენები კი საარჩევნო სუბიექტებმა შეიტანეს. დაახლოებით 335 საჩივარი სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო საჩივრების დარჩენილი ნაწილი ან არ დაკმაყოფილდა ან განხილვის გარეშე იქნა უარყოფილი.<sup>108</sup>

საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ საჩივრების განხილვა ძირითადად ღიად და კოლეგიალურად ხდებოდა. ამ პროცესში კანონის მოთხოვნები და კანონით დადგენილი ვადები ზოგადად დაცული იყო. თუმცა ბევრი საჩივარი პროცედურულ საფუძველზე იქნა უარყოფილი, მათ შორის, კანონის ფორმალისტურად განმარტების შედეგად.<sup>109</sup> აქედან გამომდინარე, საოლქო საარჩევნო კომისიებს საჩივრების დიდი ნაწილი შინაარსობრივად არ განუხილავთ და არც სავარაუდო დარღვევების სათანადო გამოძიება განუხორციელებიათ. საარჩევნო კოდექსში ნათლად არ არის განსაზღვრული, დასაშვებია თუ არა სარჩელების საუბნო საარჩევნო კომისიაში წინასწარ წარდგენის გარეშე პირდაპირ საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანა, შესაბამისად იმ საჩივრების დიდი ნაწილი, რომლებიც პირდაპირ საოლქო საარჩევნო კომისიაში შევიდა, უარყოფილ იქნა. არჩევნების შემდეგ ცესკომ 23 საჩივარი ღია სხდომებზე განიხილა. ყველა მათგანი ძირითადად პროცედურული საფუძველების გამო არ დაკმაყოფილდა.<sup>110</sup>

ცესკოს ორი და საოლქო საარჩევნო კომისიების 35 გადაწყვეტილება რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში გასაჩივრდა. თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა 21 სარჩელი განიხილეს, რითაც რაიონული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო გასაჩივრებული. ამ სარჩელების დიდი ნაწილი არ დაკმაყოფილდა ან განუხილველად იქნა დატოვებული პროცედურული საფუძველების გამო. შედეგად საჩივრების შინაარსი ხშირად განუხილველი

<sup>108</sup> ბევრი საჩივარი უმნიშვნელო ტექნიკურ საკითხს ეხებოდა და საარჩევნო კომისიების წევრების მიმართ სანქციების გამოყენებას ითხოვდა. ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებული საჩივრების მნიშვნელოვანი ნაწილი ამომრჩეველთა ხელმოწერილი სიებიდან პარტიების წარმომადგენლებისა და დამკვირვებლების მიერ ინფორმაციის სისტემატურ შეგროვებას შეეხებოდა; საოლქო საარჩევნო კომისიებმა აღნიშნული სარჩელები არ დააკმაყოფილეს, რადგან მათი განცხადებით კანონმდებლობაში ამგვარი პრაქტიკის ამკრძალავი დებულებები არ მოიპოვებოდა.

<sup>109</sup> საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლში საუბნო საარჩევნო კომისიებში საჩივრების შეტანის ფორმატი დეტალურადაა აღწერილი: საჩივარში, სხვა ინფორმაციასთან ერთად, მითითებული უნდა იყოს მომჩივნის, სავარაუდო დამნაშავეს და მოწმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელები და გვარები და მათი რეგისტრირებული მისამართები, დამრღვევის დადგენის შემთხვევაში - მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენაც შესაძლებელი გახდა; გარდა ამისა, საჩივარში „დარღვევის არსი და დრო“ უნდა იყოს მითითებული. ზოგიერთი საჩივარი ისეთი ფორმალისტური საფუძველით იქნა უარყოფილი როგორცაა მათი „აბსტრაქტულობა“; რადგან ამ საჩივრებში დარღვევის დრო არ იყო მითითებული ან ისინი დაუყოვნებლივ არ იქნა შევსებული. ბევრ შემთხვევაში საჩივრები არსებითად არ განხილულა, რადგან შედგა შესწორების ოქმები, რითაც დარღვევა ფორმალურად აღმოიფხვრა.

<sup>110</sup> დამატებით ხუთი საჩივრის განუხილველად დატოვება არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენამ ან მათი სასამართლოებში მანამდე შეტანამ განაპირობა.

რჩებოდა.<sup>111</sup> ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები თავიანთი გადაწყვეტილებებით საოლქო საარჩევნო კომისიების იმ პრაქტიკას უჭერდნენ მხარს, რომლითაც საჩივრების უარყოფა კანონის ფორმალისტური ინტერპრეტირების საფუძველზე ხდებოდა.<sup>112</sup> სააპელაციო სასამართლოში სარჩელების განხილვა სხვადასხვა მოსამართლეების მიერ კანონის არათანმიმდევრულად განმარტებით გამოირჩეოდა, რაც იურიდიულ სიცხადეს და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს საფრთხეს უქმნიდა.<sup>113</sup>

*იურიდიული სიცხადისა და კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად, სასურველია კანონის თანმიმდევრულად აღსრულებაზე მიმართული ზომების გაძლიერება.*

არჩევნების პირველი ტურის შემდეგ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამ ორი საჯარო სხდომა ჩაატარა. 6 ნოემბერს კომისიამ რეკომენდაცია გამოსცა, რომლითაც საარჩევნო ადმინისტრაციას სიებიდან ამომრჩევლების შესახებ ინფორმაციის შეგროვების პრევენციისკენ, ხოლო ადგილობრივ დამკვირვებლებს და არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს ამ გზით ინფორმაციის შეგროვებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. ეს განცხადება ცესკოს მიერ 21 ოქტომბერს საარჩევნო სუბიექტებისა და თანამდებობის პირებისთვის გამოცემული განმარტების შინაარსს ეწინააღმდეგებოდა. გარდა ამისა, უწყებათაშორისმა კომისიამ სასამართლოებს მე-19 საოლქო საარჩევნო კომისიის იმ გადაწყვეტილების გაუქმება მოუწონა, რომლითაც ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლა მოხდა. აღნიშნული განცხადების გაკეთებისას საჩივარი, რომლითაც თიანეთში არჩევნების მეორე ტურის გამართვა იყო მოთხოვნილი, ჯერ კიდევ განიხილებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამგვარი ქმედება გარკვეულ შემფოთებას იწვევს საარჩევნო სუბიექტებზე ან არჩევნების ადმინისტრირებაზე, კანონის აღსრულებაზე ან დავების გადაწყვეტაზე პასუხისმგებელ დამოუკიდებელ ორგანოებზე შესაძლო არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით.

<sup>111</sup> მე-19 საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება თიანეთში ბათილად ცნობილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლის შესახებ მცხეთის რაიონულმა სასამართლომ პროცედურულ საფუძველზე გააუქმა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება იგივე პროცედურული საფუძველების გამო დატოვა ძალაში, რის შედეგადაც ბიულეტენების ნამდვილობასთან დაკავშირებული ძირითადი სარჩელი ფაქტიურად განუხილველი დარჩა.

<sup>112</sup> მაგალითად, 4 ნოემბერს ბათუმის საქალაქო სასამართლომ 79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის ის გადაწყვეტილება დატოვა ძალაში, რომლითაც საჩივრის განუხილველად დატოვება იმის გამო მოხდა, რომ ეს საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიაში არა დაუყოვნებლივ, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, არამედ კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული სავარაუდო დარღვევიდან ხუთი საათის შემდეგ შეიტანეს.

<sup>113</sup> 27 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სარჩელთან დაკავშირებით დაადგინა, რომ ამომრჩევლების ხელმოწერილი სიებიდან ინფორმაციის მიღება კანონიერი იყო, რადგან საარჩევნო კოდექსის დებულებებს შეესაბამებოდა. 28 ოქტომბერს „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მსგავს სარჩელთა დაკავშირებით იმავე სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული პრაქტიკა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონს არღვევდა.

## ბ. პირველი ტურის შედეგები და მზადება მეორე ტურისთვის

21 ოქტომბრის არჩევნების შედეგად 57 მერი „ქართული ოცნებიდან“ და 1 „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ პარტიიდან აირჩიეს. საკრებულოების არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ საკრებულოებში 1,088 მაჟორიტარიდან 1,009 გაიყვანა, ხოლო პროპორციული სიებით ამ პარტიამ ქვეყნის მასშტაბით 55.8% მიიღო. პროპორციულ არჩევნებში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ – 17.1%, „ევროპულმა საქართველომ“ – 10.4%, ხოლო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ 6.6% მიიღო. საარჩევნო ოლქებში 4%-იანი ბარიერი სულ 14-მა საარჩევნო სუბიექტმა გადალახა (იხ.დანართი I „საბოლოო შედეგები“). 64 არჩეული მერიდან მხოლოდ ერთია ქალი, ხოლო საკრებულოებში ქალები 13.4%-ს შეადგენენ.

ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი რამდენიმე კანდიდატი ძირითადად ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში აირჩიეს.<sup>114</sup> არჩეული ეთნიკური სომეხი კანდიდატების რაოდენობა შედარებით მაღალი იყო (7%), მაშინ როცა არჩეული ეთნიკური აზერბაიჯანელი კანდიდატების ოდენობამ 5% შეადგინა. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი არჩეული კანდიდატების მხოლოდ 10% იყო ქალი.

არჩევნების ტურებს შორის პერიოდში ოპოზიციონერი საარჩევნო სუბიექტები შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მათი განცხადებით, არჩევნების შედეგებზე ზეგავლენა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებამ და მმართველი პარტიის მხრიდან ამომრჩევლებზე განხორციელებულმა ზეგავლენამ, მათ შორის, კენჭისყრის დღეს - 21 ოქტომბერს, მოახდინა.

ექვს საარჩევნო ოლქში მერების არჩევნების მეორე ტური 12 ნოემბრისთვის დაინიშნა.<sup>115</sup> მეორე ტურში „ქართული ოცნების“ კანდიდატები ექვსივე საარჩევნო ოლქში გავიდნენ, მათ გარდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ – ორი კანდიდატი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ – ერთი კანდიდატი, „დემოკრატიული მოძრაობა - თავისუფალი საქართველოს“ – ერთი კანდიდატი და ორი დამოუკიდებელი კანდიდატი. მეორე ტურში არცერთი ქალი კანდიდატი არ გასულა. 23 ოქტომბერს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რის შედეგადაც ექვსიდან ორ ოლქში საარჩევნო მართონი არ შედგა (იხ. „პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია“).<sup>116</sup>

<sup>114</sup> მერობის სამი კანდიდატი მარნეულში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, მაჟორიტარობის 110 კანდიდატი და პარტიულ სიებში შეყვანილი 64 კანდიდატი (უმეტესწილად ყველანი ეთნიკური სომეხები და აზერბაიჯანელები იყვნენ) ძირითადად ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში აირჩიეს. არცერთი მათგანი თბილისში ან სხვა მსხვილ ქალაქში არ ყოფილა არჩეული.

<sup>115</sup> მეორე ტური თვითმმართველ ქალაქ ქუთაისსა და ხუთ თვითმმართველ მუნიციპალიტეტში (ყაზბეგში, ხაშურში, ბორჯომში, მარტვილსა და ოზურგეთში) გაიმართა.

<sup>116</sup> მეორე ტურში გასულ კანდიდატებს საკუთარი კანდიდატურის მოხსნის უფლება არ აქვთ, პარტიებს მათი უკან გაწვევა არ შეუძლიათ. ამიტომ ქუთაისსა და მარტვილში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების სახელები ბიულეტენებში იყო შეტანილი.

პირველი ტურის შედეგების გამოცხადების შემდეგ ცესკომ არჩევნების მეორე ტურის ტექნიკური მხარეების უმრავლესობის ადმინისტრირება, მათ შორის, შესაბამისი საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა უფლებამოსილების გახანგრძლივება და საუბნო და საარჩევნო კომისიების წევრთა ჩანაცვლების პროცედურების დადგენა მოახდინა. ამის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიებში ვაკანტური ადგილების დასაკავებლად კონკურსები ხელახლა გამოაცხადეს, რის შედეგადაც აღნიშნულ ვაკანტურ ადგილებზე არაპარტიული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ღია კონკურსის შედეგად დაინიშნენ. მანამდე არსებული პრაქტიკის შესაბამისად ცესკომ რამდენიმე პროცედურასთან დაკავშირებით უფრო მოკლე ვადები დააწესა, ვიდრე ეს საარჩევნო კოდექსით იყო განსაზღვრული. საარჩევნო კოდექსში მოცემული ვადები ზოგადაა და არჩევნების პირველ ან მეორე ტურთან მიმართებაში დაკონკრეტებული არ არის.<sup>117</sup> თავისი განკარგულებით ცესკომ ასევე შეუძლებელი გახადა ამომრჩევლების მიერ არჩევნების ორ ტურს შორის პერიოდში ამომრჩევლების სიებში შესწორებების შეტანის მოთხოვნა იმის მიუხედავად, რომ საარჩევნო კოდექსი ამას პირდაპირ არ კრძალავს (იხ. „ამომრჩევლების რეგისტრაცია“).

## XVII. კენჭისყრის დღე (მეორე ტური)

12 ნოემბერს კენჭისყრა 317 საარჩევნო უბანზე ჩატარდა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ საარჩევნო უბნების გახსნაზე დაკვირვება 240 საარჩევნო უბნიდან 40-ში აწარმოა, ხოლო ხმების დათვლის პროცესზე დაკვირვება 37 საარჩევნო უბანზე განახორციელა, გარდა ამისა, არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია შედეგების შეჯამების პროცესს ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში დააკვირდა.

მონიტორინგს დაქვემდებარებული ყველა საარჩევნო უბანი დროულად გაიხსნა. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მონიტორინგს დაქვემდებარებული 40 საარჩევნო უბნიდან 39-ში გახსნის პროცედურები დადებითად შეაფასეს, მათი ინფორმაციით პროცესი მოწესრიგებულად მიმდინარეობდა და პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო. მონიტორინგს დაქვემდებარებულ შვიდ საარჩევნო

<sup>117</sup> საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა სპეციალური სიები კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს ხუთი დღით ადრე უნდა იქნას შედგენილი, თუმცა ცესკოს დადგენილების მიხედვით ამისთვის სამდღიანი ვადაა გამოყოფილი. საარჩევნო კოდექსის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტა არჩევნების დღემდე მაქსიმუმ 15 დღით ადრე შეუძლია, მაშინ როცა ზემოთხსენებული დადგენილებით ამ პირებს არჩევნების მეორე ტურის წინ ოთხი დღით ადრე შეეძლოთ საკუთარი უფლებამოსილების შეწყვეტა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით საერთაშორისო ორგანიზაციებს მათი წარმომადგენლების (დამკვირვებლების) სიების წარმოდგენა კენჭისყრის დღემდე ორი დღით, ხოლო ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებს კენჭისყრის დღემდე ხუთი დღით ადრე შეუძლიათ, მაშინ როცა აღნიშნული დადგენილება დამკვირვებელთა სიების წარსადგენად სამდღიან ვადას იძლევა.

უბანში ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ან მედიის წარმომადგენლების მხრიდან გახსნის პროცედურებში ჩარევა დაფიქსირდა.

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 98%-ში ხმის მიცემის პროცესი შეფასდა როგორც „კარგი“ ან „ძალიან კარგი“, დამკვირვებლების შეფასებით პროცესი მშვიდად მიმდინარეობდა, მთლიანობაში პროცედურების დაცვით. ისევე როგორც პირველი ტურის დროს, მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 30%-ში პოლიტიკურ პარტიებს და კანდიდატებს დასაშვებზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდათ, ჩვეულებრივ ისინი ადგილობრივ დამკვირვებლებად ან მედიის წარმომადგენლებად იყვნენ აკრედიტებული.<sup>118</sup> მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 3%-ში ისინი საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობაში ერეოდნენ ან მათ საქმიანობას წარმართავდნენ. არაუფლებამოსილი პირები, მათ შორის, პირველ ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა აკრედიტაციას ვადა ჰქონდა გასული, მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 4%-ში იმყოფებოდნენ. ხმის მიცემის პროცესი ზოგადად გამჭირვალედ შეფასდა, თუმცა მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 4%-ში ხალხმრავლობა დაფიქსირდა. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 11%-ში ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება არ მიეცათ, რადგან მათ პირადობის დამადასტურებელი მოქმედი ბარათი არ გააჩნდათ ან ამომრჩეველთა სიაში არ იმყოფებოდნენ. მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 10%-ში ოფიციალური საჩივრები შევიდა.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების გარეთ მოქალაქეთა დიდი ჯგუფები, მათ შორის, პარტიების და კანდიდატების მხარდამჭერები დააფიქსირეს, განსაკუთრებით, ბორჯომსა და ოზურგეთში (მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 30% და 21%-ში შესაბამისად). მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების დაახლოებით 3%-ში ამომრჩევლებზე ზეწოლის განხორციელების და მათი დაშინების ნიშნები დაფიქსირდა.

*ამომრჩევლების ზეწოლისა და არასათანადო გავლენის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ ხელისუფლებამ პარტიული და წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული აქტივობების არა მხოლოდ საარჩევნო უბნებში, არამედ კენჭისყრის საათებში საარჩევნო უბნების სიახლოვესაც აკრძალვის საკითხი განიხილოს.*

მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 2%-ში ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობები დაფიქსირდა. პირველი ტურის მსგავსად, ამომრჩევლებთან დაკავშირებული ინფორმაციის სისტემატურად ჩაწერის შემთხვევები როგორც საუბნო საარჩევნო უბნების გარეთ, ისე შიგნით გამოვლინდა

<sup>118</sup> მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 18%-ში ხმის მიცემის დროს „ქართული ოცნების“ ერთზე მეტი წარმომადგენელი იმყოფებოდა, დამოუკიდებელი კანდიდატის შემთხვევაში ამ მაჩვენებელმა – 7%, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ შემთხვევაში – 6%, ზოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში – 2% შეადგინა.

(ყველაზე ხშირად ოზურგეთში, მონიტორინგს დაქვემდებარებული საარჩევნო უბნების 26%-ში).<sup>119</sup> ყველა იმ საარჩევნო ოლქში, სადაც მეორე ტური ჩატარდა პარტიების ან კანდიდატების წარმომადგენლები საარჩევნო უბნების შიგნით ხმის მისაცემად მოსული ამომრჩევლების აღრიცხვას აწარმოებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ამომრჩევლებთან დაკავშირებული ინფორმაცია საარჩევნო უბნების გარეთ მყოფ პირებს გადაეცემოდათ.<sup>120</sup> აღნიშნული ქმედებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ არჩევნების პირველ ტურში კენჭისყრის დღეს გაკეთებულ განცხადებას და ასევე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მიერ 6 ნოემბერს გამოცემულ რეკომენდაციას ეწინააღმდეგებოდა.

ხმების დათვლა მონიტორინგს დაქვემდებარებულ ყველა საარჩევნო უბანზე დადებითად შეფასდა, დამკვირვებლების ინფორმაციით პროცესი გამჭვირვალედ და სერიოზული დარღვევების გარეშე წარიმართა. პირველ ტურთან შედარებით ხმების დათვლის პროცედურების დაცვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც პროცესის ნაკლები სირთულით და უკეთესი მომზადებით იყო განპირობებული. რამდენიმე შემთხვევაში დამაბულობა შეიმჩნეოდა. მონიტორინგს დაქვემდებარებულ ექვს საარჩევნო უბანზე არაუფლებამოსილი პირების მხრიდან ხმების დათვლის პროცესში მონაწილეობა დაფიქსირდა. მონიტორინგს დაქვემდებარებული 37 საარჩევნო უბნიდან 12-ში ხმების დათვლის პროცედურების თანმიმდევრობის კუთხით მცირე დარღვევები გამოვლინდა. შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსება ძირითადად დადებითად შეფასდა.

შედეგების შეჯამება მონიტორინგს დაქვემდებარებულ ექვსივე საარჩევნო ოლქში დადებითად შეფასდა. დამკვირვებლების ინფორმაციით პროცესი მშვიდად და მოწესრიგებულად წარიმართა, და პროცედურები ძირითადად დაცული იყო. საუბნო საარჩევნო კომისიებიდან საარჩევნო მასალების მიღება და ოქმების დამუშავება გამჭვირვალედ ხდებოდა.<sup>121</sup> ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიებიდან შემოსული შედეგების ოქმების გამოქვეყნება საარჩევნო უბნების დახურვიდან მოკლე ხანში – 21:30-დან დაიწყო. წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობამ 33% შეადგინა. ექვსივე საარჩევნო ოლქში ჩატარებული მეორე ტურის წინასწარი შედეგები ცესკომ 13 ნოემბერს 03:00-ზე გამოაცხადა.

<sup>119</sup> მარტვილის 65-ე საარჩევნო ოლქის სოფელ ტალერში „ქართული ოცნების“ აქტივისტთა ჯგუფი 35-ე საარჩევნო უბნის უკანა ოთახში იჯდა. მათ თან ჰქონდათ ამომრჩეველთა სიები, სადაც მონიშნული იყვნენ ის ამომრჩევლები, რომელთაც უკვე მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა. გარდა ამისა, ისინი სატელეფონო ზარებს ახორციელებდნენ.

<sup>120</sup> მაგალითად, ბორჯომის 36-ე ოლქის მე-7 საარჩევნო უბანში „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელი რეგისტრატორის გვერდით იდგა ამომრჩეველთა სიით ხელში და ჩანაწერებს აკეთებდა. მსაგავსად იქცეოდა იმავე 36-ე ოლქის მე-17 საარჩევნო უბანზე „ქართულ ოცნებასთან“ აფილირებული დამკვირვებელი და ამომრჩევლებთან დაკავშირებულ მონაცემებს საარჩევნო უბნის გარეთ მყოფ პირებს გადასცემდა. ოზურგეთის მე-60 საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ აქტივისტები ამომრჩევლებთან დაკავშირებულ მონაცემებს მე-2, მე-4 და მე-5 საარჩევნო უბნებთან მანქანებში მსხდომ პირებს აწვდიდნენ.

<sup>121</sup> ოზურგეთში საოლქო საარჩევნო კომისიის შენობის გარეთ ხალხმრავალმა ჯგუფმა დამაბულობა შექმნა, თუმცა შედეგების გამოცხადების შემდეგ აღნიშნული ჯგუფი დაიშალა.

### XVIII. არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები

ცესკოს ინფორმაციით, მეორე ტურის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებში დაახლოებით 50 საჩივარი შევიდა, მათი უმრავლესობა კენჭისყრის დღეს დაფიქსირებულ პროცედურულ დარღვევებს უკავშირდებოდა. ხუთი საჩივარი შედეგების გაუქმებას ან ხმების ხელახლა დათვლას ეხებოდა, არც ერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა. დანარჩენი საჩივრებით საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა მიმართ დისციპლინარული სანქციების გამოყენებას მოითხოვდნენ. 19 შემთხვევაში დისციპლინარულ სანქციებთან დაკავშირებული მოთხოვნები მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ყველა საჩივარი, ერთის გარდა, ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა შეიტანეს.<sup>122</sup> საოლქო საარჩევნო კომისიებმა საჩივრები ღია სხდომებზე განიხილეს, კანონით დადგენილი ვადები და პროცედურები მთლიანობაში დაცული იყო. საოლქო საარჩევნო კომისიების არცერთი გადაწყვეტილება სასამართლოში არ გასაჩივრებულა.

მეორე ტურში ექვსიდან ხუთ საარჩევნო ოლქში მერის არჩევნები „ქართული ოცნების“ კანდიდატებმა მოიგეს. დამოუკიდებელმა კანდიდატმა, რომელიც წარსულში „ქართულ ოცნებასთან“ იყო დაკავშირებული, ოზურგეთში მერის არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატი დაამარცხა. „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ოზურგეთის ოთხ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული შედეგების გასაჩივრება სცადა, თუმცა მოგვიანებით მან არჩევნების ოფიციალური შედეგები აღიარა.

2017 წლის ივლისში საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა შეიცვალა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში ამ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ შევიდა ძალაში, რის შედეგადაც ყველა დონის საარჩევნო კომისიებში მმართველი პარტიის წარმომადგენლობა გაიზარდა.<sup>123</sup> ამასთან დაკავშირებით საარჩევნო პროცესში ჩართულმა რამდენიმე მხარემ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას შეშფოთება გამოხატა, რადგან მათი განცხადებით, ამ ცვლილებებს მომავალ არჩევნებზე საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობაზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

<sup>122</sup> „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ“ შესაბამისად 24 და 19 საჩივარი შეიტანეს; აქედან 1 საჩივარი „ქართული ოცნების“ მხრიდან, ხოლო დანარჩენები 3 სხვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციიდან შევიდა.

<sup>123</sup> მომავალში საარჩევნო კომისიებში 12 წევრი იქნება, აქედან 6 წევრი პარტიების მიერ დაინიშნება, საარჩევნო კომისიებში პარტიების მიერ წევრების დანიშვნა დამოუკიდებელი იქნება პარტიების მიერ ბოლო საპარლამენტო არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე, „ქართულ ოცნებას“ ყველა საარჩევნო კომისიაში 3-3 წარმომადგენელი, ხოლო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“, „ევროპულ საქართველოს“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ კი თითო წარმომადგენელი ეყოლება.



*სასურველია, რომ ხელისუფლებამ უფრო დაბალანსებული პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო კომისიების შემადგენლობის ფორმულის გადახედვა განახორციელოს.*

## **XIX. რეკომენდაციები**

ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილშია მოცემული, საქართველოში არჩევნების ჩატარების გაუმჯობესების და მათი ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან და დემოკრატიული არჩევნების სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად გაიცა. აღნიშნული რეკომენდაციები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ წარსულში გაცემულ ჯერ კიდევ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან ერთად უნდა იქნას განხილული. კერძოდ, საუბარია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ 2012 და 2016 წლების საპარალამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოცემულ საბოლოო ანგარიშებზე. დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი მზად არის დახმარება გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესის შემდგომ გაუმჯობესებაში და ასევე მოცემულ და წინა ანგარიშებში მოცემული რეკომენდაციების შესრულებაში.<sup>124</sup>

### **ა. პრიორიტეტული რეკომენდაციები**

1. სასურველია, მოხდეს საარჩევნო კოდექსის საფუძვლიანი გადახედვა არაჯეროვანი შეზღუდვების, ნაკლოვანებებისა და შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, მათ შორის, მეორე ტურთან მიმართებაში. ნებისმიერი საარჩევნო რეფორმა მხარეთა ჩართულობით და მომდევნო არჩევნებამდე საკმაო ხნით ადრე უნდა განხორციელდეს.
2. სასურველია, რომ ხელისუფლებამ უფრო დაბალანსებული პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად საარჩევნო კომისიების შემადგენლობის ფორმულის გადახედვა განახორციელოს.
3. სასურველია, რომ ხელისუფლებამ ქვედა დონის კომისიების წევრთა შერჩევის პროცედურების გაუმჯობესების და ამ პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის შესაძლებლობა განიხილოს, რაც საუბნო საარჩევნო კომისიების შერჩევის მკაფიო კრიტერიუმების შემუშავებითა და გამოქვეყნებით და ასევე შერჩევის პროცესის საჯარო სხდომებზე წარმართვით არის შესაძლებელი. საუბნო საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელი პოზიციები შესაბამის ტრენინგებში მონაწილე და არჩევნების ადმინისტრირების კუთხით გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული კადრებისგან უნდა დაკომპლექტდეს.

<sup>124</sup> [ეუთოს 1999 წლის სტამბოლის დოკუმენტის](#) 25-ე პუნქტის მიხედვით, ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა „დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნების შეფასებისა და რეკომენდაციების დროულად შესრულების“ ვალდებულება აიღეს.

4. ქალთა პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის გასაზრდელად სასურველია, რომ ფინანსურ წახალისებასთან ერთად, სავალდებულო გენდერული კვოტის დაწესების საკითხი იქნეს განხილული. აღნიშნული ფინანსური წახალისება შესაძლებელია მაჟორიტარულ არჩევნებზეც გავრცელდეს.
5. ხელისუფლებამ სახელმწიფოს და პარტიის ნათლად განცალკევება უნდა უზრუნველყოს და საჯარო სექტორში დასაქმებულები წინასაარჩევნო კამპანიებში ჩართვის მიზნით ზეწოლისგან დაიცვას.
6. საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად სასურველია, კანონმდებლობის ჰარმონიზება და დამოუკიდებელ კანდიდატებთან დაკავშირებით დებულებებში არსებული შეუსაბამობების აღმოფხვრა.
7. საზოგადოებრივი სამსახურის მანდატის კეთილსინდისიერად და დამოუკიდებლად შესრულების გასაძლიერებლად ხელისუფლებამ საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობაში ჩარევისგან თავი უნდა შეიკავოს. საზოგადოებრივმა მედიამ არჩევნების პერიოდში ყოვლისმომცველი პოლიტიკური პროგრამების ბადაე უნდა შეიმუშაოს და არხის მიუკერძოებელი, კრიტიკული და ანალიტიკური სარედაქციო პოლიტიკა უზრუნველყოს, მათ შორის, ოფიციალური თანამდებობის პირების საქმიანობის გაშუქებისას.
8. საარჩევნო სუბიექტებმა საკუთარი აქტივისტების ადგილობრივ დამკვირვებლებად და მედიის წარმომადგენლებად დარეგისტრირებისგან თავი უნდა შეიკავონ და საარჩევნო უბნებზე თანაბარი და შეზღუდული წარმომადგენლობის პრინციპს პატივი სცენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა საარჩევნო უბნებზე მყოფი წარმომადგენლების მხრიდან საკუთარი ფუნქციების შესრულებისას მიუკერძოებლობის შენარჩუნება უნდა უზრუნველყონ.
9. სასურველია საარჩევნო დავების გადაწყვეტასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გადახედვა, რათა საჩივრებთან დაკავშირებული პროცედურები გამარტივდეს, მომჩივანთა კატეგორიებთან დაკავშირებით შეზღუდვები გაუქმდეს და არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების შეტანასა და განხილვაზე დაწესებული საბოლოო ვადები გახანგრძლივდეს. ყველას, ვისი საარჩევნო უფლებებიც დაირღვა, საჩივრის შეტანის უფლება უნდა გააჩნდეს.
10. დამკვირვებელთა მიერ ხმის მიცემის პროცესის ყველა ასპექტზე დაკვირვების უფლების შეზღუდვის გარეშე, სასურველია, რომ ხელისუფლებამ კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი განიხილოს, კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების მოპოვების და შემდგომი დამუშავების აკრძალვის მიზნით.

## ბ. სხვა რეკომენდაციები

### საარჩევნო ადმინისტრაცია

11. საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობის და მისდამი ნდობის ასამაღლებლად სასურველია, რომ ცესკომ ყველა არსებითი საკითხის საჯარო სხდომებზე განხილვის შესაძლებლობაზე იმსჯელოს. გარდა ამისა, კანონში მითითებული უნდა იყოს, რომ ყველა არსებითი საარჩევნო საკითხი საარჩევნო კომისიების და არა თავმჯდომარეების პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება. როგორც წინა რეკომენდაციებში იყო ნახსენები, სასურველია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცენტრალურ დონეზე გამოქვეყნების ვალდებულება დაწესდეს.
12. სასურველია, რომ ცესკოს სწავლების ცენტრმა კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებული ტრენინგების ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობა განიხილოს, განსაკუთრებული ყურადღება ხმების დათვლას და შემაჯამებელი ოქმების შევსებას უნდა დაეთმოს პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით.
13. სასურველია საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის კენჭისყრის დღეს წარმოშობილი დავების გადაწყვეტის და საჩივრების არსებითად განხილვის მიმართულებით სწავლების გაძლიერება.

### ამომრჩეველთა რეგისტრაცია

14. როგორც წინა რეკომენდაციებში აღინიშნა, სასურველია, რომ გარდამავალი დებულებების მიღების ნაცვლად ხელისუფლებამ ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართების არმქონე ამომრჩევლებისთვის პერმანენტული გადაწყვეტილება მიიღოს.
15. სასურველია, ხელისუფლებამ შესაბამისი ღონისძიებები გაატაროს, რათა ტექნიკური ხარვეზები საარჩევნო უფლებების ჩამორთმევის საბაზი არ გახდეს.

### პარტიების და კანდიდატების რეგისტრაცია

16. კანდიდატების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დებულებების საერთაშორისო ვალდებულებებთან და მიღებულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატებისთვის ქართული ენის ფლობასთან და ასევე ქვეყანაში ჯამში მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნები უნდა გაუქმდეს.

17. სასურველია, რომ როგორც დამოუკიდებელი, ისე პარტიების მიერ ნომინირებული კანდიდატების მხარდამჭერი ხელმოწერების შესაგროვებლად კანონში თანაბარი პირობები განისაზღვროს.
18. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტს არჩევნების მეორე ტურიდან საკუთარი კანდიდატურის მოხსნა სურს, კანონმა შეჯიბრებითობა და სხვა კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა უზრუნველყოს.

### საარჩევნო კამპანია

19. საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების ნდობის მოსაპოვებლად სამართალდამცავმა ორგანოებმა კანდიდატებზე ზეწოლისა და მათი დაშინების და ასევე წინასაარჩევნო კამპანიის დროს სახელმწიფო რესურსების არასათანადოდ გამოყენების შესაძლო შემთხვევების ეფექტური გამოძიება უნდა უზრუნველყონ.

### წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

20. თამაშის თანაბარი პირობების უზრუნველსაყოფად ფინანსური მხარდაჭერა ყველა კანდიდატისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მათ შორის, გარკვეული წინასაარჩევნო ხარჯების ანაზღაურების კუთხით.
21. როგორც ადრე გაცემულ რეკომენდაციებში იყო მითითებული, გამჭვირვალობისა და ანგარიშგების გასაუმჯობესებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშები და ასევე მის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები და დასკვნები დროულად, მათ შორის, კენჭისყრის დღემდე უნდა გამოაქვეყნოს.
22. შესაძლებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რათა წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევებზე რეაგირებისთვის უფრო შემჭიდროებული ვადები დაწესდეს და ასევე მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიება იყოს ყოვლისმომცველი და დროული.

### მედია

23. სარედაქციო დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად, შესაძლებელია ნაციონალური მაუწყებლებისთვის დაკისრებული იმ ვალდებულების გადახედვა, რომლითაც მათ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის დებატების ორგანიზება ევალებათ, რათა მაუწყებლებს საკუთარი საარჩევნო პროგრამების ფორმატის განსაზღვრის საშუალება თავად მიეცეთ.
24. გამჭვირვალობის გაზრდის მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საკუთარი მედია მონიტორინგის შედეგების დეტალური ანგარიშის წარდგენისას ხარისხობრივი შეფასების გაკეთების შესაძლებლობა უნდა

განიხილოს. გარდა ამისა, სასურველია, რომ აღნიშნული ანგარიშები უფრო ხშირად ქვეყნდებოდეს, მათ შორის, კენჭისყრის დღემდე უახლოეს პერიოდშიც.

### ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

25. სასურველია კანონში ცვლილებების შეტანა, რათა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს წინასაარჩევნო პერიოდის გარდა, საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობაზე დაკვირვების საშუალება სხვა დროსაც მიეცეთ.

### საჩივრები და სარჩევნები

26. დარღვევებზე ეფექტური რეაგირების ხელშესაწყობად კანონში იმ საჩივრების დაჩქარებულად განხილვის შესაძლებლობა უნდა არსებობდეს, რომელშიც ადმინისტრაციული სანქციების გამოყენებაა მოთხოვნილი. აღნიშნული საჩივრები ღია სხდომებზე და კოლეგიალურ ატმოსფეროში უნდა განიხილებოდეს. საარჩევნო კომისიების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს.

27. იურიდიული სიცხადისა და კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად, სასურველია კანონის თანმიმდევრულად აღსრულებაზე მიმართული ზომების გაძლიერება.

28. სასურველია, საარჩევნო კოდექსში შესწორებები შევიდეს, რათა ფორმატის გამო საჩივრების მიღებაზე უარის თქმა გამოირიცხოს. საარჩევნო კომისიებმა და სასამართლოებმა კანონის ფორმალისტური ინტერპრეტაციისგან თავი უნდა შეიკავონ და სრულად და მიუკერძოებლად უნდა განიხილონ ყველა საჩივრის შინაარსი, რათა დარღვევებზე ეფექტური რეაგირების უფლება იქნას დაცული.

### კენჭისყრის დღე

29. სასურველია, რომ ცესკომ ყოვლისმომცველი ანალიზი განახორციელოს ხმების დათვლის და შეჯამების კუთხით საუბნო საარჩევნო კომისიების სამუშაოში არსებული შეცდომების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით. ხელისუფლებას შეუძლია ხმების დათვლის პროცედურების გამარტივების საკითხი განიხილოს, რაც საარჩევნო პროცესის მთლიანობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე, შესაბამის კანონდებლობასა და რეგულაციებში ცვლილებების შეტანით არის შესაძლებელი.

30. სასურველია საარჩევნო კოდექსში შესწორებების შეტანა, რათა ნათლად განისაზღვროს, თუ რის საფუძველზე შეიძლება ხმების ხელახლა გადათვლის ან კენჭისყრის შედეგების გაუქმების მოთხოვნა და რის საფუძველზე უნდა დაკმაყოფილდეს ამგვარი მოთხოვნა.

31. ამომრჩევლების ზეწოლისა და არასათანადო გავლენის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სასურველია, რომ ხელისუფლებამ

პარტიული და წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული აქტივობების არა მხოლოდ საარჩევნო უბნებში, არამედ კენჭისყრის საათებში საარჩევნო უბნების სიახლოვესაც აკრძალვის საკითხი განიხილოს.

## დანართი I: საბოლოო შედეგები

### თბილისის მერის არჩევნების შედეგები

კანდიდატი	პარტიის/ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის დასახელება	მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა
კახა კალაძე	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	51.1
ალექსანდრე ელისაშვილი	დამოუკიდებელი კანდიდატი (ნომინირებული ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ)	17.5
ზაალ უდუმაშვილი	„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	16.6
ელენე ხომტარია	„ბაქრადე, უგულავა - ევროპული საქართველო“	7.1
ირმა ინაშვილი	„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	3.0
სხვა კანდიდატები		4.7
სულ		100

### მერის არჩევნები მთელი ქვეყნის მასშტაბით (64 მერი)

პარტიის/ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის დასახელება	მერების რაოდენობა
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	62
„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“	1
დამოუკიდებელი კანდიდატები	1
სულ	64

### თბილისის საკრებულოს არჩევნები (50 ადგილი)

პარტიის/ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის დასახელება	პროპორციულ არჩევნებში მიღებული ხმების პროცენტული	პროპორციულ არჩევნებით მიღებული ადგილების რაოდენობა	მაჟორიტარულ არჩევნებში მიღებული ადგილების რაოდენობა	სულ ადგილების რაოდენობა

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, 2017 წლის 21 ოქტომბერი და 12 ნოემბერი  
დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო  
მისიის საბოლოო ანგარიში

	რაოდენობა			
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	53.1	15	25	40
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	17.7	5	0	5
„ბაქრამე, უგულავა - ევროპული საქართველო“	9.2	3	0	3
„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	5.6	2	0	2
„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	3.9	0	0	0
თერთმეტი სხვა პარტია/ბლოკი	10.5	0	0	0
სულ	100	25	25	50

მთელი ქვეყნის მასშტაბით საკრებულოებში არჩევნების შედეგები (970 პროპორციული და 1,088 მაჟორიტარული ადგილი)

პარტიის/ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის დასახელება	პროპორციულ არჩევნებში მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა	პროპორციულ არჩევნებით მიღებული ადგილების რაოდენობა	მაჟორიტარულ არჩევნებში მიღებული ადგილების რაოდენობა	სულ ადგილები ს რაოდენობა
„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	55.8	583	1,009	1,592
„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	17.1	157	25	182
„ბაქრამე, უგულავა - ევროპული საქართველო“	10.4	105	1	106
„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	6.6	79	14	93
„შალვა ნათელაშვილი - საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	0.8	17	4	21
ცხრა სხვა პარტია/ბლოკი	9.3	29	13	42
დამოუკიდებელი კანდიდატები	-	-	22	22
სულ	100	970	1,088	2,058

## დანართი II: საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა სია

### ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი

სტიუარტ დიკსონი	თემატური წარმომადგენელი ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებზე დაკვირვების საკითხებში	გაერთიანებული სამეფო
ბარბარა ტოჩე	ვიცე-პრეზიდენტი	იტალია
ჯოს ვინენი	თემატური წარმომადგენელი ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებზე დაკვირვების საკითხებში	ნიდერლანდები
რენატე ზიკმუნდი	განყოფილების უფროსი, ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებზე დაკვირვება	ავსტრია
სიგოლენ ტაველი	არჩევნებზე დაკვირვების ოფიცერი	საფრანგეთი
მარტინ რუდოლფი	ასისტენტი, ადგილობრივ და რეგიონულ არჩევნებზე დაკვირვება	საფრანგეთი
კრისტინა ბაინდერი	ექსპერტი საარჩევნო საკითხებში	ავსტრია

### დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მოკლევადიანი დამკვირვებლები

ერიოლა ლიკაიო	ალბანეთი
უარდა ცელამი	ალბანეთი
არსენ მიქაელიანი	სომხეთი
ანდრეა ვაისი	ავსტრია
კლემენს დროსლერი	ავსტრია
ემა ვინსენტი	ავსტრია
მათეუს რადნერი	ავსტრია
პეტრა პოლგარი	ავსტრია
რიჩარდ ვინკელჰოფერი	ავსტრია
ვერნერ რორახერი	ავსტრია
ანდრეი რუსაკოვიჩი	ბელარუსი
ანდრეი შუპლიაკი	ბელარუსი
ალეშ ფოიტიკი	ჩეხეთის რესპუბლიკა
ანეტა სუბრტოვა	ჩეხეთის რესპუბლიკა



იაკუბ სიმაკი	ჩეხეთის რესპუბლიკა
მარეკ ფიბიკი	ჩეხეთის რესპუბლიკა
კლაუს სტოუგარდ-ანდერსენი	დანია
ერიკ ნილსენი	დანია
ევა აპოლონია ჩილინსკი	დანია
ჰან ბერგმანი	დანია
კირსტენ მოგენსენი	დანია
მეტე სელჩაუ	დანია
მიქაელ რასმუსენი	დანია
ნილს ჰიორტდალი	დანია
პოულ სვეინი	დანია
სუზან ლასენი	დანია
სირეტ შაერი	ესტონეთი
იუჰო რომპაინენი	ფინეთი
მარიტა პაკარინენი	ფინეთი
რიტა პურონტაკანენი	ფინეთი
სამი რანტამაკი	ფინეთი
სამპო კოლანდერი	ფინეთი
კაროლინ ემანუელ იზაბელ ვერონიკ ანტუნესი	საფრანგეთი
შარლ ოტერი	საფრანგეთი
ჟოან ოდიერნი	საფრანგეთი
ჟული გოდინიონი	საფრანგეთი
ხაჩიგ სუკიასიანი	საფრანგეთი
მელისა დიანე	საფრანგეთი
ოლივიე ტიფანი	საფრანგეთი
პასკალ დელიმუ	საფრანგეთი
ტიფან ბრანდტი	საფრანგეთი
ალექსანდერ კნიპერტსი	გერმანია
ანდრეას გლოდი	გერმანია
ანდრეას ჰაუნკოფი	გერმანია

ანკე კერლი	გერმანია
ანკე სმოლიხი	გერმანია
ანელი კოშელა	გერმანია
ბერნარდ ტომას ოტო ჰეკი	გერმანია
ბირგიტ დაიბერი	გერმანია
კარლა მერკენი	გერმანია
ჩაბან სალიპი	გერმანია
კრისტა მიულერი	გერმანია
კრისტიან ეგბერინგი	გერმანია
კრისტოფ ბურკი	გერმანია
კრისტოფ ვიდემანი	გერმანია
კლაუდია პროისერი	გერმანია
დეტლევ პალუხი	გერმანია
ედიტ მიულერი	გერმანია
ელიზაბეტ შმიცი	გერმანია
ფრანკ მეიკე	გერმანია
გეერტ ბააზენი	გერმანია
ჯიზელა გოგელ-რობინსონი	გერმანია
ჰანს-კრისტიან კლასინგი	გერმანია
ჰარალდ ჰენდელი	გერმანია
ჰარტვიგ ჰანს კაბოტი	გერმანია
ჰოლგერ მიქაელი	გერმანია
ინო ფლაიშმანი	გერმანია
ირენ ფელმანი	გერმანია
იოახიმ ფრანკე	გერმანია
იორგ ლენერტი	გერმანია
იოჰანეს ჰოლცი	გერმანია
კლაუს შულცე	გერმანია
მარკუს ფოგელი	გერმანია
მორიც მური	გერმანია
პეტერ ფოგლი	გერმანია

რეგინა კორდეს ლარსონი	გერმანია
რენატე პაში	გერმანია
როლფ ბონკე	გერმანია
რუდოლფ საკენჰაიმი	გერმანია
საბინე ალვი	გერმანია
სანდრა კაროლინ მასი	გერმანია
სეპ გერდ გერსბეკი	გერმანია
სონია შიფერსი	გერმანია
სოფი ჰარინგი	გერმანია
სტეფანი დუფო	გერმანია
ულრიკ როკმანი	გერმანია
ულრიკე დესლერი	გერმანია
ურსულა შულცე-აბუბაქარი	გერმანია
უოლტერ აშმონაიტი	გერმანია
ბრინდის პალმარსდოტირი	ისლანდია
გუნარ სალვარსონი	ისლანდია
ან ორმონდი	ირლანდია
ჯონ დურნინი	ირლანდია
მარია კირნანი	ირლანდია
პატრიკ ქუინლანი	ირლანდია
შონ ო კალახანი	ირლანდია
დოვილე ვაისვილაიტი	ლიტვა
ევალდას მაროზასი	ლიტვა
გაბრიელე ცეკუოლე	ლიტვა
იურატე რამოსკიენე	ლიტვა
იურგიტა ლაურინენაიტი	ლიტვა
იუსტინა სლენიტი	ლიტვა
კონსტანტინას დურეიკო	ლიტვა
კრისტინა სუტკაიტიტი	ლიტვა
მარიუს პეტრუსონისი	ლიტვა
ვილია ალეკნაიტი-აბრამიკიენე	ლიტვა

ენ სკატვედტი	ნორვეგია
არვე ბიორსტადი	ნორვეგია
ასგეირ რუსტადი	ნორვეგია
კამილა ჰოუელანდი	ნორვეგია
ჰილდე ვერდალი	ნორვეგია
ოისტეინ ვიიკი	ნორვეგია
სორენ მუნჩი	ნორვეგია
ტურიდ პოლფუსი	ნორვეგია
მაგდალენა ვერალსკა	პოლონეთი
მარტა დაბროვსკა	პოლონეთი
ბერნტ ტომი კარლსონი	შვედეთი
ევა იაკობსონი	შვედეთი
ფრიდა ანდერსონი	შვედეთი
გუნილა დავიდსონი	შვედეთი
ჰანს ნარესკოგი	შვედეთი
ჰენრიკ ნილსონი	შვედეთი
იდა ეკლუნდ ლინდგოლი	შვედეთი
კერსტინ სანდბერგი	შვედეთი
ლარს ბიორკლუნდი	შვედეთი
მარი ატერმანი	შვედეთი
მატს ინგვარ ჰოლგერ ეკჰოლმი	შვედეთი
პერ გ. ვიიკი	შვედეთი
პერ ნაიმანი	შვედეთი
რებეკა პალმერი	შვედეთი
სტინა მაგნუსონ ბური	შვედეთი
ალექსანდრა ფონ არქსი	შვეიცარია
ბერნარდ მათიერი	შვეიცარია
კრისტინ ბეგელინ სარგენტი	შვეიცარია
კლოდ ბეგლე	შვეიცარია
ფრიც კრეზი	შვეიცარია
ჯონ კრისტინან სანდი	შვეიცარია

ლოიკ ალექსის დეგენი	შვეიცარია
მაია ბარბარა ჰუერლიმანი	შვეიცარია
მარიან გერბერი	შვეიცარია
ნატაშა ზულინო	შვეიცარია
რაფაელ ბერგერი	შვეიცარია
საშა ალდერისი	შვეიცარია
შუმიტ ჩანდა	შვეიცარია
ვიქტორ პაზინსკი	შვეიცარია
ალკა კოტარი	აშშ
ენდრიუ გრანდჯინი	აშშ
ენ დილენი	აშშ
ენ პესკო	აშშ
ობრი მენარნდტი	აშშ
ბუჯარ აჯდარი	აშშ
ჩეიზ ფოსტერი	აშშ
სინტია ბანტონი	აშშ
დენიელ ვილეგასი	აშშ
დანიელ იასტიშოკი	აშშ
დარა ერკი	აშშ
დებორა ალექსანდერი	აშშ
დიგ ვილჰელმი	აშშ
დუაიტ პელცი	აშშ
ელია ვარელა სერრა	აშშ
ფლორენს ბარნა	აშშ
გილიო ვენეციანი	აშშ
ჯეიკობ დინენი	აშშ
ჯილ ვენეციანი	აშშ
ჯონათან ეკჰოლმი	აშშ
კატლინ ჯონსონი	აშშ
კეტრინ გესტი	აშშ
ლუის პალმერ III	აშშ

მარკ დილენი	აშშ
მარშა ვიანერმანი	აშშ
მერი ნემიკი	აშშ
მელინდა ლორდი	აშშ
პატრიკ რეილი	აშშ
კვენტინ ლაიდი	აშშ
რებეკა ჰორსფოლი	აშშ
რენე ვალდიოსერა	აშშ
რენო დომენიკო	აშშ
რობერტ პოლინ უმცროსი	აშშ
რობერტ სორენსონი	აშშ
შილა ჯაგაბი	აშშ
სტივენ შაპირო	აშშ
ტომას გალაგერი	აშშ
ტრეისი ნიუველი	აშშ
ვერნონ ნელსონი	აშშ

**დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე  
 სადამკვირვებლო მისიის ძირითადი გუნდი**

კორინ იონკერი	მისიის ხელმძღვანელი	ნიდერლანდები
არმენ მაზმანიანი		სომხეთი
ჰანა ეფრემენკო		ბელარუსი
დავორ ჩორლუკა		ბოსნია და ჰერცეგოვინა
ვედრანა ჰალილოვიჩი		ხორვატია
ჰარალდ იეჰსენი		დანია
მარკ ფუმბაგალი		იტალია
დიმამ ალჟანოვი		ყაზახეთი
აჰმად რასული		ყირგიზეთი
ტომამ იანჩი		პოლონეთი
რომან რაილეანი		რუმინეთი

მაშა იანუშევიჩი	სერბეთი
საშა პოკრაიაცი	სერბეთი
ივან გოდარსკი	სლოვაკია
რობერტ ბისტრიკი	სლოვაკია
ანდერს ერიკსონი	შვედეთი
გორან პეტროვი	ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია
რუსლან ოვეზდურდიევი	თურქმენეთი
პოლინა ლემოსი	გაერთიანებული სამეფო

**დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე  
 სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიანი დამკვირვებლები**

ალოის შლაფერი	ავსტრია
პეტრ ნეტუკა	ჩეხეთი
ზანეტა ვენკუროვა	ჩეხეთი
პოულ ერიკ ლორიცენი	დანია
ჰელენა ლაატიო	ფინეთი
პეკა ვიჰერვასი	ფინეთი
ენ რიო	საფრანგეთი
საბრინა რუგუა	საფრანგეთი
ანაბელ გამბე	გერმანია
ინგო ბუტნერი	გერმანია
ეოდიტ ტამარ ორლანდი	გერმანია
ედვარდ ნესენსი	ირლანდია
ნურულ რახიმბეკოვი	ყაზახეთი
ელეონორა ბულატი	მოლდოვა
ელენ იოჰანე სამუელსენი	ნორვეგია
ნარვე რიო	ნორვეგია
ლარს ტოლემარკი	შვედეთი
მარიო ბარფუსი	შვეიცარია
სტეფან ციგლერი	შვეიცარია

ა. შელი მაკტომასი	აშშ
დაგლას ვეიკი	აშშ
ჰანს ოქსალი	აშშ
ლინდა ჩურმა-სამნერი	აშშ



## ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის შესახებ

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ის ძირითადი ინსტიტუტია, რომელიც ეუთოს წევრ სახელმწიფოებს „ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის უზრუნველყოფაში და ამ კუთხით კანონის უზენაესობის დაცვაში, დემოკრატიის პრინციპების მხარდაჭერაში, დემოკრატიული ინსტიტუტების შენებაში, გაძლიერებასა და დაცვაში და ასევე საზოგადოებაში ტოლერანტობის ხელშეწყობაში“ ეხმარება (1992 წლის ჰელსინკის სამიტის დოკუმენტი); მას ასევე „ეუთოს ადამიანურ განზომილებას“ უწოდებენ.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, რომელიც ვარშავაში (პოლონეთი) მდებარეობს, 1990 წელს პარიზის სამიტზე „თავისუფალი არჩევნების ოფისის“ სახელწოდებით შეიქმნა. ოფისმა ფუნქციონირება 1991 წლის მაისში დაიწყო; ერთი წლის შემდეგ სახელწოდება შეიცვალა, რათა მასში ასახული ყოფილიყო გაფართოებული მანდატი, რომელშიც ადამიანის უფლებების და დემოკრატიზაციის საკითხებიც შედიოდა. დღესდღეობით ოფისში 150-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი **არჩევნებზე დაკვირვების** სფეროში ევროპაში წამყვანი ინსტიტუტია. ყოველწლიურად ის ახდენს ათასობით დამკვირვებლების სხვადასხვა ქვეყანაში განლაგების კოორდინირებას და ორგანიზებას, რათა შეფასდეს ეუთოში შემავალ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შესაბამისობა ეუთოს წინაშე აღებულ ვალდებულებებთან, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების უზრუნველსაყოფად არსებულ საერთაშორისო სტანდარტებთან და ვალდებულებებთან და ასევე ეროვნულ კანონმდებლობასთან. მისი უნიკალური მეთოდოლოგია მთლიანი საარჩევნო პროცესის სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა. პროექტების მეშვეობით ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს საკუთარი საარჩევნო სტრუქტურების გაუმჯობესებაში ეხმარება.

ოფისის **დემოკრატიზაციის** საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა შემდეგ სფეროებს მოიცავს: კანონის უზენაესობა, საკანონმდებლო მხარდაჭერა, დემოკრატიული მმართველობა, მიგრაცია და გადაადგილების თავისუფლება და გენდერული თანასწორობა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ყოველწლიურად მიზნობრივ დახმარებაზე ორიენტირებულ არაერთ პროგრამას ახორციელებს, რომელთა მიზანია დემოკრატიული სტრუქტურების განვითარება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს ასევე დახმარებას უწევს **ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების** დაცვის კუთხით მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც ეუთოს ადამიანური განზომილების წინაშე აღებულ ვალდებულებებს შეესაბამება. ამ მხრივ ოფისის მუშაობა სხვადასხვა პარტნიორთან ერთად მიმდინარეობს თანამშრომლობის გაძლიერების, შესაძლებლობების განვითარებისა და თემატურ სფეროებში გამოცდილების გაზიერების უზრუნველსაყოფად ისეთ სფეროებში როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა ტერორიზმთან ბრძოლის ფარგლებში,

ტრეფიკინგის მსხვერპლთა ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერება, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული განათლება და ტრენინგი, ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგი და ანგარიშგება და ქალთა ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება.

**ტოლერანტობის და არადისკრიმინაციის** მხრივ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს მათ მიერ სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებზე, ასევე რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და არატოლერანტულობის სხვა ფორმებზე რეაგირების გაძლიერების კუთხით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საქმიანობა, რომელიც ტოლერანტობას და არადისკრიმინაციას ეხება, შემდეგ სფეროებზე ამახვილებს აქცენტს: კანონმდებლობა; სამართალდამცავთა ტრენინგი; სიძულვილის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულებსა და ინციდენტებზე რეაგირების მონიტორინგი, ანგარიშგება და შემდგომი ნაბიჯები; ასევე საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის მიზანს ტოლერანტობის, პატივისცემის და ურთიერთგაგების ხელშეწყობა წარმოადგენს.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ეუთოს წევრ სახელმწიფოებს რჩევებს აძლევს **ბოშების** მიმართ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ოფისი ხელს უწყობს ბოშთა თემებში შესაძლებლობების განვითარებას და ბიზნეს კონტაქტების შექმნას და მხარს უჭერს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანოების მუშაობაში ბოშების ჩართულობას.

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ყველა საქმიანობა ეუთოს წევრ ქვეყნებთან, ეუთოს ინსტიტუტებთან და ადგილზე განხორციელებულ პროგრამებთან, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კოორდინაციის და თანამშრომლობის რეჟიმში მიმდინარეობს.

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ვებგვერდზე (<http://www.osce.org/odihr>).